# სარბიელი

სპორტული გაზეთი

სამშაბათი 6 აგვისტო 2002 №145 (1667)

ფასი 50 თეთრი


# იყიდება ჩემპიონატი! ფასი შეთანხმებით

ასეთ დროს ამბობენ, სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოსო. სასაცილოსი რა მოგახსენოთ და, გულისამრევი ამბები კი ხდება. განა აქამდე სხვაგვარად იყო? მაგრამ მოახლოებულმა საპრეზიდენტო არჩევნებმა ქართული ფეხბურთის რეალური ყოფა უფრო თვალსაჩინოდ ამაზრზენი ფორმით წარმოაჩინა.

ამბობენ, ეროვნული ჩემპიონატი დაიწყოო. არ დაიჯეროთ, ტყუილია, ვინც ტურის მატჩების ნახევარის ჩაშლას ჩემპიონატის დაწყებას ეძახის, საერთოდ წარმოდგენა არ ჰქონია, რა არის ჩემპიონატი.

ვაჭრობა კი დაიწყო, ეს აშკარაა და ვონძლო, ფეხბურთის ფედერაციამ და კლუბებმაც ვერ უარყონ.

საქმე ასეა: „მერანს", „მეტალურგს" და „მილანს", როგორც ადრევე იყო ცნობილი, ფედერაციამ სამონაწილეო თანხის გადაუხდელობის გამო თამაშის უფლება არ მისცა. ამ სამეულს რუსთავის „გორდაც" დაემატა, რომელსაც თითქოს ფული გადარიცხული ჰქონდა, მაგრამ ტურის დაწყებამდე ორიოდ წუთით ადრე აღმოჩნდა, რომ რუსთაველებიც პირშავად იყვნენ. ესეც ერთი დასტური ქართული საფეხბურთო მეურნეობის სიგლახისა. საკითხავი კი ისაა, ვინ ამტკიცებდა პარასკევ საღამოს, „გორდას" ფული წუთი-წუთზე ფედერაციის ანგარიშზე ჩაირიცხებაო. კარგი კი იქნება, ფედერაცია იმ მართლაც პირშავის სახელს თუ გაამხელს. შეგახსენებთ, პარასკევს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა რომან მოთაძემ განაცხადა, ფული ერთი საათის წინ გადმორიცხესო. გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ — გადმორიცხავენ კი არა, უკვე გადმორიცხესო. ჰოდა, ვინ მოატყუა ბატონი რომანი? ევებ მოლნისელებისა არ იყოს, ფული ისე ითქვა და, რუსთაველებიც ნატურით აპირებენ ფედერაციასთან ანგარიშსწორებას? რუსთავი ხომ ცემენტის ქალაქია.

შემდეგ: დებულებას რომ დაცვა უნდა, თავიდანვე ვთქვით, საკამათო არ არის. ბოლოს და ბოლოს, კლუბს, თავისი ინფრასტრუქტურის შენახვასა და ხელფასების გაცემაზე თავს რომ დებს, სამონაწილეო 22 ათასი ლარის შოვნა გადაულახავ პრობლემად არ უნდა ექცეს. მით უმეტეს, თითქოს ...რთლა გუშინ გაირკვა, რომ ფული გადახდილია. ან რა ვთქვათ „მეტალურგზე", ...მლის სტადიონიც მატჩის დაწყებამდე ...თი საათით ადრე დაუხაზავი იყო? ...მოგეხსენებათ, დაუხაზავ მოედანზე ქუ... ფეხბურთი თუ ითამაშება.

„მეტალურგი" — „დინამოს" მატჩის და...მამდე ხუთი წუთით ადრე ზესტაფონე...მა თანხის ნაწილი როგორღაც შეაგრო...ეს და ფედერაციაც დათმობაზე წავიდა, ...ამ მეტალურგთა პრეზიდენტმა ნუგზარ ...ანმა უეცრად განაცხადა, თამაშზე უარს ...ობთ. იმავ მღივანს სტადიონზე მისულ ...ულ ხალხსა და ჩაშლილ მატჩზე ...დ არ უდარდია, საშსაჯო კომიტეტის ...დომარეს, მატჩზე დელეგატად მი...ო ანატოლი მილჩენკოს გადაულაპ...მთლად უკეთესი, საპურმარილოდ მე...ო დავერჩებათ.



ლოკომოტივი — დილა 3:0. სამი გამართული მატჩიდან ერთში, მასპინძლებმა გორელთა მეკარე გვარიანად ამუშავეს

ჩვენ არ გვაქვს ინფორმაცია, თუ რამდენი ლიტრი ღვინო დაილია ნუგზარ მღივანის გაშლილ სუფრაზე.

თავში ვაჭრობა ვახსენეთ. მატჩები 18 საათზე უნდა დაწყებულიყო და ბოლო წამამდე უფული კლუბებს, დელეგატებსა და ფედერაციას შორის ვაჭრობა მიდიოდა.

— 4 ათასს გადავიხდით.

— 7 ათასიც იშოვეთ და გათამაშებთ.

— ასე უცბად სად ვიშოვოთ?

— თქვენი პრობლემაა, 22-ის მაგივრად, 11-ს გთხოვთ, დანარჩენი მერე გადაგვიხადეთ.

აი, ასეთი, ან დაახლოებით ასეთი ვაჭრობა მიდიოდა ფედერაციის ოფისსა და სტადიონებზე მყოფ კლუბთა მესვეურებს შორის. დაილოცოს მობილური ტელეფონი.

აკი, ფედერაცია დებულების ზუსტად დაცვასა და თავის პრინციპულობაში გვარწმუნებდა? დებულებაში გარკვევით წერია 22 ათასი და თუ მართლაც პრინციპულობაა, 11 ათასზე ვაჭრობა არ უნდა მიდიოდეს. 22 ათასს ერთი თეთრიც რომ დააკლდეს, დებულება ირღვევა.

ჰოდა, რაღა დარჩა საქართველოს ჩემპიონატისგან — სანახევროდ ჩაშლილი პირველი ტური, თუმცა ტურს ვინ ჩივის, როცა ჯერაც არავინ იცის, რამდენი გუნდი დარჩება მეორე ტურის მერე.

და არჩევნები? წესით, არჩევნებს ჩემპიონატთან საერთო არაფერი აქვს, მაგრამ უწესობა ხომ ქართული ფეხბურთის წესია არა მარტო ფეხბურთის.

საქართველოს უმაღლესი ლიგა 14 ჩემპიონატი
პირველი ეტაპი

# 1 ტური

# გორული ხარაკირი



წონადაგდებულმა ზაზა ჯანაშიამ გორელები გვარიანად აწვალა

თბილისი. 3 აგვისტო. 19 საათი. ლოკომოტივი. 1 000 (ტევადობა 25 600)

## ლოკომოტივი 3:0 დილა

| | |
|---|---|
| 0:1 ბურნაძე (24), 0:2 ჯანაშია (30), 0:3 ბალაშვილი (60) | |
| ლოკომოტივი: ლომაია, ბალაშვილი, ორბელაძე, სალუქვაძე, ონიანი, გოგიჩაიშვილი, სირაძე (კვარაცხელია 56), ქიქვიშვილი (გელა ქორიძე 59), თ. ბურნაძე, რუსია (კაიდარაშვილი 65), ზ. ჯანაშია. სათადარიგონი: იყარდავა, ზ. ლაცაბიძე, დავითაშვილი, გოგინაშვილი. მწვრთნელი: სერგო კოტრიკაძე | დილა: სოლოლაშვილი, გ. ჩიტაია (სულთანიშვილი 64), ლომიძე, რევაზიშვილი, დავითაძე, საცვარელიძე (რაზმაძე 73), ფეხუაშვილი, ა. ხმალაძე, ჯობაძე, ბ. ჩიტაია (ძოძუაშვილი 46), ლ. გოჩაშვილი. სათადარიგონი: ილურიძე, რ. ხაჭაპურიძე, ხორგუაშვილი, სომხიშვილი. მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე |
| გაფრთხილება: რევაზიშვილი (67) | |
| მსაჯები: ა. მეშკოვი; ზ. მენთეშაშვილი, ი. ხუციშვილი (სამივე თბილისი), ა. ორჯონიძე (ონი) | |
| სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია | |
| ჯარიმა: 16-9; კუთხური: 8-3; კარისკენ დარტყმა: 5-4; კარში დარტყმა: 6-3; თამაშგარე: 3-0 | |

კოკა ინასარიძე

**არაფერი** შეცვლილა. თამაში ისევ დუნე, მოსაწყენი, ტრიბუნაც, რა თქმა უნდა, თითქმის ცარიელი. ჩემპიონატის დაწყების ნიშნად ჰიმნს აყოლილი ეროვნული დროშა, უემოციო მაყურებელი და მსაჯის სასტვენი. იქვე წუთიერი დუმილი — ფიფას თანამსაჯი ზურაბ დოლიძე თბილისის ზღვაზე ტრაგიკულად დაიღუპა.

ერთი სეზონის შემდეგ უმაღლეს ლიგას დაბრუნებულ გორის „დილას" კი, რომელიც მატჩის ტექნიკურ ოქმში მასპინძლად ითვლებოდა, თავის მოსაკლავი დანა თავადვე აულესავს. 18 წლის მურთაზ ბურნაძე გორელებმა „ლოკომოტივს" ორიოდ კვირის წინ დაუთმეს და ახლა, ალბათ, მწარედაც ნანობენ. სწორედ ამ ჭაბუკმა, მე-14 ჩემპიონატის პირველი გოლი ისეთი გაიტანა, რომ იტყვიან, თქვენი მოწონებულიო. 24-ე წუთი იყო, „დილამ" ბურთი საკუთარი საჯარიმოდან ცენტრისკენ აიტანა. მცველებიც ზემოთ იწევდნენ, როცა ბურთიანმა ბურნაძემ ჩაწოდების მომლოდინე სოლოლაშვილი კარიდან ოდნავ წინ გამოსული შეამჩნია და ლამის ცენტრიდან დაურტყა. მეკარემ მოგერიება კი სცადა, კაი გვარიანი ნახტომიც გაჭიმა, მაგრამ ბურთს ისეთი ტრაექტორია ჰქონდა, ალბათ, სამი სოლოლაშვილი ვერ შესწვდებოდა. ბურნაძემ, მეტად ნიჭიერმა ფეხბურთელმა, არც შეიმჩნია ასეთი არაჩვეულებრივი გოლის ავტორობა, თავი დახარა, ყოფილ თანაგუნდელთ თვალი აარიდა და ასე მიიღო თბილისელთა მილოცვა. ახალგაზრდული ნაკრების თავკაცების გასაგონად კი მოკრძალებით ვიტყვით, რომ კარგი იქნება, თუ ამ ბიჭს არ მოაკლებენ ყურადღებას.

ბურნაძის მერე ზაზა ჯანაშიას ჯერიც დადგა. აშკარად წონადაკლებულმა, გოლამდე სოლოლაშვილს თავით რამდენჯერმე დაურტყა, მაგრამ მიზანი ვერ გაისწორა და ბოლოს ცარიელ კარში მაინც მოახერხა გატანა. „დილამ" ხელოვნური ოფსაიდის შექმნა რომ სცადა, მარცხენა ფლანგიდან ონიანი გაიპარა და მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა მეგოლეს ბურთი გვერდით გაუგორა.

ეს იყო და მატჩის ბედიც გადაწყდა. შესვენების შემდეგ „ლოკომოტივიდან" „დილაში" განათხოვრებულმა ძოძუაშვილმა გორელთა შეტევები ოდნავ კი გაამწვავა და ერთი-ორჯერ მას და ხმალაძეს ნაღდი მომენტებიც გაუცუდდათ, მაგრამ ცხადი იყო, რომ რკინიგზელები მოგებას ხელიდან არ გაუშვებდნენ, მით უმეტეს, მეორე ტაიმში „დილას" კართან ლამის ყოველ წუთს იქმნებოდა საგოლე მომენტი. გორელთა დაცვას რამდენჯერმე გაუვიდა ხელოვნური ოფსაიდი, თუმცა ორჯერ შეცდა და თბილისელებმაც სოლოლაშვილს მოსვენება დაუკარგეს. მესამე გოლიც გორელთა დაცვის უხეშ შეცდომას მოჰყვა და ისიც „დილას" ყოფილმა ფეხბურთელმა გიორგი ბალაშვილმა შეაგდო. თამაშგარეს მორიგი მცდელობისას გოგიჩაიშვილმა შეყოვნებული ბალაშვილი შენიშნა და ზუსტი პასით ის მეკარეს შეატოვა.



ვაკეში ჰიმნიც იყო და დროშაც აღიმართა

„ლოკომოტივმა", გორის სტადიონის მოუწესრიგებლობის გამო, ჩათვალეთ, პირველი სამი ქულა სტუმრად მოიპოვა და თუ რამ არ შეიცვალა, „დილას" თბილისელები მეორე წრეშიც ვაკეში დაუხვდებიან.

*სერგო კოტრიკაძე, „ლოკომოტივის" მწვრთნელი:*

— თქვენ წარმოიდგინეთ და პირველად ვარ პრესკონფერენციაზე. თამაში კი დიდად სანერვიულო არ ყოფილა. მეტოქეს ნელ-ნელა გავუშინაურდით და გატანილი გოლების გარდა უამრავი მომენტიც ვერ გამოვიყენეთ. ზოგადად ქართული ფეხბურთის სენია, როცა გუნდი 2:0 დაწინაურდება, მერე აღარ თამაშობს, მეტოქეს ინდობს, ასეთ დროს კი მოსალოდნელია, დაისაჯო. ასეთი თამაშით „კოპენჰაგენთან" ძალიან გაგვიჭირდება. დღეს განსაკუთრებით ბევრჯერ შევცდით დაცვის ხაზში. ჩემპიონატის მომავალი მატჩისას იმ მოდელის დახვეწას ვეცდებით, რომელსაც, ალბათ, დანიაში გამოვიყენებთ — დაცვასა და ნახევარდაცვას გავაძლიერებთ. დავითაშვილის თამაში დღეს საჭიროდ არ ჩავთვალე, თავდასხმაში ჯანაშიამ და რუსიამ თავიანთი საქმე გააკეთეს.

*ვლადიმერ ხაჩიძე, „დილას" მწვრთნელი:*

— ვულოცავ „ლოკომოტივს" და უეფას თასზეც გამარჯვებას ვუსურვებ. გამოჩნდა, რომ იმ შეცდომებს, რასაც პირველ ლიგაში გვპატიებთ, უმაღლესში მეტოქე სათავისოდ კარგად იყენებს. ხელოვნური ოფსაიდების შექმნა ფეხბურთელთათვის არ დამივალებია. საქმე ისაა, რომ ცენტრალურმა მცველმა ხაჭაპურიძემ ტრავმა მიიღო და ამის გამო იძულებულნი გავხდით, მთელი დაცვა გადაგვეწყო.

# სადაც მრთი, იქაც სამი
## მახარაძემ ქულიანი სიხარული იცოტავა

ქობულეთი. 5 აგვისტო. 18 საათი. ცენტრალური. 600 (ტევადობა 6 000)

## ბათუმი 0:0 სიონი

| | |
|---|---|
| ბათუმი: ბალაძე, ჩიჩუა, თურმანიძე, მახარაძე, მინდაძე, ქაცარავა, კობიძე, რომანაძე (კუნჭულია 54), მაჭუტაძე, ტუღუში, დარჩიძე (დიდმანიძე, 87). სათადარიგონი: აბალაძე, ინაიშვილი, ბეჟანიძე, გორჯელაძე, დ. ბოლქვაძე. მწვრთნელი: ასლან ბალაძე | სიონი: ვოლკოვი, სიდამონიძე, გოგიტაძე, პეიკერი, გ. ჩხაიძე, გაბისკირია, კაციაშვილი, დაუშვილი, დათვაძე (გიორგი ქორიძე 36), ისიანი (დ. გოდერძიშვილი 71) შავგულიძე. სათადარიგონი: ბათიაშვილი, ზ. ცქიტიშვილი, მოსეშვილი, კრავეიშვილი, კარიაული. მწვრთნელი: თემურ მახარაძე |
| გაფრთხილება: დაუშვილი (41) | |
| მსაჯები: კ. მქსხი (ზუგდიდი); მ. ურუშაძე (თბილისი), ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი) | |
| სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში | |
| ჯარიმა: 23-20; კუთხური: 4-6; კარისკენ დარტყმა: 2-9; კარში დარტყმა: 1-9; თამაშგარე: 3-4 | |

იუზა კაციტაძე ქობულეთიდან

ეს მატჩი შაბათს უნდა გამართულიყო, მაგრამ „ბათუმი" ამ დღეს თურქეთში იმყოფებოდა. საფეხბურთო კლუბი „ტრაბზონსფორი" დაარსებიდან 35-ე წლის თავს ზეიმობდა და ჩვენებურებიც ამხანაგური საქველმოქმედო შეხვედრაზე მიიპატიჟა. ჰოდა, სფფ-მ ბათუმელებს ჩემპიონატის სასტარტო მატჩი ორი დღით გადაუდო, ტრაბზონში კი ჩვენებურები 0:3 დამარცხდნენ.

„ბათუმმა" გუშინ ქობულეთში ისტუმრა „სიონი". ამის მიზეზიც გეცოდინებათ. ბათუმურ სტადიონს რეკონსტრუქცია უტარდება. მისი დირექტორის, ზაზა ფალავანდიშვილის თქმით, მშენებლები პირველი რიგის სამუშაოებს მალე მორჩებიან და მეორეს თუ არა, მესამე საშინაო მატჩს გუნდი საკუთარ მოედანზე გამართავს. ისე, ბათუმი და ქობულეთი რამ დააშორა, ჩემპიონატის გახსნის ცერემონიალი აქაც სათანადოდ ჩატარდა. მატჩის დაწყებამდე კი კოპწია სტადიონზე შეკრებილებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ახლახან დაღუპული ფიფას თანამსაჯის, ზურაბ დოლიძის ხსოვნას.

თამაში კი, გასაკვირია, მაგრამ ბოლნისელთა უპირატესობით დაიწყო. მე-14 ეროვნულისთვის საგრძნობლად გაძლიერებულმა „სიონმა" მეტად შეავიწროვა მეტოქე, თემურ მახარაძის შეგირდები მასპინძლებმა გაცილებით სწრაფად და გააზრებულად მოქმედებდნენ და პირველი საგოლე მომენტიც მათ შექმნეს. მე-16 წუთზე ისიანმა საჯარიმოს წინა ხაზიდან მეტად სახიფათოდ დაარტყა, თუმც ოდნავ ააცილა ხარიხას. ორ წუთში უკვე დათვაძემ გაუშვა ხელიდან გატანის ხელსაყრელი შანსი. ბოლნისელები ჯიუტად მიიწევდნენ წინ და მორიგი ორი მომენტიც ახალგაზრდა ირაკლი ბალაძის კართან შეიქმნა. პირველ შემთხვევაში ბათუმელთა მთავარი მწვრთნელის ვაჟმა იმარჯვა, როდესაც გაბისკირიას საჯარიმოდან დარტყმული მოიგერია. მეორედ კი დათვაძე-შავგულიძე-ისიანის კომბინაციას ამ უკანასკნელის კარისკენ მოჭრილი დარტყმა მოჰყვა, ოღონდ ბურთმა ვერც ამჯერად უწია მიზანს.

„სიონის" შეტევებს სიმწვავე დაშავებული დათვაძის მოედნიდან გასვლის შემდეგ ოდნავ მოაკლდა. ბათუმელებმაც ოდენ ტაიმის ბოლოსკენ გამოიღეს ხელი და კარში ერთადაერთი ზუსტი დარტყმა განახორციელეს, ისიც საჯარიმოს გათამაშების შემდეგ — ტუღუშმა მაჭუტაძეს გაუგორა, მან კი ძლიერად გაისროლა და ვოლკოვს რომ შესაშური რეაქცია არ გამოევლინა, „სიონი" გოლს ვერ გადაურჩებოდა.

შესვენების შემდეგაც სტუმრები უკეთესად თამაშობდნენ. 48-ე წუთზე ბალაძემ სიდამონიძის ძლიერი დარტყმისგან იხსნა. თავისიანები, მართალია, ამის შემდეგ „სიონს" რეალური საგოლე მომენტი აღარ შეუქმნია, მაგრამ მეტოქე გამუდმებით უქმნიდნენ საფრთხეს. მატჩის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე უკლეს ტემპს, ეტყობოდა, ფრეს დაყაბულდნენ. ბათუმელებმაც შვებით ამოისუნთქეს და ქულას რომ ხელი გამოჰკრეს, ჩანდა, კმაყოფილნი იყვნენ. თემურ მახარაძე, „სიონის" მწვრთნელი: „ბათუმთან" სტუმრად ქულა ავიღეთ და უკმაყოფილო როგორ უნდა ვიყო, მაგრამ თამაშის მოგება შეგვეძლო. მეტოქეს აშკარად ვაჯობეთ.

ასლან ბალაძე, „ბათუმის" მწვრთნელი: რა დასამალია, ჩემპიონატს მოუმზადებელნი შევხვდით, ერთი თვეც არ გვივარჯიშია, თანაც შემადგენლობა გადავახალისეთ, ორი დღის წინ ტრაბზონში ვითამაშეთ და ამ ფაქტმაც იქონია გავლენა, ბიჭები დაღლილნი იყვნენ. იმედი მაქვს, მალე გავძლიერდებით.

ნიკა ტოგონიძის, შალვა ხუჯაძის, ზურაბ არჩვაძის, ავთანდილ ღლონტის, გოჩა ყულეჯიშვილის დამატება გვაქვს გადაწყვეტილი.

ქუთაისი. 4 აგვისტო. 20 საათი. ტორპედო. 3 000 (ტევადობა 19500)

## ტორპედო 1:0 ვიტ ჯორჯია

| | |
|---|---|
| 1:0 იონანიძე (16) | |
| ტორპედო: ქანტურია, ლ. ქელიძე (თოდუა 45), ახალკაცი (დ. ჯანაშია 85), მახვილაძე, ქემოკლიძე, ა. კვეტენაძე, პოროშინი, დიდავა, გუჩუა, იონანიძე (ზუქთაათელაძე 61), ბაბუნაშვილი. სათადარიგონი: სტურუა, გამეზარდაშვილი, ჩხეტიანი, ტყეშელაშვილი. მწვრთნელი: ალექსანდრ შტელინი | ვიტ ჯორჯია: მერლანი, კობიაშვილი, ინწკირველი, ლ. მერებაშვილი (ფეიქრიშვილი 73), ჯ. მუჯირი (თედორაძე 46), ლ. ნოზაძე, ბოლქვაძე, დიღმელაშვილი (ბერელიძე 73), გ. გოჩაშვილი, ადამია, მელქაძე. სათადარიგონი: ქურაძე, დ. დოლიძე, ე. მერებაშვილი, მიკუჩაძე. მწვრთნელი: ჯანი კარნეველი |
| გაფრთხილება: თედორაძე (49), მერებაშვილი (51), ბოლქვაძე (53), პოროშინი (55) | |
| მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი), გ. ცირდავა (გულრიფში), ა. სამხარაძე; დ. სანაია (ორივე სოხუმი) | |
| სფფ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი | |
| ჯარიმა: 22-23; კუთხური: 8-6; კარისკენ დარტყმა: 4-3; კარში დარტყმა: 6-1; თამაშგარე: 7-0 | |

**შვედეთი**
XIII ტური
სუნდსვალი 1:1 აიკ
ლანდსკრონა 1:2 მიოტიმორჯი
იორგრიო 3:1 ჰალმსტადი

**ფინეთი**
XVIII ტური
ლაჰტი 1:2 ალიანსი

**ნორვეგია**
XVIII ტური
ვალერენგა 1:1 ბრანი


# იყიდება სასწრაფოდ!



შავი ანტიკვარული როიალი „ბეხშტეინი" ნახევრადსაკონცერტო, მე-19 საუკუნის, დამზადებულია შეკვეთით. ფასი შეთანხმებით

ტელ: 22-23-15

# იყიდება უნიკალური წიგნები



ანტონ კათალიკოსის „ქართული ღრამმატიკა" (1885) და „მზა-მეტყველება" (1892), ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს გეოგრაფია" (1904), პროფესორ ვუნდტის „ადამიანისა და ცხოველთა სული" (ორ ტომად, რუსულ ენაზე, 1865, 1866) და სხვა. ასევე მოგვიანებით დასტამბული მნიშვნელოვანი გამოცემები. ტ. 30-75-81

# არ იყო ფული, არ იყო ფეხბურთი

## გორდაც, ბადრი, გორდაც!

თბილისი. სინათლე. 3 აგვისტო. 18.00 საათი

**მერანი — გორდა**

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ზ. ჯვარიძე, ო. ხეცაძე (სამივე თბილისი); ზ. ანიაშვილი (გორი)

სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე



„გორდას" მწვრთნელი ვარლამ კილასონია (მარცხნივ) ფედერაციიდან მოსულმა ცნობამ გაოგნებული დატოვა

**პაატა კვანტალიანი**

შაბათს ავჭალურ ხვატში „სინათლეზე" ბურთი არ გაგორებულა.

„მერანი" — „გორდა" 18 საათზე უნდა დაწყებულიყო, მაგრამ, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი იყო — 22 ათასი ლარის ვერ თუ არგადამხდელ ავჭალელებს ფედერაცია თამაშის ნებას არ დართავდა და ტექნიკურ მარცხს — 0:3-ს გამოუწერდა.

„მერანს" შეღავათი მისცეს და ადრე გამოცხადებული 16 საათის ნაცვლად, მატჩის დაწყებამდე გადაუწიეს „გონსმოსასვლელი" დრო, მაგრამ მატჩამდე ორი საათით ადრე „სინათლეზე" მისულ ინსპექტორ-მსაჯებს და სტუმართა გუნდს „მერანის" პრეზიდენტი ანზორ მამალაძე ძველ აზრზე დაუხვდათ — „მერანი" 22 ათას ლარს არ იხდის. სტადიონზე შეკრებილთ ისღა დარჩენოდათ, 6 საათის შესრულებას დალოდებოდნენ და მერეღა დაშლილიყვნენ. ყველაზე კმაყოფილნი, რაღა თქმა უნდა, რუსთაველები იყვნენ — სამი ქულა უბრძოლველად რჩებოდა „გორდას", მაგრამ ბედი დიდ სიურპრიზს უმზადებდა სტუმარს...

ცალკე ოთახში განმარტოებული ანზორ მამალაძე, ოთარ გაბელია და სფფ-ის ინსპექტორი ბადრი ქარქაშაძე საიმედოს ვერაფერსეუბნებოდნენ ერთმანეთს. ყოველ ათ წუთში ბადრი ქარქაშაძის სატელეფონო კონსულტაციებს ხელმძღვანელობასთან „სამერანოდ" არაფერი შეუცვლია. ექვსი საათიც სრულდებოდა, „გორდა" სამი ქულით ხელდამშვენებული აბარგებას აპირებდა და ამ დროს ქარქაშაძემ მორიგი სატელეფონო საუბრის შემდეგ ხმამაღლა განაცხადა — ფული „გორდასაც" არა აქვს გადახდილიო.

„სინათლეზე" ოქმი არ გაფორმებულა. ბადრი ქარქაშაძემ „ზევიდან" მითითებისამებრ იმოქმედა და ზუსტად ექვს საათზე სტადიონი დატოვა. მანამდე კი ჩვენთან საუბარში ეს თქვა: „ჩოლარიამ დამირეკა და მითხრა, რომ „გორდას" მიერ საწევრო თანხის გადახდის დამადასტურებელი ფურცელი ფედერაციაში არა აქვთ. ამიტომ რუსთაველებს „მერანთან" მოგება არ ჩაეთვლებათ, რა როგორ იქნება, ამას სფფ-ში გადაწყვეტენ".

# მდივნის შლა

ზესტაფონი. 3 აგვისტო. 18 საათი. ცენტრალური. 1 000 (ტევადობა 10 000)

**მეტალურგი — დინამო**

| | |
|---|---|
| მეტალურგი: ა. ლაბაძე, ორმოცაძე, ა. შეყრილაძე, გაბრიჭიძე, მ. ლონდაძე, სულაკაძე, კობაიძე, ი. ხაჭაპურიძე, ვაჩიბერაძე, მემარნიშვილი, სეხიაშვილი. სათადარიგონი: მერკვილიშვილი, ფოფხაძე, ნიშნიანიძე, გოგაძე, ძოწენიძე, გურეშიძე, ტყემშურიძე. მწვრთნელი: ზაურ ჩუბინიძე | დინამო: ზოიძე, კარლოსი, ვაშაკიძე, მაშიაშვილი, ამისულაშვილი, ბურდული, სახვაძე, ფარასელია, აშიბაძე, გოგობერიშვილი, მიქაძე. სათადარიგონი: გვარამაძე, მაზიაშვილი, კანდელაკი, ბობოხიძე, ი. სამხარაძე, ხიზანიშვილი. მწვრთნელი: ივო შუშაკი |

მსაჯები: მ. მალალურაძე; ლ. სილაგაძე, ი. შალამბერიძე; მ. მაისურაძე (ყველა თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო



ნუგზარ მდივანი

**ვახტანგ ბზიკაძე ზესტაფონიდან**

### არჩევანი მცირეა

კარგა ხანია, მუხრან მაჭავარიანი ძველებურად პოპულარული აღარაა, მაგრამ ის, რაც ჩაგწვდება გულში, ძნელი დასავიწყარია: ყოფილა დავით მეფე, აღმაშენებელი...

ახლა კი საქართველოს პრეზიდენტი ჰყავს. უფრო სწორად, ღირსეულია ერთი, თორემ საპრეზიდენტო არჩევანი იცოცხლე, უზარმაზარია.

24 აგვისტოს ქართულმა ფეხბურთმაც უნდა გაარკვიოს მომდევნო ოთხ წელსაც მერაბ ჟორდანია უპრეზიდენტებს, თუ დავით პეტრიაშვილი გაუძღვება. გვაპატიოს მესამე კანდიდატმა ვაჟა ჩხაიძემ, მაგრამ მისი გაპრეზიდენტების შანსი საკმარისად მცირეა, მასზე აქ სიტყვა რომ არ გავაგრძელოთ.

მეფეზე ვამბობდი. მე კი არა, ხალხი ამბობდა, ცალ ხელში სავარცხელი ეჭირა და ცალშიც ის უზარმაზარი ლოდი, რომელიც გელათის ტაძარს ერთ-ერთ ქვაკუთხედად დაედო.

შაბათს ზესტაფონში თავშეყრილი ხალხი ახალი ტიპის პრეზიდენტის ჭრილს და თავადვე პრეზიდენტს ხედავდა. ხედავდა, საკუთარი წარმოების ლუდის ქაფივით თმათერს, რომელმაც მოედანი გარდი-გარდმო მსაჯზე მეტჯერ გადასერა, ცალ ხელში მობილური ეჭირა, მეორეში კი... ხან 4000 ლარი, ხანაც არაფერი.

### პირში ჩალა და ხელში ყურმილი

აქამდე ნუგზარ მდივანს საქმიან, წესიერ, ფეხბურთის ქომაგ კაცად ვიცნობდით და არ გვცნობიაო, ჩიოდნენ პირში ჩალა-გამოვლებული ზესტაფონელი გულშემატკივრები. რას ამბობთ, ჩალა სად იყოო, ნურავინ იტყვის. ივო შუშაკმა ტყუილად კი არ დაიჩივლა ზესტაფონის სტადიონის გასახდელებსა და მინდვრის ხარისხზე — ცენტრალურის ურწყულ მოედანს, ბალახზე მეტად სწორედ ჩალისფერი ერეოდა.

ზუსტად ვერ გეტყვით, ვისთან კონსულტაციით მოიმოქმედა მდივანმა, რაც მოიმოქმედა, ვერც იმას დავიჩემებთ, გინდა თუ არა, ტელეფონით რომელიმე იტალიური კლუბის პრეზიდენტს ეკითხებოდა ჭკუასო, მაგრამ ფაქტია, ზესტაფონური კლუბის პრეზიდენტმა შაბათის მატჩი ჩაშალა, მილჩენკოს პირი უშალა, ხალხი ნერვებზე აშალა, მერე კი სუფრა გაშალა და როდემდე მოილხინა, ეს თავად თუ ეცოდინება.

რომელ ჩაშლაზე, აშლაზე ან შლაგაშლაზე ვლაპარაკობთ, ახლავე გეტყვით.

### მატჩის ჩაშლა

მატჩის დაწყებამდე ერთი საათით ადრე ზესტაფონში მოედანი დაუხაზავი იყო. მასპინძელთა მთავარი მწვრთნელი ზაურ ჩუბინიძე კი წუხდა, მგონი, არ გვათამაშებენ, ჩემპიონატში სამონაწილეო თანხა გადაუხდელიაო.

ამ დროისთვისვე „მეტალურგს" 22 000 ლარიდან თეთრიც კი არ შეეტანა ფედერაციის ანგარიშზე. სფფ-ს ინსპექტორის ანატოლი მილჩენკოს თქმით, „მეტალურგის" პრეზიდენტმა მას მხოლოდ 4 000 ლარი შესთავაზა. მილჩენკო ფედერაციის თავკაცობას დაეთათბირა და თანხის მთლიანად დაუფარაობის შემთხვევაში მატჩის ჩაშლით დაიმუქრა. 4000 ლარი კი დინამოელთა თანდასწრებით მდივანს უკანვე ჩაუთვალა.

ნახევარ საათში მდივანმა იგივე თანხას ზესტაფონის ახალი გამგებლის, ელგუჯა კვეტენაძის ავტორიტეტი წაამატა — მილჩენკოს 4000 ლარი ახლა გამგებელმა გადასცა.

შექმნილ სიტუაციაში მდივნის მიერ გაბრიყვებულმა გამგებელმა და ამავდროულად სფფ-ის საშეჯიბრო კომიტეტის თამჯდომარის შოთა ხინჩაგაშვილის მძახალმა დარჩენილი თანხის ნამატჩევს დაფარვის გარანტიაც გასცა, მაგრამ...

### პირის შლა

დანიშნულ დრომდე 5 წუთით ადრე თამაში გადაწყდა. ფედერაცია დათმობაზე წავიდა, მაგრამ ცალხელშიმობილურიანმა მდივანმა ახლა ახალი მითითება მიიღო და საკუთარ გუნდს მოედანზე გასვლა აუკრძალა.

ნუგზარ მდივანი სფფ-ს ინსპექტორთან ამბობდა, ფული არ გვაქვს, მოსკოველი მეგობარი შეგვეწია და 4000-ზე მეტს თავი ვერ მოვუყარეთო.

ამან ცხადია, მისთვის გვაკითხვინა, 22 000 ლარი არ გაქვთ, გუნდის შენახვას როგორღა აპირებთო. ამჯერად პასუხი სხვაგვარი იყო: განა უფულობაა საქმე, დავით პეტრიაშვილი დაგვპირდა, თუ პრეზიდენტი გავხდი, ამ თანხას საერთოდ არ გადაგახდევინებთო. ახლა რომ გადასახადი სრულად დავფაროთ, კარგად მოგეხსენებათ, დამბრუნებელი აღარავინააო.

საინტერესოა, ვინც თავის ფავორიტს სამი კვირით 10 000 დოლარს არ ენდობა და პირის შლის ეშინია, როგორ ანდობს ქართული ფეხბურთის მომავალს უახლოესი ოთხი წლით? მაგრამ ამაზე სიტყვის გაგრძელება ახლა არ ღირს.

### ნერვების აშლა

18 საათზე მოედანზე მსაჯთა ბრიგადა და თბილისის „დინამო" გავიდა. 10-15 წუთს მოედნის ცენტრში იცადა და რაკი მეტოქე გუნდი პირით ხაზს ვერ გასცდა, გასახდელშივე გაბრუნდა.

ამან ცხადია, გააოცა და გააბრაზა როგორც მასპინძელთა, ისე სტუმართა ქომაგები, რომლებმაც 200-მდე კილომეტრი იმისთვის არ გაიარეს, რომ მათ ასე უპატივცემულოდ მოქცეოდნენ.

ზესტაფონში პატივი ვერც ოთხშაბათს დაღუპული ზურაბ დოლიძის ხსოვნას მიეგო. გავეშებულ ხალხს წუთიერი დუმილის დაცვას აბა, რომელი ჭკუათმყოფელი მოსთხოვდა — მხოლოდ მოუბოდიშეს, მატჩი ტექნიკური მიზეზით ვერ შედგებაო.

### სუფრის გაშლა

ნუგზარ მდივანს რომ მატჩის ჩაშლა დიდად არ განუცდია და პირიქით, კმაყოფილი დარჩა, აქედანაც ჩანს: ანატოლი მილჩენკოსთან ერთ-ერთი რაუნდისას, ბატონ ნუგზარს ჟურნალისტთა გასაგონად წამოცდა, თუ მატჩი არ გაიმართა, მთლად უკეთესი, ჩვენ მეტი დრო გვექნება, რომ დავჯდეთ და პური ვჭამოთო.

ანატოლი მილჩენკო ის კაცი არაა, მდივანის სუფრისთვის წიხლი ეკრა და ღმერთმა შეარგოს. გაუგებარი ისაა, რაზე უნდა ელაპარაკათ სტუმარ-მასპინძელს, რაც მოხდა, იმის შემდეგ.

ფოთი. ფაზისი. (ტევადობა 6 000). 3 აგვისტო. 18.00 საათი.

**კოლხეთი — მილანი**

მსაჯები: ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე, ნ. რუხაიშვილი; გ. კაკაჩიშვილი (ყველა ქუთაისი);

სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე

# მიველ, ვნახე, წამოვედი!

## მილანის ფიორენტინას ბედი ემუქრება

**გიორგი ვაშაკიძე ფოთიდან**

– მატჩის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე მიადგა უმაღლესი ლიგის დებიუტანტი წნორის „მილანი" „ფაზისს". კახელები იქვე, ყვავილნარში იყვნენ დაბანაკებულნი — დროზე მოუსვლელობის მიზეზი კი ფული გახლდათ — წნორელებმა ფეხბურთის ფედერაციის ანგარიშზე სამონაწილეო თანხის ნახევარი, 11 000 ლარიც ვერ გადარიცხეს...

მაყურებელი ღელავდა. ყველას ერთი კითხვა აწუხებდა: იქნება თამაში თუ არა? მატჩის დელეგატი, სფფ-ის სამსაჯო კომიტეტის შეფის მოადგილე ოთარ გუნთაძე ვერაფერს ამბობდა, ჩანს, იგი „ზემოდან" ზარს ელოდა...

„ცოტა ხანი გვაცალეთ, ზარს ველოდები, იქნებ თანხის გადარიცხვა მოვასწროთო" — იხვეწებოდა წნორელთა წარმომადგენელი, მაგრამ აშკარად ეტყობოდა, ვითარება უიმედო იყო.

18 საათი და 15 წუთი. გუნთაძეს გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარიაატყობინებს: „სამონაწილეო თანხის ნახევარიც (11 ათასი ლარი) არ არის გადმორიცხული. შეხვედრა არ ჩაატაროთ." პატაკში შედეგი არ დაუფიქსირებია, განაჩენს თავად ფედერაცია გამოიტანსო.

ორი გაძეძგილი მიკროავტობუსით გაემართნენ დალონებული წნორელები შინისკენ.



მარიამ ფირცხალაიშვილი და ანზორ მამალაძე

# შერისხულთა რისხვა

## ფედერაცია პრინციპებით ვაჭრობს

*სამონაწილეო 22 ათასი ლარის ვერ თუ არ გადამხდელ გუნდებს ფედერაციამ, დაპირებისამებრ, საქართველოს მეთოთხმეტე ჩემპიონატის პირველ ტურში თამაშის ნება არ დართო. ფედერაციის პრეზიდენტის კარსმომდგარმა არჩევნებმა ჩვენი ისედაც არეულ-დარეული ჩემპიონატი, უფრო არივ-დარია. ფედერაციამ სიტყვა არ გადათქვა და ისევ პრინციპულია, თუ „მეტალურგმა", „მერანმა", „მილანმა" და „გორდამ" მეორე ტურამდე ვერ მოახერხეს საჭირო თანხის შეგროვება, მათ ჩემპიონატიდან მოკვეთა ემუქრებათ. ცხადია თავისი არგუმენტები აქვთ ზემოთ ხსენებული კლუბების თავკაცებსაც. ქვემოთ მათ ნაუბარს გაეცანით.*

**მარიამ ფირცხალაიშვილი, „მილანის" პრეზიდენტი:**

ფედერაციას რომ ქართული ფეხბურთის ბედი აინტერესებდეს, ასეთ სამარცხვინო გადაწყვეტილებას არ მიიღებდა. სფფ-ის ხელმძღვანელებისთვის გუნდების ელემენტარულ დახმარებაზე მნიშვნელოვანი 800 ათას დოლარიანი ოფისის აშენებაა. ამ ხალხს საქართველოში ფეხბურთის განვითარება არ აინტერესებს, მათ აინტერესებთ ფული.

ხუთი წელი წელებზე ფეხს ვიდგამდით, სხვის დაუხმარებლად მოვედით აქამდე. კარგად იცის ჟორდანიამ, რომ მთლიანად სოფლის მეურნეობაზე ვიყავით დამოკიდებული, 600 ჰექტარზე ხორბლის მოსავალს ველოდით. მეწყერმა დიდი ზარალი მოგვაყენა, მაგრამ იმის რეზერვი მაინც გვაქვს, წელში რომ გავიმართოთ, ამ ეტაპზე კი მართლაც გაგვიჭირდა და სფფ-მ დახმარების ნაცვლად წიხლი დაგვაჭირა. ვის რაში სჭირდება ასეთი ფედერაცია. კი, ბატონო, ამბობენ, დებულებით ვხელმძღვანელობთ და 22 ათასი ლარი ყველამ უნდა გადაიხადოსო. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ სფფ-ს მხოლოდ ახლა გაახსენდა დებულება. ორი გუნდის გარდა არც ერთს არა აქვს თანხა სრულად გადახდილი. ფოთში სფფ-მ თავისივე ხელით მოჭრა ის ერთადერთი ტოტი, დებულების ზედმიწევნით შესრულებასთან რომ იყო დაკავშირებული. მატჩის ჩაშლა არ მსურდა, ბოლო მომენტამდე მქონდა იმედი, რომ ფედერაცია თავის „შვილს" არ გაწირავდა. თურმე ვცდებოდი. გუნთაძეს ვთხოვე დახმარება. 4 000 ლარი მაქვს და მიშუამდგომლე სფფ-სთან, ყველაფერს გავყიდი, ფულს გადავიხდი, ოღონდ თამაშს ნუ ჩამიშლითმეთქი. ფედერაციიდან შემოთვალეს, 11 ათასი ლარი გადაიხადონ და ითამაშონო. ეს არის დებულების დაცვა და პრინციპულობა? ამას ვაჭრობა ჰქვია. თუკი სანახევრო შეღავათი მოგვცეს, არ შეეძლოთ, 4 000 ლარს დასჯერებოდნენ? მე ხომ სრულ გარანტიას ვიძლეოდი, რომ თანხას ბოლომდე გადავიხდიდი, მაგრამ მათ მშვენივრად იცოდნენ, მხოლოდ 4 000 მქონდა და ფოთში არ ვიყავი 7 000 ლარის მშოვნელი...

საშინლად გულმოკლული ვარ მომხდარით. რომან შოთაძემ თქვა, არ გადაიხდიან და გავრიცხავთ, პირველი ლიგიდან ჩავანაცვლებთ გუნდებსო. ეს ხომ აბსურდია, პირველი ლიგის რომელი გუნდი შეძლებს ერთბაშად 22 ათასი ლარის გადახდას. მათ ერთი მიზანი აქვთ, პეტრიაშვილის მხარდამჭერები მოგვიშორონ, თანაც ისე, საარჩევნო ხმის უფლება ჩამოგვერთვას. ამ სიამოვნებას არ მივანიჭებ სფფ-ს ხელმძღვანელებს.

ფოთიდან დაუყოვნებლივ თბილისში ჩამოვედი. აქ სახლი მაქვს, მანქანა და დავაგირავებ. თუ მეორე მატჩამდე ამის გაკეთება ვერ მოვასწარი, საერთოდ გავყიდი მანქანას და საჭირო თანხას როგორმე თავს მოვუყრი, პირველ რიგში ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ, სფფ-გან განსხვავებით, იმ ხალხის ბედი მაღელვებს, ვინც კახეთში ფეხბურთის განვითარებითაა დაინტერესებული და ვინც მუხლჩაუხრელად შრომობდა, რათა „მილანი" უმაღლეს ლიგაში გადასულიყო.

**ანზორ მამალაძე, „მერანის" პრეზიდენტი:**

— სრულიად გაურკვეველ მდგომარეობაში ვარ. ჯერ ნამდვილად არ ვიცი, რა მოხდება. ამიტომ ჯერ ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებას ველი. ვნახავ, რას გადაწყვეტენ და მერე მეც შესაბამისად ვიმოქმედებ.

...მატჩის ჩატარების იმედი მაინც მქონდა. 16.30 საათზე დარეკეს ფედერაციიდან და შეგვატყობინეს, რომ თუ სამონაწილეო თანხის ნახევარს, ანუ 11 ათას ლარს გადავიხდიდით, თამაში ჩატარდებოდა. „მერანის" მდგომარეობა კი ყველას მოეხსენება. სად მქონდა 11 ათასი ლარი? ამიტომაც მატჩის ჩაშლა უკვე რეალური იყო, თუმც რაღაცის მაინც მეიმედებოდა. 18 საათზე კი დარეკეს და გვაცნობეს, ფული არც რუსთავის „გორდას" გადაუხდია და მატჩი არ ჩაატარეთო.

არადა, ფედერაცია ამტკიცებდა, რომ რუსთავის „გორდამ" სამონაწილეო თანხა მთლიანად დაფარაო, მაგრამ ესეც მორიგი ტყუილი აღმოჩნდა. ყველაფერი ისე იყო გათვლილი, რომ მე 11 ათასი ლარი მაინც უნდა მეშოვა და ფედერაციაში შემეტანა. მერე, ცხადია, მატჩიც ჩატარდებოდა და მე ხომ არ დავიწყებდი იმის ძიებას, „გორდას" თანხა გადახდილი აქვს თუ არაო?..

...ადრეც არაერთხელ მითქვამს და დღესაც ვამბობ, „მერანი" ჩემპიონატში მონაწილეობას არ უარობს. უბრალოდ, ახლა ძალიან გვიჭირს და ფედერაციას თანხის ნაწილის გადახდა ვთხოვე. 2000 ლარს სამონაწილეოს ვიხდიდი, 1950 ლარს კი სატრანსფეროს, თუმც ამაზე უარი გვითხრეს. 35 წელია, ფეხბურთში ვარ და ასეთი არაფერი მინახავს. დღეს გვიჭირს და ხვალ შეიძლება ფეხზე დავდგეთ. ხომ შეიძლება, დაგვეხმარონ? მით უმეტეს, დღეს საღამოს შესაძლო სპონსორის ერთ-ერთ წარმომადგენელს უნდა შევხვდე. იმედი მაქვს, ყველაფერი „მერანის" სასიკეთოდ გადაწყდება.

**სერგო ბუიღლიშვილი, „გორდას" პრეზიდენტი:**

**სამწუხაროდ**, გაურკვევლობაში აღმოვჩნდი. ჩემი გუნდში მისვლა განპირობებული იყო პარტნიორებთან და ქალაქის ხელმძღვანელებთან შეთანხმებით. ამის საფუძველზე გადავწყვიტე კრედიტის აღება, რომლის ნაწილსაც ამ კვირაში მივიღებთ. თავის მხრივ, სამონაწილეო თანხის გადახდის ვალდებულება ქალაქის ხელმძღვანელობამ იკისრა და, როგორც ჩანს, რაღაც გაუგებრობა მოხდა. ეს წუთია სფფ-ს ხელმძღვანელებს ვესაუბრე და „გორდას" სამონაწილეო თანხა ჯერაც არ არის ფედერაციის სალაროში შეტანილი. ხვალ რუსთავის მერს მერაბ ტყეშელაშვილს შევხვდები და იმედი მაქვს, ამ გაურკვეველ ვითარებას თავს დავაღწევთ და ყველაფერი სასიკეთოდ მოგვარდება.

**ბაჩტა ძგანტალიანი**
**ძახა ზალამბერიძე**

# მერაბ ჟორდანიას გარიცხვას ციხე ურჩევნია

## ქართული ფეხბურთის საქმეს კოლოსკოვი გაარჩევს



**ეროვნული** ჩემპიონატის პირველი ტურის შაბათს გასამართი ოთხი მატჩიდან მხოლოდ ერთი ჩატარდა. მიზეზი, ალბათ, მოგეხსენებათ — ზესტაფონის „მეტალურგს", რუსთავის „გორდას", თბილისის „მერანსა" და წნორის „მილანს" ჩემპიონატში მონაწილეობისთვის 22 ათასი ლარი არ გადაუხდიათ. ამ ოთხეულიდან მეტად უცნაურად იქცევა და, შეიძლება ითქვას, ფედერაციას ჯიბრში უდგას „მეტალურგის" პრეზიდენტი ნუგზარ მდივანი, რომელიც ფულს აჩენს, მაგრამ არ იხდის და არც ზესტაფონის გამგებელს ემორჩილება. ქიზიყელები კი ამბობენ, რამდენიმე დღე გვადროვეთ, საწევროს სრულად დავფარავთო. „მერანი", მიუხედავად იმისა, რომ უკვე ტექნიკური წაგება ჩაეთვალა 0:3, თანხის მეოთხედის გადამხდელიც არ არის, უფულობას უჩივის. „გორდა" მომხდარს მცირე გაუგებრობას აბრალებს.

ამ დროს ფეხბურთის ფედერაცია თავის პირვანდელ, პრინციპულ პოზიციაზეა: ჩემპიონატის მეორე ტურამდე, 9 აგვისტომდე, ზემოხსენებული ოთხეული საწევროს თუ არ გადაიხდის, იგი მათ ჩემპიონატიდან მოკვეთით, შესაბამისად, მოახლოებულ ყრილობაზე ხმის უფლების გაუქმებით და საქმის ყრილობისთვის გადაცემით ემუქრება. კაცმა რომ თქვას, ფედერაციას ამ საკითხში ვერ მიედავები, ირღვევა დებულება — ისჯება დამნაშავე, თუმც ერთიცაა, დებულებაში სხვაც ბევრია აღნიშნული და გუნდებისგან აუცილებლად შესასრულებელი, მაგრამ განმკითხავი არავინაა. ითქვა, რომ საწევროს გადახდა-არგადახდა და ფედერაციის აქამდე გაუგონარი პრინციპულობა, წინასაარჩევნო კამპანიასთან პირდაპირ კავშირშიაო. მაგალითად, „მერანი" არც მალავსა — დავით პეტრიაშვილის პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში, ჩემპიონატში მონაწილეობისთვის კაპიკი არ გვექნება გადასახდელი და 22 ათასი ფედერაციას ახლა რომ გადავურიცხოთ, პეტრიაშვილის შესაძლო გამარჯვების შემდეგ, ამ ფულს არავინ დაგვიბრუნებსო. თითქმის ამავე აზრზეა „მეტალურგის" პრეზიდენტიც. ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია კი, რომელმაც გუშინ პრესკონფერენცია გამართა, აცხადებს, ჩვენი პოზიცია ყრილობასთან არანაირ კავშირში არ არის, დებულებას მტკიცედ ვიცავთო.

— რუსთავის მერთან, ბატონ მერაბ ტყეშელაშვილთან მეგობრული ურთიერთობა მაქვს და სწორედ მან მითხრა პარასკევს, საწევრო თქვენს ანგარიშზე გადმორიცხულიაო. როგორც ჩანს, მერიც შეცდომაში შეიყვანეს, რუსთაველთა ფული ჩვენ არ მიგვიღია. ამიტომაც „გორდასაც" პირველ ტურში ტექნიკური წაგება ჩაეთვალა. ვფიქრობ, ჩვენი ეს გადაწყვეტილება დასტურია იმისა, რომ ფედერაციისთვის არც ერთი გუნდია პრივილიგირებული. დებულების ყველა დამრღვევს ერთნაირად დავსჯით. ამ ამბავს ყრილობას არ ვუკავშირებთ — თქვა მერაბ ჟორდანიამ — ამ გუნდებმა არ იციან, რას აკეთებენ, თავიანთ ნაბიჯებს ვერ საზღვრავენ. ოთხივე გუნდს ახლავე ვაფრთხილებ, მეორე ტურამდე რამდენიმე დღით ადრე — არ გადაიხდიან საწევროს და ოთხივეს გავრიცხავთ საქართველოს ჩემპიონატიდან, ეს ავტომატურად ნიშნავს, რომ ყრილობაზე ხმის უფლება არ ექნებათ. მათ მომავალზე კი სწორედ ყრილობაზე ვიმსჯელებთ. ჩვენ მზად ვართ, ამ კლუბებს შეღავათი გავუწიოთ და მათგან 22 ათასის ნახევარიც მივიღოთ თუ ნახევარისაც უახლოეს მომავალში გადაიხდიან. დღეს რატომღაც დარწმუნებულიც კი ვარ, რომ ეს გუნდები თანხას 9 აგვისტომდე მაინც გადაიხდიან და თავს გამოუვალ მდგომარეობაში არ ჩაიგდებენ.

ზესტაფონში მომხდარ ფაქტზე და პირადად ნუგზარ მდივანის საქციელზე აღმასკომის უახლოეს სხდომაზე ცალკე ვიმსჯელებთ. ეს იყო წმინდა წყლის პროვოკაცია. ზესტაფონის რაიონის გამგებელმა გუჯა კვეტენაძემ თამაშის ჩასატარებლად ყველაფერი გააკეთა, მაგრამ მდივანის საკვირველმა გადაწყვეტილებამ მატჩი ჩაშალა.

დღეს უკვე მერაბ ჟორდანია გენერალურ მდივან ვალერი ჩოლარიასთან ერთად ფიფას მიწვევით შვეიცარიას მიემგზავრება. საქმე, იცოცხლეთ, მეტად მნიშვნელოვანი აქვთ. გასულ კვირაში ხომ ფედერაციამ ფიფას აქაური წინასაარჩევნო ამბავი წვრილ-წვრილად ამცნო და პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატის დავით პეტრიაშვილის სამოქალაქო სასამართლოში შეტანილი სარჩელის თაობაზე მისწერა.

— ვეცდებით, ფიფას ხელმძღვანელობას ქართულ ფეხბურთში არსებული ვითარება ავუხსნათ და მათი შესაძლო სანქციები თავიდან ავიცილოთ. ჩვენ ვალდებულნი ვიყავით, პეტრიაშვილის სარჩელის შესახებ, ფიფასთვის გვეცნობებინა. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ რაიმე კომპრომისული ვარიანტი გამოვნახოთ. მოგეხსენებათ, ფიფა ფეხბურთის უპირველესი ორგანოა და მისი წეს-კანონების შეუსრულებლობა ეროვნული ფედერაციის მოკვეთით, ფიფადან გარიცხვით მთავრდება. მეორეა ქვეყნის სამოქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება — დაუმორჩილებლობა, ამ შემთხვევაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობით ისჯება. რა ვქნათ, ფიფას არ დავემორჩილოთ? მაშინ ჩათვალეთ, რომ ფიფადან გარიცხულები ვართ. ეს კატასტროფა იქნება. ამას არ დავუშვებთ. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მირჩევნია ფიფადან ქართული ფეხბურთის მოკვეთას.

ჩვენს წერილს ფიფას ეროვნული ასოციაციების კომიტეტი განიხილავს. სხვათა შორის, ამ კომიტეტის თავმჯდომარედ ახლახან დაინიშნა რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი ვიაჩესლავ კოლოსკოვი. მას ტელეფონით თითქმის ყოველდღე ვესაუბრები და მეუბნება, თქვენს საკითხზე ფიფაში უკვე მუშაობენო. ამავე კომიტეტის წევრია უკრაინელი გრეგორი სურკისიც. ვნახოთ, ჯერ არ ვიცი, ისინი როგორ გადაწყვეტილებას მიიღებენ. კოლოსკოვისა და სურკისის გარდა ამ კომიტეტში 14-15 კაცია. ვიმეორებ, ჩვენ ვეცდებით, ფიფასა და სასამართლოს გადაწყვეტილების შორის რაიმე კომპრომისული ვარიანტი გამოინახოს. დანარჩენი ფიფაზეა.

და ერთიც. მერაბ ჟორდანიამ პრესკონფერენციაზე ბადრი პატარკაციშვილთან მის ამასწინანდელ შეხვედრაზეც თქვა, ოღონდ, ცხადია, მათ შორის საუბრის დეტალები აღარ დააკონკრეტა. შეგახსენებთ, პატარკაციშვილი იყო პირველი, ვინც ფედერაციის პრეზიდენტობისთვის ბრძოლაში დავით პეტრიაშვილის თანადგომა საჯაროდ განაცხადა.

— სამწუხაროა, რომ ბატონ ბადრი პატარკაციშვილს გვიან შევხდი. თუმც ეს არაა მთავარი. კმაყოფილი ვარ მასთან საუბრით, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, ის ქართული ფეხბურთის მომავლით სერიოზულადაა დაინტერესებული, აწუხებს დღევანდელი პრობლემები. ჩვენი ფეხბურთის საკეთილდღეოდ თანამშრომლობაზე შევთანხმდით, ჩათვალეთ, რომ უკვე ერთმანეთის მეგობრები ვართ. აქამდე ბევრი გვიშლიდა ხელს, ბევრს არ აძლევდა ხელს ჩვენი შეხვედრა, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. ბადრი პატარკაციშვილი ის კაცი არაა, თავის პოზიცია ერთ დღეში, ერთი შეხვედრის შემდეგ შეცვალოს, თუმც შემიძლია, გითხრათ, რომ ყრილობის შემდეგ ჩვენ თანაგუნდელები ვიქნებით. რასაც ვამბობ, ვგულისხმობ პირადად ბადრი პატარკაციშვილს და არა მთლიანად მის გუნდს.

მერაბ ჟორდანია შვეიცარიიდან მომავალ კვირას დაბრუნდება. როგორც თავად ამბობს, ფიფაში შეხვედრის შემდეგ ერთი-ორი დღეც შეყოვნდება და ყრილობაზე წინასაარჩევნო სიტყვას მოამზადებს.

**ძოზა ინასარიძე**



დმიტრი პარფიონოვი ფეხზე გაისმდე ვერ დადგება

# ორმაგი მოტეხილობა და აბრამიძის შანსი

## რუსეთი

### პრემიერლიგა. XVIII ტური

**ალანია 3:2 სოკოლი**

1:0 დემეტრაძე (18), 2:0 კუსოვი (24), 2:1 ბალტიევი (58), 2:2 საკოვი (59), 3:2 აშვეთია (68)
დემეტრაძემ ვერ გაიტანა პენალტი (67, მეკარე)
ალანია: გაბულოვი, პაგაევი, ტგაევი, სვიდერსკი, ბესტაევი (რ. ბითაროვი 79), თეთრაძე, კუსოვი (ტარლოვსკი 72), გ. ბაზაევი, პაულუ ემილიუ, დემეტრაძე, აშვეთია (დ. ბაზაევი 83)
მწვრთნელი: ბახვა თედეევი
გაფრთხილება: პაგაევი, ზახარჩუკი, ბუგაკოვი, ვოლოდენკოვი, კაჩურო
მსაჯი: კოლობაევი
20 000 მაყურებელი

**როსტსელმაში 2:0 ანჟი**

1:0 ფომენკო (22), 2:0 ოსინოვი (86პ)
ანჟი: არმიშევი, ბურემენინა, ტკსენოვი, სტოიკოვიჩი, ბლოგოვიჩი, ტგალაროვი, მხაჰანაძე, ხაშხიჩი (საველიევი 41), მიტროფანოვი, პრუდნიუსი (ალექსეევი 46; ბაშმაკოვი 75), ბუდუნოვი
მწვრთნელი: მირონ მარკევიჩი
გაფრთხილება: მიკიტინი, ბუდუნოვი, მხაჰანაძე
მსაჯი: ვესელოვსკი
5 000 მაყურებელი

**ლოკომოტივი 1:0 ტორპედო**

1:0 მამინოვი (56)
ტორპედო: ვორობიოვი, მალაი, მახმუტოვი (საჯაია 68), ლუხვიჩი, იოლოვიჩი, ბჟინჯალი, ლეონჩენკო, სემშოვი, კორმილცევი (ვოლკოვი 69), ბუდილინი (კუზმიჩევი 62), ლებედენკო
მწვრთნელი: სერგეი პეტრენკო
გაფრთხილება: დროზდოვი, მახმუტოვი, ბჟინჯალი
მსაჯი: ხოდირევი
11 000 მაყურებელი

**სპარტაკი 1:0 დინამო**

1:0 დანიშევსკი (67)
სპარტაკი: ლევიცკი, ჩუისე, მიტრეისკი, ანანკო, კებე, ბარანოვი, პარფიონოვი (აბრამიძე 87), კუდრიაშოვი, ციხმეისტრუკი (პავლენკო 68), ბესჩასტნიხი, ფლო (დანიშევსკი 66)
მწვრთნელი: ოლეგ რომანცევი
გაფრთხილება: კებე
მსაჯი: ივანოვი
11 500 მაყურებელი

**სატურნი 1:2 ზენიტი**

0:1 მუდრინიჩი (56), 1:1 როგაჩევი (69), 1:2 კერჟაკოვი (90)

**ურალანი 1:0 ზილ**

1:0 წიკლაური (123)

**შინიკი 1:0 როტორი**

1:0 გერასიმენკო (62)

**კრილია 0:2 ცსკა**

0:1 გუსევი (9), 0:2 პოპოვი (11)

**შაბათს** პრემიერლიგის ფავორიტთაგან სამივემ მოიგო, მაგრამ თუ „ლოკომოტივის" გამარჯვება ახალი სტადიონის ოფიციალური გახსნით გალამაზდა, ხოლო ცსკა-ს ნაკრების მეკარე რუსლან ნიგმატულინი შეემატა, სპარტაკელთა სიხარული „დინამოსთან" მატჩის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე მცველ დმიტრი პარფიონოვის საშინელმა ტრავმამ გააუფერულა. პარფიონოვი ბურთისთვის ბრძოლაში მეტოქე გრიშინს შეეჯახა და მუხლს ქვემოთ ორმაგი მოტეხილობა მიიღო. ექიმების თქმით, მცველს მაინც გაუმართლა, დაზიანება ოდნავ ძლიერი რომ ყოფილიყო, შესაძლოა, ფეხბურთი საერთოდ ვეღარ ეთამაშა, ახლა კი ეიმედებათ, რომ ნახევარ წელიწადში მსუბუქ ვარჯიშს დაიწყებს და მომავალი სეზონისთვის კვლავ ჩვეულად გაირჯება. მისი თანაგუნდელები კი იმდენად შეძრა მომხდარმა, რომ მატჩის შემდეგ ჟურნალისტებსაც ვერ დაელაპარაკნენ. ალბათ, ყველამ დაზარალებულის ადგილზე წარმოადგინა საკუთარი თავი... შეხვედრის ერთადერთი გოლი 67-ე წუთზე ჭაბუკმა დანიშევსკიმ გაიტანა, პარფიონოვის ნაცვლად კი ქართველმა დებიუტანტმა ვალერი აბრამიძემ ითამაშა.

„ლოკომოტივის" ბანაკში დიდი მხიარულება იყო. შაბათს რკინიგზელის დღე გახლდათ და ახალი სტადიონიც ოფიციალურად გახსნეს. ჩვენი რუსი კოლეგების ცნობით, საზეიმო პროგრამა ჩინებულად ყოფილა ორგანიზებული. რაც მთავარია, ჩინოვნიკების ბლენძაობისა და ბრტყელ-ბრტყელი სიტყვების ნაცვლად მაყურებლებს ბევრი სიმღერა, ნაირფერი ბუშტების ზღვა და ფოიერვერკი უნახავთ. მომღერალ ოლეგ გაზმანოვს კი ისე მოუხიბლავს საზოგადოება, რომ ფეხბურთი აღარავის ახსოვდა. „ლოკომოტივმა" მამინოვის ეული გოლით მოუგო თანაქალაქელ „ტორპედოს" და კვლავ პირველ ადგილზეა. სხვათა შორის, ეს რკინიგზელთა პირველი გამარჯვება გახლდათ ახალ სარბიელზე.

ცსკა სამარაში უპრობლემოდ გაუსწორდა „კრილიას". გუსევისა და პოპოვის გოლებს მასპინძლებმა ვერაფრით უპასუხეს. არმიელთა რიგებში პირველად ითამაშა რუსეთის ნაკრების მეკარე რუსლან ნიგმატულინმა, რომელიც აქამდე იტალიური „ვერონას" ძირითადში არცთუ ხშირად ხვდებოდა: „ცსკა ჩემპიონობისთვის იბრძვის და ასეთ კლუბში თამაში ბევრად საინტერესოა, ვიდრე სერია B-ში" — უთხრა ნიგმატულინმა ჟურნალისტებს. მისი რუსეთში დაბრუნების ერთ-ერთი მიზეზი ალბათ ისიც არის, რომ ცსკა-ს მწვრთნელი ვალერი გაზაევი ეროვნული გუნდის თავკაციცაა.

ვლადიკავკაზის რესპუბლიკურ სტადიონზე კი ნაღდი თრილერი გათამაშდა. 58-ე წუთისთვის „ალანია" 2:0 უგებდა „სოკოლს" [illegible] გიორგი დემეტრაძემ გაიტანა, [illegible] მიწყნარებულიყვნენ და ალბათ უკვე მატჩის დამთავრებაზეც ფიქრობდნენ, როცა მოულოდნელი რამ მოხდა, სტუმრებმა ორ წუთში ორი საპასუხო შეაგდეს და მასპინძლები გააოგნეს. მალე თითქოს საშველი გამოჩნდა, მსაჯმა კოლობაევმა „სოკოლის" კარში პენალტი დანიშნა, მაგრამ დემეტრაძეს მეკარე ზახარჩუკმა აუღო, ბურთი კუთხურზე მოიგერია. ვითარება მთლად დაიმუხტა, თუმცა ქართველის წახდენილი ისევ ქართველმა გამოასწორა. ბაზაევის ჩაწოდებულ ამ კუთხურს მიხეილ აშვეთია საჭირო ადგილზე დახვდა და თავით გამარჯვებისა გაიტანა. საინტერესოა, რომ 9 ივლისიდან, ანუ მას შემდეგ, რაც „ალანიას" „ქართული ჯოკერი" დემეტრაძე-აშვეთია შეუერთდნენ, აუტსაიდერ ვლადიკავკაზელებს თამაში აღარ წაუგიათ, სამი მოიგეს და ორი ფრედ დაამთავრეს, ჩვენებურებმა კი დროის ამ მონაკვეთში ალანთა 10 გოლიდან 8 გაიტანეს...

**სოლომონ გულისაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 19 | 12 | 6 | 1 | 26:8 | 42 |
| სპარტაკი | 19 | 12 | 3 | 4 | 33:23 | 39 |
| ცსკა | 17 | 11 | 3 | 3 | 30:13 | 36 |
| შინიკი | 19 | 8 | 5 | 6 | 28:24 | 29 |
| სატურნი | 18 | 8 | 5 | 5 | 24:22 | 29 |
| კრილია | 18 | 8 | 3 | 7 | 23:23 | 27 |
| დინამო | 18 | 8 | 2 | 8 | 22:17 | 26 |
| ზენიტი | 18 | 7 | 4 | 7 | 24:23 | 25 |
| როტორი | 18 | 7 | 4 | 7 | 15:15 | 25 |
| ურალანი | 19 | 4 | 9 | 6 | 24:27 | 21 |
| ტორპედო | 18 | 5 | 5 | 8 | 23:23 | 20 |
| ალანია | 18 | 5 | 4 | 9 | 24:29 | 19 |
| ანჟი | 18 | 3 | 8 | 7 | 14:27 | 17 |
| როსტსელმაში | 17 | 4 | 4 | 9 | 16:28 | 16 |
| ზილ | 18 | 3 | 6 | 9 | 13:27 | 15 |
| სოკოლი | 18 | 2 | 5 | 11 | 12:22 | 11 |



„სელტიკის" გოლები, ცხადია, ჰენრიკ ლარსონმა გაიტანა



შოთა არველაძის თავური „რეინჯერსს" გამარჯვებისთვის არ ეყო

# ეს ხომ ნანახი გვაქვს! შოთამ უთავაზა და იწყინა

## შოტლანდია

### პრემიერლიგა. I ტური

**კილმარნოკი 1:1 რეინჯერსი**

0:1 შ. არველაძე (30), 1:1 მაკლარენი (80)
რეინჯერსი: კლოსი, რიკსენი, მური, ამორუზო, ნუმანი, არტეტა (კონტერმანი 75), რ. დე ბური (ლატაპი 69), ფერგიუსონი, შ. არველაძე, ლოვენკრანდსი, მაკკენი (ფლო 82)
მწვრთნელი: ალექს მაკლიში
მსაჯი: კენი კლარკი
13 972 მაყურებელი

**სელტიკი 2:1 დანფერმლაინი**

1:0, 2:0 ლარსონი (41, 66), 2:1 დემპსი (74)

**დანდი 1:1 პარტისი**

0:1 უელსი (33), 1:1 კაბალიერო (65)
დანდი: სპერონი, მაკეი, სმიტი, უილკი, ერნანდესი, რაე, ნემსაძე, მაირი, ნოვო, სარა, კაბალიერო
მწვრთნელი: ჯიმ დაფი

**ჰიბერნიანი 1:2 აბერდინი**

1:0 ლუნა (31), 1:1 მაკი (64), 1:2 კლარკი (90)

**ლივინგსტონი 3:2 მოზერუელი**

1:0 რუბიო (8), 2:0, 3:0 ზარატე (34, 47), 3:1 ლიტჩი (60), 3:2 ლემანი (64)

**პარტიკი 0:0 დანდი იუნაიტედი**

**ახალი არაფერია.** უბრალოდ, 2002-03 სეზონი დაიწყო და შაბათს გამართული მატჩების ერთობლიობას პირველი ტური ერქვა. სხვა ყველაფერი წინა ჩემპიონატის დარად წარიმართა.

ისევ მოიგო ჩემპიონმა „სელტიკმა" და გოლები ისევ ჰენრიკ ლარსონის ანგარიშზეა. მსოფლიოს თასზე სამჯერ თავგამოჩენილმა შვედმა, ჯერ პირველი ტაიმის მიწურულს, კუთხურიდან ბობი პეტას ჩაწოდებულს შეაგება თავი, მეორე ტაიმის შუაწელს კი 20-იარდიანიც დაჰკრა. „სელტიკ პარკის" საზოგადოება, ანუ 57415 მაყურებელი დამშვიდდა. ალბათ, ასევე მოუვიდათ მათ კერპებს, რამაც ლამის იყო სავალალო შედეგი გამოიღო: შეცვლაზე შესულმა დანფერმლაინელმა გარი დემპსიმ ბურთი პირველივე შეხებით მასპინძელთა კარში შეაგდო, ბოლო წუთზე კი ექსრეინჯერსელ ბარი ნიკოლსონს შეეძლო თავისი ყოფილი და ახალი გუნდების გახარება, მაგრამ რობერტ დუგლასმა, შინაურთა მეკარემ, არ დაანება და მკვდარი ბურთი მოიგერია. შედეგად, კათოლიკებმა პირველი სამი ქულა მიითვალეს და თუ ყველაფერი შარშანდელივით გაგრძელდა, მონაგარს ასიოდ ქულას კიდევ დაუმატებენ.

ისევ ჩამორჩა ისტორიულ მეტოქეს „რეინჯერსი" და პროტესტანტების სავალალოდ, ეს პირველივე ტურში მოხდა. შოთა არველაძემ ამ სეზონის გოლებს (იმედია, ბევრს) სათავე კილმარნოკის „რაგბი პარკზე" დაუდო, როცა დაწყებიდან ნახევარ საათში უზადოდ უთავა. მაგრამ გამარჯვებისთვის კინკილა გოლი საკმარისი არ გამოდგა და დამთავრებამდე ათიოდ წუთით ადრე ენდი მაკლარენმა ცაციით მეტოქის კარის ბადე ლამის გახია. გლაზგოელთა მწვრთნელი ალექს მაკლიში, ცხადია, გაწბილებული იყო, თუმცა იმედი გამოთქვა, რომ კილმარნოკიდან ვერც სხვა (ალბათ „სელტიკი" იგულისხმა) წავა დუჟინი ქულებით დატვირთული. მისტერ მაკლიშს არაფერი უთქვამს გამქვეთი გოლის კანონთან შესაბამისობაზე, აი, ჩვენებურმა არველაძემ კი იწყინა — „კილმარნოკის" გოლი არ უნდა ჩათვლილიყო, ვინაიდან დარტყმამდე ჩვენს მეკარეს ეუხეშნენო.

შოთას დარად, ნემსაძემაც და მისმა „დანდიმაც" სეზონი ქულით გახსნა. გიორგის გუნდი ამ ჩემპიონატის წინ ისევ გადამთიელების გადაბირებით გამოირჩეოდა, თუმცა ნაჩო ნოვოს, ხონაი ერნანდესის და მისთანათა დამატებამ დანდელებს ჯერჯერობით ვერაფერი შემატა. მასპინძლები აგებდნენ და ფრეს არგენტინელი ხუან კაბალიეროს წყალობით მიაღწიეს.

**გიგა ძოგახიძე**

### პირველი დივიზიონი

პირველი ტური: არბროთი — როს ქაუნთი 0:3; ეარი — ფოლკირკი 1:3; ინვერნესი — ალოა 0:0; ქუინ ოფ საუთ — კლაიდი 2:1; სტ. მირენი — სტ. ჯონსტონი 0:2

### მეორე დივიზიონი

პირველი ტური: ბრეჩინი — ბერიკი 2:4; კლაიდბენკი — ფორფარი 1:0; ქოუდენბითი — ჰამილტონი 1:3; რეით როვერსი — სტრენრარი 1:1; სტენჰაუზმური — დამბარტონი 2:2

### მესამე დივიზიონი

პირველი ტური: ისტ სტირლინგი — მონტროუზი 1:1; პიტერჰედი — ისტ ფაიფი 0:2; ქუინზ პარკი — ელგინი 1:2; სტირლინგი — ალბიონი 0:1; გრეტნა — მორტონი 1:1

## შვეიცარია

### A ჯგუფი. VI ტური

აარაუ — სენტ გალენი 1:1; გრასჰოპერი — იანგ ბოისი 4:0; ბაზელი — სერვეტი 4:2; ქსამაქსი — დელემონი 0:1; თუნი — ლუცერნი 3:1; ვილი — ციურიხი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრასჰოპერი | 6 | 6 | 0 | 0 | 20:5 | 18 |
| ციურიხი | 5 | 4 | 0 | 1 | 11:4 | 12 |
| ბაზელი | 6 | 3 | 3 | 0 | 9:5 | 12 |
| ვილი | 6 | 3 | 1 | 2 | 11:9 | 10 |
| სენტ გალენი | 6 | 2 | 2 | 2 | 8:7 | 8 |
| იანგ ბოისი | 6 | 2 | 2 | 2 | 10:13 | 8 |
| თუნი | 5 | 2 | 0 | 3 | 8:8 | 6 |
| დელემონი | 6 | 2 | 0 | 4 | 4:7 | 6 |
| სერვეტი | 6 | 2 | 0 | 4 | 7:11 | 6 |
| ქსამაქსი | 6 | 1 | 2 | 3 | 5:11 | 5 |
| აარაუ | 6 | 1 | 1 | 4 | 5:10 | 4 |
| ლუცერნი | 6 | 1 | 1 | 4 | 7:15 | 4 |

### B ჯგუფი. VI ტური

ბადენი — ივერდონი 3:0; კრიენსი — კონკორდია 4:0; ლოზანა — შაფჰაუზენი 3:0; ლუგანო — ვოლენი 3:0; სიონი — ბელინცონა 2:1; ვინტერთური — ვადუცი 1:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლუგანო | 5 | 5 | 0 | 0 | 9:0 | 15 |
| შაფჰაუზენი | 6 | 4 | 1 | 1 | 13:8 | 13 |
| კრიენსი | 5 | 3 | 2 | 0 | 16:5 | 11 |
| ბელინცონა | 6 | 3 | 1 | 2 | 12:7 | 10 |
| სიონი | 6 | 3 | 1 | 2 | 8:6 | 10 |
| ივერდონი | 6 | 3 | 0 | 3 | 8:7 | 9 |
| ლოზანა | 6 | 3 | 0 | 3 | 10:10 | 9 |
| ვადუცი | 6 | 1 | 3 | 2 | 10:13 | 6 |
| ვოლენი | 6 | 1 | 2 | 3 | 5:13 | 5 |
| ბადენი | 6 | 1 | 1 | 4 | 6:13 | 4 |
| კონკორდია | 6 | 0 | 3 | 3 | 7:14 | 3 |
| ვინტერთური | 6 | 0 | 2 | 4 | 5:13 | 2 |

## ავსტრია

მე-4 ტური: შტურმი — ბრეგენცი 3:0; ზალცბურგი — აუსტრია 0:4; რაპიდი — პაშინგი 1:0; რიდი — ადმირა 2:0; კერნტენი — გრაცერი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აუსტრია | 4 | 3 | 1 | 0 | 10:1 | 10 |
| რაპიდი | 4 | 3 | 0 | 1 | 7:2 | 9 |
| პაშინგი | 4 | 3 | 0 | 1 | 6:1 | 9 |
| შტურმი | 4 | 3 | 0 | 1 | 7:5 | 9 |
| ადმირა | 4 | 2 | 0 | 2 | 3:6 | 6 |
| კერნტენი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 5 |
| რიდი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 |
| ბრეგენცი | 4 | 0 | 2 | 2 | 3:7 | 2 |
| გრაცერი | 4 | 0 | 2 | 2 | 3:8 | 2 |
| ზალცბურგი | 4 | 0 | 0 | 4 | 1:8 | 0 |

## შვედეთი

მე-13 ტური: ნორჩიოპინგი — ჰამარბი 1:1; იურგორდენი — კალმარი 1:0; ელფსბორგი — მალმიო 2:1; ოირგრიტე — ჰელსინგბორგი 2:2. სუნდსვალი — აიკ, ლანდსკრონა — გოტებორგი, იორებრო — ჰალმსტადი ნუსხულ გამართა (იხ. მე-2 გვერდი) და მათი შედეგები ცხრილში შეტანილი არ არის

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იორგრიტე | 13 | 7 | 5 | 1 | 26:18 | 26 |
| მალმიო | 13 | 8 | 0 | 5 | 27:16 | 24 |
| იურგორდენი | 13 | 6 | 4 | 3 | 20:15 | 22 |
| ლანდსკრონა | 12 | 5 | 4 | 3 | 26:18 | 19 |
| ჰელსინგბორგი | 13 | 5 | 4 | 4 | 17:18 | 19 |
| იორებრო | 12 | 5 | 4 | 3 | 13:15 | 19 |
| გიოტებორგი | 12 | 5 | 1 | 6 | 12:17 | 16 |
| აიკ | 12 | 3 | 5 | 4 | 19:20 | 14 |
| სუნდსვალი | 12 | 3 | 5 | 4 | 11:12 | 14 |
| ელფსბორგი | 13 | 3 | 5 | 5 | 13:19 | 14 |
| ჰამარბი | 13 | 3 | 4 | 6 | 22:25 | 13 |
| კალმარი | 13 | 3 | 4 | 6 | 7:13 | 13 |
| ჰალმსტადი | 12 | 1 | 8 | 3 | 9:11 | 11 |
| ნორჩიოპინგი | 13 | 2 | 5 | 6 | 10:15 | 11 |

## ფინეთი

მე-18 ტური: ჰიკ — ტამპერე 1:0; ინტერი — ჯაზი 0:0; მიუპა — ჰამენლინა 3:3; ვაასა — კუოპიო 0:0. ლაჰტი — ალიანსი ნუსხულ გამართა (იხ. მე-2 გვერდი) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არ არის

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰიკ | 18 | 11 | 3 | 4 | 30:16 | 36 |
| მიუპა | 18 | 8 | 7 | 3 | 34:18 | 31 |
| ინტერი | 18 | 8 | 6 | 4 | 28:14 | 30 |
| ჰაკა | 16 | 9 | 3 | 4 | 24:13 | 30 |
| ალიანსი | 17 | 8 | 4 | 5 | 26:25 | 28 |
| ლაჰტი | 17 | 7 | 4 | 6 | 17:20 | 25 |
| ტამპერე | 17 | 5 | 9 | 3 | 16:12 | 24 |
| იარო | 17 | 5 | 5 | 7 | 15:24 | 20 |
| კუოპიო | 17 | 4 | 5 | 8 | 24:26 | 17 |
| ჯაზი | 18 | 4 | 3 | 11 | 14:34 | 15 |
| ჰამენლინა | 17 | 2 | 8 | 7 | 19:26 | 14 |
| ვაასა | 18 | 2 | 5 | 11 | 14:33 | 11 |

## დანია

მე-2 ტური: ბრონდბიუ — აკადემისკი 1:3; ფარუმი — ვიბორგი 3:2; მიდტიულანდი — ოლბორგი 2:0; კიოგე — კოპენჰაგენი 1:3; ოდენსე — სილკებორგი 2:2; ორჰუსი — ესბიერგი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოპენჰაგენი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:3 | 4 |
| აკადემისკი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:3 | 4 |
| ორჰუსი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| ოდენსე | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| ბრონდბიუ | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| მიდტიულანდი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ფარუმი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| ოლბორგი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| ვიბორგი | 2 | 0 | 1 | 1 | 4:5 | 1 |
| ესბიერგი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |
| კიოგე | 2 | 0 | 1 | 1 | 3:5 | 1 |
| სილკებორგი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:5 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



REUTERS

მარსელი — ნანტი. ოლიმპიკელი პიოტრ სვირჩევსკი (მარცხნივ) და სტუმარი სილვენ არმანი

# მოდი, აღარ გავბრაზდები
## დიარამ უკუღმა იარა

### საფრანგეთი

**პირველი დივიზიონი. 1 ტური**

**მარსელი 0:2 ნანტი**
0:1 იეპესი (62), 0:2 ბერსონი (90)

**პსჟ 1:0 ოსერი**
1:0 ალონზო (50პ)
გაძევება: ნაარჯო (80, პსჟ), იარესი (90, ოსერი)

**ბასტია 1:1 ლანსი**
1:0 ესიენი (61), 1:1 სიბიერსკი (75პ)
გაძევება: ფაიე (90, ლანსი), მორინი (90, ბასტია)

**ლილი 0:3 ბორდო**
0:1 პაულეტა (23), 0:2 სმერტინი (54), 0:3 ედუარდო კოსტა (67)

**ნიცა 1:2 ლე ავრი**
0:1 სიჩელსკი (8), 1:1 კაბა დიავარა (65), 1:2 ფაკუნი (81)
გაძევება: სულეიმან დიავარა (60, ლე ავრი)

**მონპელიე 1:0 რენი**
1:0 ფ. სილვესტრი (89პ)

**სედანი 0:0 სოშო**

**სტრასბური 1:1 აიაჩო**
1:0 რობინი (7პ.), 1:1 კოლინი (30)

**ტრუა 0:4 მონაკო**
0:1 ნონდა (40), 0:2 ჟიული (43), 0:3 ნონდა (65), 0:4 გალიარდო (87)

**გენგამი 3:3 ლიონი**
0:1 ჟუნინიო (3), 1:1 კარნო (24), 1:2 ჩანელე (38), 1:3 ს. ანდერსონი (61), 2:3 ბარდონი (88), 3:3 დროგბა (90)

მაშ ასე, საფრანგეთის გაბლენძილმა ჩემპიონატმა სუნთქვა დაიწყო. გაბლენძილმა იმიტომ, რომ თვრამეტგუნდიანმა იბარტყა და ოცი გახდა.

პირველი ტურის ათ მატჩში 24 გოლი გავიდა, რაც კარგი მაჩვენებელია საკმაოდ მწირმოსავლიანი ფრანგებისთვის. სამაგიეროდ, ტრადიციულად ვერ იყოჩაღეს მასპინძლებმა, რომლებმაც ორი კინკილა შეხვედრა მოიგეს.

აღსანიშნავია, ისიც, რომ ორივე მასპინძელმა მხოლოდ თერთმეტმეტრიანის წყალობით იმარჯვა.

პსჟ-ს და „ოსერის" ორთაბრძოლა თანაბარი იყო. პარიზელებს მსოფლიოს ჩემპიონი, მომლიმარი რონალდინიო აკლდათ. იქნებ ამიტომაც გაუჭირდათ მასპინძლებს. თუმცა, არც გი რუს „ოსერია" იოლად წასაქცევი. პსჟ-მ ოდენ ჟოზე ალოიზიოს მიერ გატანილი პენალტით მიაღწია საწადელს, ისიც მეორე ტაიმის დაწყებიდან ხუთიოდ წუთში. გი რუმ ნამატჩევს ბრძანა, წესის დარღვევა, მგონი, არ ყოფილაო: „რაც გულზე ოპერაცია გადავიტანე, ვცდილობ, მსაჯთა მცდარი გადაწყვეტილებების გამო აღარ ვინერვიულო. მასპინძელთა ფეხბურთელმა წაქცევისას აშკარად იეშმაკა, მაგრამ მომენტის გარჩევა ხალხისთვის მიმინდვია".

ძალიან იჯაჯგურა „მონპელიემ" „რენთან". სტუმრებმა შეხვედრის მიწურულს, მსაჯმა საფინალო სასტვენისთვის ფილტვები რომ დაბერა, სწორედ მაშინ გაუშვეს გოლი. ვეტერანმა მცველმა ფრენკ სილვესტრმა „რენის" ახალწვეულ მეკარე პეტერ ჩეხს აუღებელი დაურტყა.

ჟაკ სანტინისგან მიტოვებულმა ჩემპიონმა „ლიონმა" თითქმის განაღდებული სამი ქულა ბოლო წუთებზე გაანიავა. არადა, მეორე ნახევრის დასაწყისისთვის სონი ანდერსონმა მესამე შეაგდო და „ლიონსაც" თავი სამშვიდობოს ეგონა. „გენგამის" მწვრთნელმა ბერნარ მარშანმა ცვლილებებს მიმართა, რამაც გაუმართლა კიდეც. სედრიკ ბარდონის ერთ გაქვითულს შეცვლაზე შესულმა დიდიე დროგბამ მიუმატა.

„ლიონის" ახალმა თავკაცმა პოლ ლე გუენმა ნამატჩევს სინანულისგან თავილა გააქნია: „ცხადია, გულდაწყვეტილი ვარ. ასეთი ფრე მარცხის ტოლფასია. მე მამალუ დიარა მოედნის ცენტრში თამაშის დასალაგებლად შევუშვი, პირიქით კი მოხდა. „გენგამი" ძალიან მომეწონა, დარწმუნებული ვარ, ბევრ გუნდს დიდ პრობლემებს შეუქმნის".

„ლიონის" პრეზიდენტი ჟან-მიშელ ოლა: „მარცხსაც თავისი დადებითი მხარე აქვს. ამ შემთხვევაში ჩემმა გუნდმა მეტოქისგან ერთგვარი ალიყური აიკრა, რაც სამომავლოდ უნდა გავითვალისწინოთ. „ლიონში" ნიჭიერი ფეხბურთელები გვყავს, მაგრამ მხოლოდ ნიჭი საკმარისი არაა".

„ტრუაში" ალან პერინის შემცვლელმა მწვრთნელმა ჟაკ ბონევეიმ პირველივე ტურში გვარიანი სირცხვილი ჭამა. „ტრუა" ინტერტოტოზე კი ფაფხურობს რაღაცას, მაგრამ „მონაკოსთან" პირწმინდად გაიშიფრა. დიდიე დეშანს მოსამზადებელი პერიოდი კარგად გამოუყენებია, რაც მისი გუნდის თამაშსაც დაეტყო. სტუმრებმა „ტრუას" პირველი ტაიმის მილეულს მოუღეს ბოლო. შაბანი ნონდამ და ლუდოვიკ ჟიულიმ ორჯერ დაიბრიყვეს მასპინძელთა მეკარე. მეორე ნახევარში იმავე ნონდამ და არგენტინელმა გალიარდომ დაჭრილი მიასიკვდილეს.

ვერც ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩის მემკვიდრემ, კლოდ პუელმა ივაჟკაცა: „ლილმა" პირველივე მატჩი „ბორდოსთან" დიდი ანგარიშით წააგო. ჟირონდელები ამ ჩემპიონატში სერიოზული მიზნებს ისახავენ და ეს „ლილთან" დაამტკიცეს. პორტუგალიელმა პედრო პაულეტამ ხელობა არ დაივიწყა. თავის გოლების სათვალავი პირველივე ტაიმში გახსნა. შესვენების შემდეგ „ლილის" დასამარება სამიოდ წუთის ინტერვალში მოხდა. სმერტინს ედუარდო კოსტამ მეორე ხმა უთხრა და მასპინძელთა ფართხალიც შეწყდა.

„მარსელის" სტადიონი დისკვალიფიცირებულია. ამიტომ მარსელები „ნანტს" ლიონში დაუხვდნენ. გოლი კარგა ხანს არ გადიოდა. საბოლოოდ პირობითმა სტუმრებმა იძალეს. პასკალ დელომის კოხტად ჩაწოდებულს, კოლუმბიელმა მცველმა მარიო იეპესმა თავი ზუსტად დაუხვედრა. „მარსელმა" გათანაბრება მოისურვა, სანაცვლოდ კი კიდევ ერთი გოლი მიიღო. მარსელელთა ახალმწვრთნელმა ალენ პერენმა უგულშემატკივრობა ახსენა. შინ, 55 ათასი კაცის ქომაგობით რომ გვეთამაშა, სულ სხვა ფეხბურთს ვაჩვენებდითო.

თითო ქულა გაიყვეს და თითო კაცი მოისაკლისეს კუნძულზე, სადაც „ბასტიამ" „ლანსს" უმასპინძლა. ელ ჰაჯი დიუფის გამოშზრდელ ლანსელებს წინა ხაზში აშკარად გაუჭირდათ. დიუფობა კი ამ მატჩში ანტუან სიბიერსკიმ გასწია. მის მიერ ზუსტად შესრულებულმა თერთმეტმეტრიანმა ვიცე-ჩემპიონებს ქულა მოუტანა.

**გაგა ხუციშვილი**

**მეორე დივიზიონი**

პირველი ტური: რეიმსი — ლორიანი 1:3; ამიენი — ლე მანი 0:1; კანი — ვალანსი 3:1; შატორუ — ბოვე 1:0; კლერმონი — ნიორი 1:1; გრენობლი — სენტ ეტიენი 1:0; გენიონი — მეცი 0:2; ისტრი — ტულუზი 0:4; ლავალი — ვასკალი 1:0; ნანსი — კრეტეი 2:3



REUTERS

ტრუა — მონაკო. მასპინძელმა ბენჟამინ ნივემ ჟერომ როტენს განადგურებისთვის სამაგიერო ასე გადაუხადა



რივერპლეიტელი ფერნანდო კავენაგი მენისკმა წააქცია

# მენოტი არ მალავს

### არგენტინა

**აპერტურა**

მე-2 ტური: რასინგი — არსენალი 1:1; სან ლორენსო — ნუევა ჩიკაგო 1:0; ნიუელს ოლდ ბოიზი — ურაკანი 1:0; ბანფილდი — ესტუდიანტესი 0:0; კოლონი — ჩაკარიტა 3:1; ხიმნასია ლა პლატა — ინდეპენდიენტე 1:1; ლანუსი — როსარიო სენტრალი 1:6; ველეს სარსფილდი — რივერ პლეიტი 0:1; ბოკა ხუნიორსი — უნიონი 3:0

არგენტინაში დაწყებული აპერტურას მორიგი ტური ამ უქმეებზე გაიმართა. გუნდებმა სულ ორ-ორი მატჩი ითამაშეს, ლიდერი კი „როსარიო" შეიქნა.

ოსვალდო არდილესის თავკაცობით მოთამაშე „რასინგმა", მეორე ტურში ვერაფერი მოუხერხა ლიგის ახალბედა „არსენალს".

ეს თამაში პარასკევ საღამოს შედგა და მაურისიო პიერსიმონეს გოლს მალევე მოჰყვა ადრიან ბასტიას გამათანაბრებელი. „არსენალი" აპერტურას მთავარი სურპრიზია, თუმცაღა წინ გრძელი და მომქანცველი გზა ელის. გუნდის უფროსობა აცხადებს, რომ მთავარი პრიმერაში ფეხის მოკიდებაა.

ლუის მენოტის „როსარიო სენტრალი" „ლა ფორტალესაზე" ეწვია „ლანუსს" და 6:1 მოიგო. პაულო ფერარიმ და მარსელო კინტეროსმა ორ-ორი გაიტანეს, ლანუსელმა გულშემატკივრებმა კი კლუბის ვიცე-პრეზიდენტს ნიკოლას რუსოს შეუტიეს, ვისაც ინტრიგების მოწყობას და კლუბის ოდინდელი თავკაცის დანიელ კორდობას გადაყენებას აბრალებენ.

ამ მეორე ტურში იმარჯვეს დედაქალაქელმა დიადებმაც: „ბოკამ" შინ 3:0 მოუგო „უნიონს", „რივერი" კი „ველეს სარსფილდს" ეწვია „ელ ფორტინზე" და ნახევარმცველ დარენ ალვარესის ერთი გოლით სამი ქულა წამოიღო იქედან. კარგად ორგანიზებულმა მილიონერთა დაცვამ გვარიან დაწოლას გაუძლო. თუმცა „რივერის" უფროსობა უფრო წინა ხაზზე ებრძვის პრობლემებს, რახან მენისკმა წააქცია კლუბის შარშანდელი მთავარმეგოლე, ჭაბუკი ფერნანდო კავენაგი და არიელ ორტეგამაც დატოვა კლუბი. ამის გამო კლუბმა ფრანგული „ლანსიდან" ინათხოვრა თანამემამულე ესტებან ფუერტესი.

„ბოკა" — „იუნიონის" შეხვედრაში კი პირველი გოლი ბობოქარმა ნახევარმცველმა ეზეკიელ „ეკი" გონსალესმა გაიტანა. ამ ნახევარმცველისთვის ბრძოლას აგრძელებს ლუის სესარ მენოტიც, რომელიც საკმაოდ ჩახლართული ვითარებიდან ცდილობს „ეკის" მოპოვებას. თავის დროზე, გონსალესი „როსარიოდან" წავიდა საბრალო „ფიორენტინაში", რომელმაც იგი „ბოკას" ათხოვა. მაგრამ იტალიელებმა ეგრეც ვერ გაუსწორეს ანგარიში „როსარიოს" და ახლა კლუბი გაქირავებული ფეხბურთელის დაბრუნებას აპირებს.

საერთოდ, მენოტი არ მალავს, რომ აპერტურას მოგება სწადია. ბოლო არგენტინული ტიტული „როსარიომ" 1985 წელს მოიგო.

**ირაკლი გამყრელიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| როსარიო | 2 | 2 | 0 | 0 | 7:1 | 6 |
| ბოკა ხუნიორსი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:0 | 4 |
| კოლონი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| რასინგი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| ინდეპენდიენტე | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| არსენალი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ოლდ ბოიზი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| რივერ პლეიტი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| სან ლორენსო | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| ესტუდიანტესი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ხიმნასია | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ბანფილდი | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 2 |
| ტალერესი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ველესი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| ნუევა ჩიკაგო | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| ჩაკარიტა | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| უნიონი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:3 | 1 |
| ოლიმპო | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ურაკანი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |
| ლანუსი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:8 | 0 |

### ნორვეგია

მე-17 ტური: ბოდო გლიმტი — სოგნდალი 2:1; ბრანი — სტაბეკი 2:1; მოლდე — ლინი 2:0; მოსი — ვიკინგი 2:2; როზენბორგი — ლილესტრიომი 3:1; სტარტი — ოდ გრენლანდი 2:0. ვოლერენგა — ბრანის მატჩი გაიმართა (იხ. მე-2 გვერდი) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არ არის

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლინი | 17 | 11 | 2 | 4 | 24:19 | 35 |
| როზენბორგი | 17 | 10 | 3 | 4 | 35:21 | 33 |
| მოლდე | 17 | 9 | 4 | 4 | 27:14 | 31 |
| სტაბეკი | 17 | 9 | 4 | 4 | 32:20 | 31 |
| ოდ გრენლანდი | 17 | 9 | 2 | 6 | 25:20 | 29 |
| ვიკინგი | 17 | 7 | 7 | 3 | 30:20 | 28 |
| ბოდო გლიმტი | 17 | 6 | 3 | 8 | 26:24 | 21 |
| ვოლერენგა | 15 | 5 | 5 | 5 | 24:19 | 20 |
| ბრანი | 15 | 6 | 2 | 7 | 22:26 | 20 |
| ბრინი | 16 | 5 | 3 | 8 | 22:29 | 18 |
| ლილესტრიომი | 17 | 4 | 4 | 9 | 16:25 | 16 |
| მოსი | 17 | 3 | 5 | 9 | 19:31 | 14 |
| სოგნდალი | 16 | 4 | 2 | 10 | 20:35 | 14 |
| სტარტი | 15 | 2 | 4 | 9 | 15:34 | 10 |

### პოლონეთი

პირველი ტური: ლეხი — ოსტროვიეცი 2:0; პოლონია — ამიცა 2:0; ვიძევი — ოდრა 0:0; რუხი — გურნიკი 0:0; ზაგლებე — პოგონი 5:0; გროცლინი — ლეგია 3:3; შლონსკი — კატოვიცე 1:1; გარბარნია — ვისლა 1:1

### ჩეხეთი

მე-2 ტური: იაბლონეცი — პრშიბრამი 1:0; ბლშანი — ჰრადეც კრალოვე 1:0; ბუდეიოვიცე — სპარტა 1:3; სინოტი — სიგმა 1:1; ბრნო — ლიბერეცი 0:1; ბანიკი — ტეპლიცე 5:1; ჟიჟკოვი — ზლინი 1:0; სლავია — ბოჰემიანსი 4:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| იაბლონეცი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| ბანიკი | 2 | 1 | 1 | 0 | 6:2 | 4 |
| სლავია | 2 | 1 | 1 | 0 | 5:2 | 4 |
| ბლშანი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ჟიჟკოვი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ლიბერეცი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| ბუდეიოვიცე | 2 | 1 | 0 | 1 | 4:5 | 3 |
| სიგმა | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| სინოტი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ჰრადეც კრალოვე | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ზლინი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| პრჟიბრამი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| ბრნო | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| ბოჰემიანსი | 2 | 0 | 0 | 2 | 3:7 | 0 |
| ტეპლიცე | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | 0 |

# ბაიერნი ცუდად მოიქცა
## იუბილარი არ ადღეგრძელა

**მადრიდის ოთხთა ტურნირი**

**ნახევარფინალი**

**რეალი 2:0 ლივერპული**

1:0 ფიგუ (39), 2:0 პორტილიო (59)
რეალი: სესარი, სალგადო, ბრავო, რუბენი, პავონი, კონსეისაო (სელადესი 65), კამბიასო, ფიგუ (მაკმანამანი 54), გუტი (სოლარი 54), ზიდანი (ფერნანდო 73), სავიო (პორტილიო 54)
ლივერპული: დუდეკი, ანშო, შავიერი, ჰიიპია, შმიცერი (ბერგერი 46), ჰესკი (ბაროში 60), დიუფი (ბისკანი 87), მერფი, ჰამანი (კარაგერი 78), რიისე, ვინიალი (შეირუ 46)

**პარასკევს**, „სანტიაგო ბერნაბეუზე" დაწყებული ოთხთა ტურნირი კვირას დასრულდა. შეჯიბრი მადრიდის „რეალის" ასი წლის იუბილეს მიეძღვნა.

პირველ მატჩში მასპინძლები ლივერპულელებს შეხვდნენ. „რეალმა" ესპანეთის ნაკრების მოთამაშეებს — რაულს, ფერნანდო იეროს, იკერ კასილიასს, ფერნანდო მორიენტესს და ივან ელგერას დასვენების უფლება მისცა. ამავე მიზეზით არ უთამაშია რობერტო კარლოსსაც.

მაგრამ, თითქმის ოპტიმალური შემადგენლობით მოთამაშე „ლივერპული" „რეალმა" მაინც დაამარცხა. პირველი გოლი სტუმრებს ლუიშ ფიგუმ ჯარიმიდან გაუტანა. მეორე ტაიმში კი ზინედინ ზიდანმა შეცვლაზე შესულ პორტილიოს მისცა საგოლე პასი და ახალგაზრდა, ნიჭიერმა ფორვარდმა თავი არ შეირცხვინა.

„ლივერპულს" კი შეტევაში მაიკლ ოუენის გარეშე საგრძნობლად გაუჭირდა. მარტო ელ-ჰაჯი დიუფის მონდომება ჟერარ ულიეს გუნდს ვერაფრით დაეხმარა. სენეგალელ ახალწვეულს კი ძალიან კარგად უთამაშია.

**ბაიერნი 2:1 მილანი**

0:1 ინძაგი (9), 1:1 ტარნატი (21), 2:1 შოლი (73)
ბაიერნი: კანი, კუფური, ტიამი, ნ. კოვაჩი, ელბერი (პიზარო 46), ბალაკი (შოლი 46), იერემისი, ტარნატი (რ. კოვაჩი 46), ციკლერი, ლინკე (სალიჰამიჯიჩი 46), ფულნერი (ზე რობერტო 70)
მილანი: აბიატი, კალაძე, დომორო, შიმიჩი, ლაურსენი, ბროკი (ამბროზინი 59), გატუზო, რუი კოშტა (პირლო 70), სერჯინიო (ზეედორფი 56), შევჩენკო (ტომასონი 56), ინძაგი (ბორიელო 80)

**მეორე** ნახევარფინალურ მატჩში მიუნხენის „ბაიერნმა" „მილანს" 2:1 მოუგო, არადა, თავიდან იტალიელები დაწინაურდნენ. მათი აქტიურობა ფილიპო ინძაგიმ გოლად აქცია. ფორვარდს ზუსტი გადაცემა მარჯვენა ფლანგიდან დარიო შიმიჩმა გაუკეთა.

„ბაიერნმა" 21-ე წუთზე ტარნატის ლამაზი დარტყმით გაათანაბრა, ხოლო რამდენიმე წუთში სერჟინიომ ბურთი ძელს გაარტყა.

შესვენების შემდეგ კლარენს ზეედორფმა ვერ გამოიყენა კარგი შანსი. სხვათა შორის, ჰოლანდიელი აქტიურობით გამოირჩეოდა და ოლივერ კანს რამდენჯერმე სახიფათოდაც დაურტყა. „მილანის" კიდევ ერთი ახალწვეული, რივალდო ზეედორფისგან განსხვავებით, ტრიბუნაზე იჯდა. ასე რომ, მისი დებიუტი არ შედგა.

იტალიელთა ამაო მცდელობების შემხედვარე, „ბაიერნი" ბოლო ოც წუთში გააქტიურდა და მიზანსაც მიაღწია. მეჰმეთ შოლმა უნაკლოდ შეასრულა საჯარიმო დარტყმა, რითაც თავისი გუნდი ფინალში გაიყვანა.



REUTERS მადრიდიდან

რეალი — ბაიერნი. ზინედინ ზიდანის გარჯა მოსაგებად საკმარისი არ გამოდგა

**მატჩი მესამე ადგილისთვის**

**მილანი 1:2 ლივერპული**

0:1 შიმიჩი (32ს.გ.), 0:2 ბაროში (36), 1:2 ტომასონი (67)
მილანი: დიდა, შიმიჩი (ოუბამეიანგი 46), დომორო (ლაურსენი 46), მალდინი, კალაძე, კონტრა (ბა 64), პირლო (სერჯინიო 65), ამბროზინი, ზეედორფი, შევჩენკო, ტომასონი (ბორიელო 75)
ლივერპული: კირკლენდი, ანშო, ჰიიპია (კარაგერი 46), ტრაორე, ბაბელი (რიისე 82), ჯერარდი (მერფი 71), ბაროში (დიუფი 75), ბისკანი (ჰამანი 57), შმიცერი, ჰესკი, ბაროში

**მატჩი** „მილანმა" და „ლივერპულმა" ისეთი უხეშობით დაიწყეს, სტადიონზე შეკრებილთ თავი ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაზე ეგონებოდა.

„ლივერპულმა" ერთხანს პრესინგს მიმართა და „მილანს" რამდენიმე გადაცემა ჩაუშალა. მერე ინგლისელებმა პრესინგს შეტევები მიაყოლეს და ჯერ ემილ ჰესკიმ, შემდეგ კი მილან ბაროშმა, თითო-თითო საგოლე მომენტი გაუშვეს ხელიდან.

მალე „მილანიც" მოეგო გონს და შევჩენკო-ტომასონის კომბინაცია ლამის გოლით დაგვირგვინდა. 32-ე წუთზე კი სტივენ ჯერარდმა ჯარიმა დაარტყა, დარიო შიმიჩმა ბურთს ფეხი შეუშვირა და საკუთარ კარში შეაგდო. მეორე გოლშიც ჯერარდმა შეიტანა წვლილი, როცა ხუთ წუთში უკვე ბაროშს გაუკეთა ზუსტი გადაცემა და მანაც თავური გაიტანა.

მატჩის ბოლოს „მილანმა" ერთი გოლის გატანა მაინც მოახერხა. კლარენს ზეედორფმა კუთხური ჩააწოდა. ბურთი კოზმინ კონტრას მიუვიდა, მან კი ტომასონის მისამართით გაგზავნა და დანიელმაც ზუსტად დაარტყა. სხვათა შორის, ტომასონს იგივე მოგვიანებითაც რომ მოეხერხებინა, ანგარიშს გაათანაბრებდა. აქვე ვთქვათ, რომ კახა კალაძემ ორივე მატჩში შეუცვლელად ითამაშა.

**ფინალი**

**რეალი 1:2 ბაიერნი**

0:1 ბალაკი (27პ), 0:2 სალიჰამიჯიჩი (64), 1:2 ფიგუ (84 პ)
რეალი: სესარი, სალგადო (მინამბრესი 46), რობერტო კარლოსი, პავონი, ელგერა, ფიგუ, ფ. კონსეისაო (სელადესი 76), კამბიასო (სოლარი 46), ზიდანი, გუტი (რაული 46), პორტილიო (მორიენტესი 62)
ბაიერნი: კანი, ტარნატი (ციკლერი 75), რ. კოვაჩი, ლინკე, სანიოლი, ჰარგრივსი (ფინკი 46), ბალაკი, ზე რობერტო (ფულნერი 69), შოლი, სალიჰამიჯიჩი, ელბერი

**„რეალის"** და „ბაიერნის" დაპირისპირება ბოლო წლებში ტრადიციად იქცა. ამ ჯერზე გერმანული კლუბი უფრო ძლიერი გამოდგა და მეტოქეს იუბილეს გამარჯვებით აღნიშვნა არ დაანება.

ჩემპიოთა ლიგის ბოლო ორი სეზონის გამარჯვებულთა შორის მატჩში ანგარიში „ბაიერნმა" გახსნა. მიხაელ ბალაკმა პენალტი გაიტანა. ცოტა ხანში ჰასან სალაჰამიჯიჩი თავისიანებს მეორე გოლითაც შეეწია. „რეალმა" კი ისღა მოახერხა, რომ მატჩის ბოლოს ერთი ბურთი გაქვითა — პენალტი ლუიშ ფიგუმ გაიტანა.

ცალკეულ ეპიზოდებში გაიბრწყინეს ლუიშ ფიგუმ და ზინედინ ზიდანმა, თუმცა „ბაიერნმა" გუნდური თამაშის წყალობით მაინც მოახერხა მოგება. გერმანელთა შორის ყველაზე მეტად ჰასან სალიჰამიჯიჩი გამოირჩეოდა, ასევე შესამჩნევი იყო მიხაელ ბალაკი.

პირველი მატჩისგან განსხვავებით, მოედანზე რობერტო კარლოსი და რაულიც გამოჩნდნენ. თითო-თითო სახიფათო მომენტი მათაც შექმნეს, მაგრამ ვერაფერს გამორჩნენ, ოლივერ კანმა ჩინებულად დაიცვა საკუთარი კარი.

ბოლოს ერთი შევნიშნოთ, ტურნირში მონაწილე კლუბები ყველაზე მეტჯერ ფლობდნენ ჩემპიონთა თასს. ამ ოთხს შორის, პირველი ცხადია, „რეალია" 9 თასით. „მილანი" თასის ხუთგზის მფლობელია, „ლივერპულმა" და „ბაიერნმა" კი ევროპის ევროპის საკლუბო ჩემპიონატი ოთხ-ოთხჯერ მოიგეს.

**ნიკა ჟუჟლაძე**



REUTERS მადრიდიდან

მილანი — ლივერპული. სტივენ ჯერარდმა იტალიელები ლამის მარტოკამ დაჩაგრა

*„მე მხოლოდ იმის მჯერა, რასაც საკუთარი თვალით დავინახავ და საკუთარი ყურით გავიგებ" — განაცხადა მილანის „ინტერის" მეპატრონე მასიმო მორატიმ. ლაპარაკია რონალდოს მადრიდის „რეალში" შესაძლო გადასვლაზე, რამაც ნინა უქმეებზე დიდი ჟრიამული გამოიწვია. მაგრამ ალტკინებისგან თავი შევიკავოთ — ეს ცნობა ჭორს უფრო ჰგავს, ვიდრე სიმართლეს.*

# ინტერს რონალდო გაუყიდეს

**ესპანურმა** „მარკამ", როგორც თავადაც ხედავთ, გუშინდელ პირველ გვერდზე რონალდოს უზარმაზარი ფოტო დაბეჭდა, შიდა გვერდში მოზრდილი სტატია კი მკითხველს დღე-დღეზე გასაფორმებელი გარიგების დეტალებს ამცნობდა.

„მარკას" წერილში რონალდოს აგენტი ალექსანდრ მარტინსი ამტკიცებს, ფეხბურთელი იტალიაში უბედურია, წასვლაზე ფიქრობს და თუ სადმე გადავა, მხოლოდ „რეალშიო". აგენტი იქვე ოთხწლიან კონტრაქტს ახსენებს. ეს პიროვნება პარასკევს „რეალის" სპორტულ დირექტორ ხორხე ვალდანოსაც შეხვედრია. რაღაც-რაღაცეებზე შევთანხმდითო, დასძენს მარტინსი, ოღონდ კონტრაქტის გაფორმებამდე ჯერ კლუბებმა უნდა მოილაპარაკონ ერთმანეთშიო.

მარტინსის და ვალდანოს საუბრის შინაარსი ამგვარი იყოფილა: „ინტერი", ალბათ, 60 მილიონ ევროს მოითხოვს, ჩვენ 40 მილიონი და კლოდ მაკელელე შევთავაზოთო.

„მარკას" არც მეორე პოპულარული ესპანური გაზეთი „ასი" ჩამორჩა და დაწერა: „რეალი" ერთ-ერთ სადაზღვევო კომპანიასთან აწარმოებს მოლაპარაკებას, რონალდოს დაზღვევის თაობაზე, თუკი ფეხბურთელის თავისთან გადაბირება შეძლოო. გაზეთს რიცხვებიც მოჰყავს: დაზღვევის ღირებულება 24 მილიონი ევრო იქნება, ხოლო კლუბს სადაზღვევო კომპანიისთვის ყოველწლიურად 3.6 მილიონი ევრო ექნება გადასახდელი. იქვე გვახსენებენ, რომ ლუიშ ფიგუსა და ზინედინ ზიდანის სადაზღვევო შენატანები მხოლოდ 2.7 მილიონია.

და რას ამბობს ყოველივე ამის თაობაზე თავად რონალდო? ის სამშობლოში გახლდათ და მილანში გუშინ უნდა დაბრუნებულიყო. ბრაზილიურმა „ო გლობომ" კი ფეხბურთელს ეს სიტყვები დასცინცლა: „მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ „რეალი" ძალიან დიდი კლუბია".

მასიმო მორატის მივუბრუნდეთ. „რონალდო ახლა ბრაზილიაშია, შესაბამისად, მასთან პირისპირ ჯერ არ მილაპარაკია — უთხრა მორატიმ კვირას „ლა რეპუბლიკას" — სიმართლე გითხრათ, არ მჯერა იმის, რასაც ესპანური გაზეთები წერენ. რონალდო ჩვენით უკმაყოფილო არასდროს ყოფილა. ერთი სიტყვით, მასთან საუბარს ველოდები. ის ორშაბათს უნდა დაბრუნდეს, თუმც სამშაბათი ან ოთხშაბათიც რომ იყოს, პრობლემა არ არის, დაველაპარაკები და ყველაფერს გავარკვევთ".

შევახსენებთ, რომ თავის დროზე, 1997 წელს, მორატის „ბარსელონასგან" რონალდოს ყიდვა, ახლანდელი ფასებით ძალიან იაფი დაუჯდა — 27,9 მილიონი დოლარი. ახლა კი მორატი აცხადებს: „რონალდო არ იყიდება, მაგრამ მაინცდამაინც თანხის დასახელებას თუ მთხოვთ, გეტყვით — ას მილიონ ევროდ გავყიდით". აქვე ისიც გავიხსენოთ, რომ „რეალს" ფიგუს და ზიდანის შეძენა ჯამში 120 მილიონი დოლარი დაუჯდა, ოღონდ ეს იმ დროს მოხდა, როცა ევროპული კლუბები ფულს არ ითვლიდნენ. ამასთან დაკავშირებით ვალდანომ ახლახან განაცხადა, რაგინდ დიდი ფეხბურთელი შემოგვთავაზონ, ზიდანში გადახდილი ფულის ნახევარს თუ გავიმეტებთო.

სანამ რეალელები ამტკიცებენ, რონალდო ზოგადად კი გვსურს, მაგრამ მის გადასაბირებლად არაფერი გვილონიაო, თავი ვალდებულად ჩათვალა და განცხადება გააკეთა ექტორ რაულ კუპერმაც. „ინტერის" მწვრთნელმა თქვა: „განა ოდესმე მითქვამს, რომ რონალდო არ მჭირდება? ის, რაც „მარკამ" დაწერა, ტყუილია. რამდენი ვიშრომეთ, რომ ფეხბურთელი ფეხზე დაგვეყენებინა და გუნდი მის გარშემო აგვეწყო. ახლა მისი გაშვება შრომის წყალში ჩაყრას ნიშნავს".

**გიორგი დარჯანია**




პასტა ესპანურად ფულს ნიშნავს, იტალიურად კი მაკარონს. რონალდოს „რეალში" გადასვლის საიდუმლო ფულშია თუ მაკარონში, მომავალი გვიჩვენებს

# გაიმარჯვა ჰოლანდიამ
## ბარსელონაც ხომ ძველი აიაქსია



REUTERS ამსტერდამიდან

„აიაქსმა" თასი უცხო ქალაქში გასამგზავრებლად ვერ გაიმეტა

*რონალდ კუმანის ბიჭებმა ამსტერდამის ოთხთა ტურნირი მოიგეს და ევროლიგაში დასაბრუნებლად სერიოზული განაცხადიც გააკეთეს. „ამსტერდამ არენაზე" ჰოლანდიის ჩემპიონებს „ბარსელონა", „მანჩესტერი" და „პარმა" ეწვივნენ.*

*აღსანიშნავია, რომ ტურნირი უცნაური სისტემით ჩატარდა, მოგებისთვის დარიცხულ ქულებს გოლების რაოდენობაც ემატებოდა, ასე რომ, ორი ტურის შემდეგ 12 ქულით (2 გამარჯვება, 6 გატანილი გოლი) პირველ ადგილზე „აიაქსი" აღმოჩნდა, ბოლოზე 2 გოლით, 2 მარცხით და, შესაბამისად, 2 ქულით „პარმა". მეორე-მესამე ადგილები კი „ბარსელონამ" და „მანჩესტერმა" დაიკავეს.*

### ამსტერდამის ოთხთა ტურნირი

**ბარსელონა 4:2 პარმა**

1:0 ჯოვანი (16), 1:1 დი ვაიო (30), 2:1 რიკელმე (33), 2:2 მარკიონი (37), 3:2 რიკელმე (42), 4:2 როჩემბაკი (45)

**ბარსელონა:** ენკე, რაიციგერი, დე ბური, როჩემბაკი (ხერარდი, 46), ფერნანდო, კოკუ, გაბრი (დანი, 70), ჯოვანი (სავიოლა, 60), კლუივერტი (ხავი, 46), რიკელმე, მენდიეტა (მოტა, 60)

**პარმა:** ფრეი, დიანა, გრეშკო, ფ. კანავარო (ა. კანავარო, 89), ბონერა, მატუზალემი (დონატი, 63), მარკიონი, ლამუში, ადრიანო (ბონაცოლი, 68), ნაკატა, დი ვაიო

**ტურნირის** პირველ მატჩში „ბარსელონამ" „პარმას" 4 გოლი გაუტანა და ორიც თავად მიიღო. ექვსივე გოლი პირველმა ტაიმმა დაიტია. ლუის ვან გაალის „ბარსელონა" კი ისეთივეა, როგორც ყოველთვის, ბევრი გააქვს და ბევრსაც უშვებს.

გამოსარჩევი უპირველეს ყოვლისა, ხუან რომან რიკელმეს კარგი თამაში იყო. არგენტინელმა კატალონიურ კლუბში დებიუტი ორი გოლით აღნიშნა. პირველად რიკელმემ ბურთი იტალიელთა კარისკენ ზურგით მდგომმა მიიღო, სწრაფად შემოტრიალდა და 25-იოდე მეტრიდან აუღებელი დაარტყა. ეს 33-ე წუთზე მოხდა. ამ დროისთვის ანგარიში 1:1 იყო. იქამდე გაბრის პასით ჯოვანის გატანილს „პარმამ" დი ვაიოს გოლით უპასუხა, რომელიც „ბარსელონას" ახალი მეკარის, რობერტ ენკეს შეცდომას მოჰყვა.

იტალიელებმა მეორედ გათანაბრება მარკო მარკიონის თავურით მოახერხეს. ტაიმის ბოლომდე დარჩენილ 8 წუთში კი კატალონიელებმა კიდევ ორჯერ იხეირეს — კლუივერტის პასით რიკელმემ 42-ე წუთზე დუბლი შეასრულა, შემდეგ კი როჩემბაკმა საჯარიმოთი საბოლოო წერტილიც დასვა.

**აიაქსი 2:1 მანჩესტერი**

1:0 სიკორა (39), 2:0 იბრაგიმოვიჩი (75), 2:1 სქოულზი (78)

**აიაქსი:** სტეკელენბურგი, ტრაბელსი, ბერგდოლმო, გალაშეკი, კოვე (მასანენა, 76), ვან დერ მეიდე (მაარა, 60), იბრაგიმოვიჩი, მაქსველი (ვამბერტო, 71), ობრაიენი, ვან დერ ვაარტი (უინტერი, 60), სიკორა (მიდო, 60)

**მანჩესტერი:** ბარტეზი (ქეროლი, 76), სილვესტრი, ფ. ნევილი, ვერონი (ბათი, 46), ბლანი, ფერდინანდი (ბრაუნი, 58), ბეკჰემი (სქოულზი, 46), ფორლანი, ვან ნისტელროი (მიუ, 65), გიგზი, კინი

**„აიაქსმა"** ტურნირი „მანჩესტერით" და გამარჯვებით დაიწყო. აღსანიშნავია, რომ შედარებით ნაკლებადცნობილი აიაქსელების წინააღმდეგ სერ ალექსმა ყველა საუკეთესო ათამაშა ახალშეძენილი რიო ფერდინანდის ჩათვლით, თუმცა „ამსტერდამ არენაზე" პოლ სქოულზის პრესტიჟის გოლის მეტს ვერაფერს გამორჩა.

თამაში თავიდან ბოლომდე „აიაქსის" უპირატესობით წარიმართა. ამსტერდამელები მეტოქეზე უკეთ მომზადებულნი ჩანდნენ და ფერგიუსონის გუნდი მადლობელიც უნდა იყოს, ორ ბურთზე მეტი რომ არ გაუშვა.

75-ე წუთზე ზლატან იბრაგიმოვიჩმა პირველ ნახევარში ვიქტორ სიკორას გატანილს ერთიც წაამატა და ანგარიშიც 2:0 გახდა. სამ წუთში სქოულზმა ერთი ბურთი გაქვითა.

შესვენებამდე „აიაქსმა" რამდენიმე კარგი მომენტი გააფუჭა, გოლის ავტორმა იბრაგიმოვიჩმა ბურთი ძელსაც გაარტყა.

„ჩვენგან განსხვავებით, „აიაქსს" მეტი აგრესია ჰქონდა" — აღნიშნა ფერგიუსონმა ნამატჩევს. შოტლანდიელი, ალბათ, იმასაც გულისხმობდა, რომ ერთ ეპიზოდში „აიაქსის" რუმინელმა მცველმა კრისტიან კივუმ პოლ სქოულზს უკნიდან მეტად საშიშად ჩაარტყა.

**პარმა 0:3 მანჩესტერი**

0:1 გიგზი (23), 0:2 ვერონი (50), 0:3 სოლსკიაერი

**პარმა:** ფრეი, დიანა, ა. კანავარო, ბონერა, სიგური, მარკიონი (გრეშკო, 62), ბარონე (ლამუში, 57), დონატი, ნაკატა, დი ვაიო (გილარდინო, 68), ბონაცოლი (ადრიანო, 57)

**მანჩესტერი:** ქეროლი, ბრაუნი, სილვესტრი (ფ. ნევილი, 75), ფერდინანდი, ოშეა, ბეკჰემი (ფორჯიუნი, 78), ვერონი (კინი, 75), გიგზი, ბათი (სტიუარტი, 75), სოლსკიაერი, ფორლანი (მიუ, 75)

**მასპინძელთათვის** ვერგატანილი მანჩესტერელებმა „პარმას" გაუტანეს. 3:0 ზუსტად ასახავს იმ უპირატესობას, რასაც „მანჩესტერი" ფლობდა.

ანგარიში რაიან გიგზმა გახსნა უეს ბრაუნის ფლანგიდან ჩაწოდების შემდეგ. მეორე ტაიმში იტალიელები ვერონმა დაამწუხრა. პარმელთა განადგურება კი სოლსკიაერის თავურით გაფორმდა.

მცირე ტრავმების გამო „პარმას" წინააღმდეგ ვან ნისტელროისა და ფაბიენ ბარტეზს არ უთამაშიათ.

ორივე მატჩში უნდილად გაისარჯა დიეგო ფორლანი. „მანჩესტერისთვის" ყველაზე სამწუხარო ამბავი კი ის არის, რომ „აიაქსთან" დაშავებული სქოულზი რენტგენის გადასაღებად ინგლისში დაბრუნდა.

**აიაქსი 4:3 ბარსელონა**

0:1 კლუივერტი (10), 0:2 სავიოლა (40), 1:2 მიდო (46), 1:3 სავიოლა (47), 2:3, 3:3 ვან დერ ვაარტი (60, 62), 4:3 ვიჩგე (90)

**აიაქსი:** სტეკელენბურგი, ბერგდოლმო, კოვე, ვიჩგე, ტრაბელსი, გალაშეკი, მაქსველი, ვან დერ ვაარტი, სიკორა, ვან დერ მეიდე, მიდო

**ბარსელონა:** ბონანო, კრისტანვალი (რაიციგერი, 46), დე ბური, ბუიოლი (გაბრი, 64), ხავი, მენდიეტა, კოკუ (დანი, 64), მოტა, სავიოლა (ხერარდი, 43), ლუის ენრიკე (ფერნანდო, 64), კლუივერტი

**დაპირისპირება** ისეთი გამოდგა, როგორიც მოსალოდნელი იყო. „ამსტერდამ არენაზე" შეკრებილმა ხალხმა ჩინებული სანახაობით ისიამოვნა. ვან გაალმა და კუმანმა თავიანთი ახალი გუნდები ყოფილ გუნდებს შეაჯახეს.

თუმცა პირველ ნახევარში ამსტერდამელებსა და მათ ქომაგებს სასიამოვნოდ საქმე არ ჰქონდათ. კატალონიური კლუბი უტევდა და ტაიმიც კლუივერტისა და სავიოლას ორი გოლით და ბლომად გამოუყენებელი მომენტით დასრულდა.

მეორე ტაიმის დასაწყისში „აიაქსის" ეგვიპტელმა მიდომ კი შეაგდო, თუმცა სავიოლამ უმალ აღადგინა ორბურთიანი სხვაობა და თითქოს „ბარსელონას" გამარჯვებას წინ აღარაფერი ედგა, მაგრამ რაფაელ ვან დერ ვაარტის ორმა და რიხარდ ვიჩგეს გადამწყვეტმა გოლმა „აიაქსს" ტურნირში პირველი, ლუის ვან გაალის ბიჭებს კი მეორე ადგილი არგუნა.

გუშინ „ბარსელონა" ნიუკასლში გაფრინდა „კაჭკაჭებთან" ამხანაგურად საბურთაოდ.

**სერგი ძორიძე**

### საბოლოო ცხრილი

| | | |
|---|---|---|
| აიაქსი | 2 მოგება, 6 გოლი | 12 |
| ბარსელონა | 1 მოგება, 7 გოლი | 10 |
| მანჩესტერი | 1 მოგება, 4 გოლი | 7 |
| პარმა | 0 მოგება, 2 გოლი | 2 |



REUTERS ამსტერდამიდან

აიაქსი — მანჩესტერი. ხუან ვერონმა ხელები ტყუილად გაშალა

### ფეხბურთის რუკასთან



**იტალიური** „რომას" კაპიტანმა და ლიდერმა ფრანჩესკო ტოტიმ ვარჯიშისას მუხლი იტკინა და, როგორც რომაული კლუბის ექიმები ამბობენ, თავის ორი თვე კლუბს ვერ დაეხმარება.

**შოტლანდიური „რეინჯერსიდან" წასული რუსი ფეხბურთელი ანდრეი კანჩელსკისი ინგლისურ „ჯილინგემში" ვარჯიშობს, თუმცა აქ დარჩენა ჯერ არ გადაუწყვეტია. პირველდივიზიონური გუნდის მენეჯერი ენდი ჰეზენტალერი 33 წლის რუსისადმი დიდი სიმპათიით არის გამსჭვალული და ამბობს: „იგი დიდი გამოცდილების პატრონია. ჩემს ბიჭებს მისი კლასი ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევს." შეგახსენებთ, რომ „რეინჯერსის" გარდა კანჩელსკისი თავის დროზე „მანჩესტერ იუნაიტედში", „ევერტონში" და „მანჩესტერ სიტიში" თამაშობდა.**

**რუსეთის** დედაქალაქ მოსკოვში შემზარავი ფაქტი მოხდა. მოსკოვის „ტორპედოს" ფეხბურთელ კონსტანტინ ზირიანოვის მეუღლე ოლგამ ღამის პირველ საათზე ოთხი წლის მძინარე შვილს ხელი დაავლო და მე-8 სართულიდან გადახტა. ბავშვი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა, ხოლო 23 წლის ოლგას გადასარჩენად ექიმები ყველაფერს აკეთებენ. თვითონ ფეხბურთელი გუნდის ბაზაზე იყო. ექიმთა განცხადებით, ქალი ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ იყო, ხოლო მანამდე ნარკოტიკებისგან განკურნების მიზნით ორჯერ ჩაიტარა მკურნალობა.

**ჰოლანდიური „პსვ ეინდჰოვენის" რუსი მცველი იური ნიკიფოროვი ორი წლით პირველდივიზიონურ „ვალვაიკში" გადავიდა. ფილიპსელებთან კონტრაქტის გახანგრძლივებაზე მისთვის არავის მიუმართავს და ისიც თავის ახალ კლუბს თავისუფალი აგენტის სტატუსით შეუერთდა.**

**რუსეთის** პრემიერლიგის აუტსაიდერი ოსური „ალანია" მოსკოვის „სპარტაკს" მცველ დმიტრი ანანკოს შესაძლო ტრანსფერზე ესაუბრება. ცოტა ხნის წინ ვლადიკავკაზელებმა დედაქალაქელებს მეკარე დმიტრი გონჩაროვი წაჰგვარეს.

**ინგლისური „ფულემი" გაკოტრებულ „ფიორენტინას" კაპიტან ანჯელო დი ლივიოს საცდა, კონტრაქტს გაუფორმებს. ფეხბურთელს გადაწყვეტილი ჰქონდა, კარიერა დაემთავრებინა, მაგრამ ლონდონური კლუბის მენეჯერის თანაშემწემ, ლეგენდარულმა ფრანკო ბარეზიმ მაცდუნებელი წინადადებით მიმართა. 36 წლის დი ლივიო აცხადებს, რომ ნისლიან ალბიონზე ბურთის გაგორება მისი დიდი ხნის ოცნება იყო და მისი მეგობარი ბარეზი ახლა სწორედ ოცნების ხორცშესხმაში ეხმარება.**

**შვედეთის** ნაკრების ფორვარდმა ჰენრიკ ლარსონმა განაცხადა, რომ ორი წლის შემდეგ, როდესაც მას გლაზგოს „სელტიკთან" კონტრაქტი დაუმთავრდება, სამშობლოში დაბრუნდება და თავის პირველ კლუბ „ჰელსბორგს" შეუერთდება: „მე ბევრი მირჩევს, რომ ინგლისურ, იტალიურ ან ესპანურ გუნდებში გადავიდე, მაგრამ სამშობლოში დაბრუნების პერსპექტივა მხიბლავს. ამასთან შოტლანდიაში უკვე შვიდი წელია, ვთამაშობ, რაც, ჩემი აზრით, საკმარისია." დაბოლოს, ლარსონმა დასძინა, 2004 წლის შემდეგ ნაკრების ყვითელ მაისურას აღარ მოვირგებო.

**ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედი" შესაძლოა დათანხმდეს რომის „ლაციოს" ხუან სებასტიან ვერონისა და ერნან კრესპოს გაცვლაში. მანჩესტერელთა მენეჯერი ალექს ფერგიუსონი მსოფლიოს დონის ფორვარდის შეძენას ცდილობს. კლუბში ხომ მხოლოდ ორი თავდამსხმელი — ჰოლანდიელი რუუდ ვან ნისტელროი და ნორვეგიელი ოლე გუნარ სოლსკიაერი ჰყავს, ინგლისის ჩემპიონობისა და ჩემპიონთა თასისთვის მებრძოლ გუნდს კი ორ ფორვარდზე დაყრდნობა კარგს არაფერს მოუტანს. სატრანსფერო ბაზარი ევროპაში თვის ბოლოს იხურება და მანამდე საკმაო დროა, რათა კლუბებმა შეთანხმებას მიაღწიონ.**

**საფრანგეთის** ნაკრების თავდამსხმელმა ტიერი ანრიმ განაცხადა, რომ „არსენალის" დატოვებას არ აპირებს. ახალი კონტრაქტის თანახმად, იგი კვირაში 60 ათას გირვანქას მიიღებს: „მე აქ დავრჩები მანამდე, სანამ კლუბი მოისურვებს. არ შემიძლია, მივატოვო ის ხალხი, რომლებსაც ვუყვარვარ. მე პრემიერლიგის საუკეთესო ბომბარდირი გავხდი, კლუბმა დუბლი შეასრულა და მსურს, მე და „არსენალმა" გამარჯვებების სერია ერთად გავაგრძელოთ."

**რუსულ „როსტსელმაშში" ხელმძღვანელობა შეიცვალა. ახალი პრეზიდენტი ივან სავიდი გახდა. მას კლუბში ბევრი პრობლემა დახვდა, თუმც ჯერ გუნდის სახელის შეცვლა მოინდომა. ამასთან დაკავშირებით სავიდიმ ქომაგთა შორის გამოკითხვა ჩაატარა, რომელთა 41 პროცენტმა გუნდის ორმოცდაათწლიან სახელს უგანა. დანარჩენმა 59 პროცენტმა კი სახელის შენარჩუნება ისურვა.**

**კოსტა რიკის** ნაკრების თავდამსხმელმა პაოლო ვანჩოპემ აშშ ქალაქ ოჰაიოში მარჯვენა მუხლის ოპერაცია გაიკეთა. როგორც მისი მენეჯერი ელიას სოლეი იუწყება, ოპრაციამ წარმატებით ჩაიარა: „პაოლოს ტელეფონით ვესაუბრეთ და იგი თავს კარგად გრძნობს." ექიმთა განცხადებით კი, ფეხბურთელი ვარჯიშს სექტემბრის ბოლოს შეძლებს, ხოლო თამაშს ექვს თვეში დაიწყებს.

**გერმანიის ქალაქ კიოლნის პროკურატურამ „ლევერკუზენის" მცველ იენს ნოვოტნისა და კლუბის ყოფილ მწვრთნელ კრისტოფ დაუმის საქმეზე გამოძიება დაიწყო. პროკურატურის ვარაუდით, მცველს გადასახადისთვის თავი აურიდებია და 10 მილიონი მარკა დაუმალავს. ამ თანხის დიდი ნაწილი მას „კარლსრუედან" „ბაიერში" გადასვლისას, ლევერკუზენული კლუბის შავი სალაროდან მიუღიათ. ამ ყველაფერს კი დაუმი აფარებდა ხელსო.**

**ბრაზილიელი** მეგოლე მარიო ჟარდელი, რომელიც „ოქროს ბუცებს" ჩვეულებრივი ბუცებივით ირგებს, ლონდონურ „ფულემს" მოუსურვებია. ისე, ინგლისელებს წინა წელსაც სურდათ თავდამსხმელის გადაბირება, მაგრამ მაშინ ლისაბონის „სპორტინგმა" 20 მილიონი გირვანქა მოითხოვა. ახლა ჟარდელი დაჟინებით ითხოვს კლუბის დატოვებას და ლისაბონელებსაც უკან დახევა მოუწევთ.

**გერმანიის ჩემპიონ „ბორუსიას" მთავარი მეგოლე, ბრაზილიელი მარსიო ამორუზო სამი თვით დაკლდება. მან აქილევსის მყესი დაიზიანა. შეგახსენებთ, რომ ამორუზო თავის პირველივე დორტმუნდულ სეზონში, „მიუნხენ 1860"-ის ფორვარდ მარტინ მაქსთან ერთად, ბუნდესლიგის ბომბარდირი გახდა. რურის ოლქელებს პარასკევს გერმანიის ჩემპიონატის პირველ ტურში ბერლინის „ჰერტა" გაუწევს მეტოქეობას.**

**ჰოლანდიის** ტელევიზიით ფეხბურთის ცნობილი სპეციალისტი 63 წლის კლემენს ვესტერჰოფი დაკარგულ ადამიანთა სიაში გამოაცხადეს. საქმე ისაა, რომ ბოლოს იგი 3 მაისს ზიმბაბვეში ჩასული ნახეს, სადაც მისი წიგნის „საფეხბურთო ჯუნგლების ტარზანის" პრეზენტაცია გაიმართა, თუმც ლონისძიებაზე იგი არ გამოცხადებულა. შეგახსენებთ, რომ იგი ნიგერიის ნაკრებს 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე თავკაცობდა, ხოლო სამშობლოში „ფეიენოორდი" „ვიტესი" და „მაასტრიხტი" გაუწვრთნია.



ჯორჯ და ალექს ბესტები ნარჩევ საზოგადოებას კვლავაც წარუდგებიან

# ბლატერი და იდეები

**ფიფას პრეზიდენტი** ზეპ ბლატერი პირობას ვერ სდებს, რომ 2004 წელს კონფედერაციათა თასის გათამაშებას ჩაატარებს. შეგახსენებთ: ეს თასი ორ წელიწადში ერთხელ თამაშდება. შეჯიბრებაში მონაწილეობს ექვსი კონტინენტური კონფედერაციის ჩემპიონი, მსოფლიოს ჩემპიონი და მასპინძელი ქვეყნის ნაკრები. ხსენებული ტურნირი ფიფას ჩინოსნებმა ევროპული კლუბების კიდევ უფრო მეტად გადატვირთვის წინააღმდეგ ჩაიფიქრეს, თუმცა ევროპელებმა (კერძოდ კი უეფამ, რომელიც ფიფასთან დაპირისპირებული გახლავთ) კონტრზომას მიმართეს — მათ განაცხადეს, რომ 2005 წელს, შეჯიბრების გერმანიაში ჩატარების შემდეგ მასში მონაწილეობაზე უარს იტყვიან.

დავძინოთ: 2005 წლის გათამაშება გერმანიაში იმიტომ გახლავთ დანიშნული, რომ 2006-ში ამ ქვეყანაში მსოფლიოს ჩემპიონატი ტარდება და ეს ერთგვარი რეპეტიცია უნდა იყოს. ზუსტად ამ მიზეზით, კონფედერაციათა თასის 2001 წლის გათამაშება, მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის მასპინძელ ქვეყნებში, კორეასა და იაპონიაში გაიმართა. დავამატოთ, რომ ფიფას 2005 წლამდე კონფედერაციათა თასის 2003 წლის გათამაშება აქვს დასაბინავებელი, მაგრამ ამას არ დარდობს, პირიქით, მადაზეა მოსული და კიდევ ერთი მივიწყებული შეჯიბრების, კლუბთა მსოფლიო თასის აღდგენას აპირებს.



ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი ავსტრალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ იან ნოპს 2014 წლის მუნდიალზე ელაპარაკა

„ვნახავთ, როგორ აიტანს ორივე შეჯიბრებას საერთაშორისო კალენდარი — ეშმაკური მოკრძალებით აცხადებს ბლატერი — მათ გამო ძველ ტურნირებს ხომ არ გავაუქმებთ".

რაც შეეხება 2005 წლის შემდგომ, როგორც ზემოთ ვთქვით, ბუნდოვან პერიოდს, მასთან დაკავშირებით ბლატერს ახალი კონტრაქტების იმედი აქვს — ამასწინათ, კონფედერაციათა თასის 2007 წლის გათამაშებაზე, რალაც ახალი სამხრეთ უელსის პრემიერმა, ბობ კერმა ჩაიბუტბუტა. ერთი სიტყვით, შესაძლოა, შეჯიბრებას ავსტრალიამ უმასპინძლოს, რომლის ორ შტატს, ზემოხსენებულსა და ვიქტორიისას, 2014 წლის მუნდიალზეც დაუდგამს თვალი. ისე, მთლიანი ავსტრალიის პრემიერი ჯონ ჰოვარდი, ამბობს, რომ ამ ამბავში ფედერალური მთავრობის ხელი არ ურევია.

**ბაგუნა ძიდია**

# ბესტი გადარჩა

## ლეგენდამ შემწვარი ქათამიც დააგემოვნა

**ბრიტანული** ფეხბურთის ლეგენდა ჯორჯ ბესტი, მისი 29 წლის მეუღლის, ალექსის განცხადებით, ღვიძლის გადანერგვის ოპერაციამ კინაღამ იმსხვერპლა. ალექსის თქმით, 56 წლის ჯორჯს, 10 საათიანი ოპერაციის დროს (რომლის შესახებაც „სარბიელი" წინა კვირაში იტყობინებოდა) მოსალოდნელზე ხუთჯერ მეტი სისხლის გადასხმა დასჭირდა.

„ჯორჯს 40 გალონი სისხლი დასჭირდა. მეგონა ვეღარ დავიბრუნებდი. მის დაკარგვასთან ძალიან ახლოს ვიყავი" — თქვა მეუღლემ.

მოგეხსენებათ, სამშაბათს ლონდონის „კრომველ ჰოსპიტალში" ლოთობისგან ღვიძლგადაგვარებულ ირლანდიელ ვარსკვლავს, შვიდთვიანი ლოდინის შემდეგ გამოჩენილი დონორის ორგანო გადაუნერგეს. საბედნიეროდ, ბესტს საქმე კარგად წაუვიდა, ოთხშაბათს იგი აპარატურიდან მოხსნეს, ორი დღის შემდეგ კი ლოგინიდანაც წამოაყენეს და სპეციალური ვარჯიში შეასრულებინეს. შემდგომ ავადმყოფმა შემწვარი ქათამი და სალათი მიირთვა, ბოლოს კი ტელევიზიით მარულას უცქირა.

ამასთან, „მანჩესტერ იუნაიტედის" ისტორიაში ერთ-ერთ უბრწყინვალეს მოთამაშეს, მუცელში კვლავ კაფსულა აქვს ჩადგმული. ეს კაფსულა ალკოჰოლის მიღებისთანავე ცუდად ხდის ადამიანს.

**ბაგუნა ძიდია**

# დელა ოდელა ფლორენციაში

## ვალებს ვალე გაისტუმრებს

**იტალიელი** ბიზნესმენი დიეგო დელა ვალე, ფეხსაცმლის მწარმოებელი მსხვილი კორპორაციის, TOD S-ის მეწილე, ახალშობილი „ფიორენტინას" მეპატრონედ მოიხსენიეს. მოგეხსენებათ, ძველი, 76 წლის „ფიორენტინა", იტალიის ორგზის ჩემპიონი და ევროპის თასების მფლობელთა თასის მფლობელი, ამასწინათ გაკოტრდა და მის ნაცვლად ფლორენციის მერიამ, ქალაქზე ახალი კლუბი დააფუძნა. ახალ კლუბს სრულად „ფიორენტინა 1926 ფლორენცია" ჰქვია, ხოლო მის პრეზიდენტად ქალაქის მერი, ლეონარდო დომენიჩოა გაფორმებული. როგორც ჩანს, დომენიჩოს ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ ძალაუფლებას დელა ვალეს ფინანსური ძლიერება ეფექტურად შეერწყმება.

49 წლის დელა ვალე წარმოშობით ტოსკანიელია. მისი იმპერია, რომელშიც შედის მის მიერვე დაფუძნებული TODS, HOGAN და FAY, 250 მილიონ ევროდაა შეფასებული.

„დელა ვალეს ტოსკანიაში დიდი ინტერესი აქვს. მას სურს ფლორენციული ფეხბურთი კვლავ უმაღლეს დონეზე ავიდეს" — განაცხადა ქალაქის სპორტული ცხოვრების ხელმძღვანელმა ეუჯენიო ჯანიმ.

როგორც ირკვევა, ფლორენციაში კლუბის აქციები სახალხოდ გაიყიდება, რათა წინა მფლობელის, ვიტორიო ჩეკი გორის დარად ვინმემ 99 პროცენტი არ მოიხელთოს.

**ბაგუნა ძიდია**


24 საათი თქვენს განკარგულებაში

ავტოტრანსპორტით, თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობითა და იარაღით

დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური

შპს «დარაკა»

- პერსონალური დაცვა, საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების სხვადასხვა სფეროში დასაქმებული მოქალაქეებისთვის.
- დაცვითი ღონისძიებების უზრუნველყოფა.
- საოფისე, ადმინისტრაციული შენობების, საცხოვრებელი სახლების, წარმომადგენლობებისა და ორგანიზაციების დაცვა.
- იურიდიული კონსულტაცია.
- საადვოკატო მომსახურება.
- სასამართლო წარმომადგენლობა.
- აუდიტი.

ჩვენ ვიცავთ კანონს! კანონის უზენაესობა უპირობოა!

მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 41, სართული 5.
ტელ: (99532) 394003, ტელ/ფაქსი: (99532) 225186




ნუნუ გომეში ლისაბონელებს ეუსებიომ წარუდგინა

# ნუნუმ უფულობას ცოტა ფული ამჯობინა

უკვე არარსებული „ფიორენტინადან" ნუნუ გომეში „ბენფიკაში" დაბრუნდა. მისი წარდგენა მაყურებლის წინაშე „ბენფიკა" — „გრემიოს" ამხანაგური მატჩისას მოხდა. შეგახსენებთ, რომ 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ, „ბენფიკადან" „იებში" გადასული გომეშის იტალიური კარიერა მაინცდამაინც ვერ აეწყო, ამ ყველაფერს იტალიური კლუბის გაკოტრებაც მოჰყვა. ნუნუს ახალი კონტრაქტი 4-წლიანია, ფინანსური დეტალები არ ხმაურდება, თუმცა სავარაუდოდ გომეში უფრო ნაკლებს მიიღებს, ვიდრე სერია A-ში თამაშისას.

# ევროპული ტრანსფერები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## იტალია

### სერია A

## იუვენტუსი

**წავიდნენ**

ენცო მარესკა (პიაჩენცა)
ნიკოლა ამორუზო (პერუჯა)
ფაბრიციო მიკოლი (პერუჯა)
ვენსან პერიკარი (პორტსმუთი, ინგლისი)
დანიელ ფონსეკა (ნასიონალი, ურუგვაი)
ფაბიან ონილი (პერუჯა)
რონი ობრაიენი (დანდი იუნაიტედი, შოტლანდია)
მანუელე ბლაზი (პერუჯა)
ალესანდრო ფრარა (ბოლონია)
ჯუზეპე სკული (კროტონე)
ტომას გუზმანი (ტერნანა)
მიკელე პარამატი (ატალანტა)
ფაბიო კარინი (არსენალი, ინგლისი)
მასიმილიანო ვიერი (ვერონა)

**მოვიდნენ**

დავიდე ბაიოკო (პერუჯა)
მატეო ბრიგი (ბოლონია)
მარკო ბრიგი (რიმინი)
ანტონიო კამენტი (ლეჩე)
სალვატორე ფრეზი (ბოლონია)
ემილიანო მორეტი (ფიორენტინა)
მაურო კამორანეზი (ვერონა)
დარიო ბაჩინი (ნაპოლი)
დანიელე გასტალდელო (ანკონა)
მარკო ძანკი (ვერონა)
მასიმილიანო ვიერი (ანკონა)
გოდეასი (ვერონა)

## რომა

**წავიდნენ**

მარკოს ასუნსაო (ბეტისი, ესპანეთი)
ანტონიო კარლოს ძაგო (ბეშიქთაში, თურქეთი)
სებასტიან სივილია (პარმა)
ანტონიო კეიასი (ასკოლი)
სიმონე პეპე (ტერნანა)
ალდაირი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

**მოვიდნენ**

დავიდე ბომბარდინი (პალერმო)
ხოსეპ გვარდიოლა (ბრეშა)
ლუიჯი სარტორი (პარმა)
ტრაიანოს დელასი (პერუჯა)
კრისტიან პანუჩი (მონაკო, საფრანგეთი)
კრისტიან კივუ (აიაქსი, ჰოლანდია)

## ინტერი

**წავიდნენ**

დარიო შიმიჩი (მილანი)
დავალა უმითი (გალათასარაი, თურქეთი)
კლარენს ზეედორფი (მილანი)
ადრიანო (პარმა)
ანტონიო პაჩეკო (ესპანიოლი, ესპანეთი)
ანსელმო რობიატი (ანკონა)
ვრატისლავ გრეშკო (პარმა)
სტეფანო ლომბარდი (ანკონა)
ალესიო სკარპა (ანკონა)
პასკუალე პადალინო (კომო)
გრიგორიოს გეორგატოსი (აეკ, საბერძნეთი)

**მოვიდნენ**

დავალა უმითი (მილანი)
ბერნარდო კორადი (კიევო)
დომენიკო მორფეო (ფიორენტინა)
ფრანჩესკო კოკო (მილანი)
პასკუალე პადალინო (ბოლონია)
დრაგენ ბრნჩიჩი (ანკონა)
მატიას ალმეიდა (პარმა)
კარლოს გამარა (ფლამენგო, ბრაზილია)
პაჩეკო (ესპანიოლი, ესპანეთი)
დანიელე ადანი (ფიორენტინა)

## მილანი

**წავიდნენ**

დემეტრიო ალბერტინი (ატლეტიკო, ესპანეთი)
ხავი მორენო (ატლეტიკო, ესპანეთი)
ხოსე მარი (ატლეტიკო, ესპანეთი)
დავალა უმითი (ინტერი)
მარკო სიმონე (მონაკო, საფრანგეთი)
ფრანჩესკო კოკო (ინტერი)
დანიელე დაინო (ანკონა)
ადამა მოჰამედ სარი (გალათასარაი, თურქეთი)
ფაბრიციო კოლოჩინი (ატლეტიკო, ესპანეთი)
ლუკა ანტონინი (ანკონა)
ნიკოლა კორენტი (კომო)
სებასტიანო როსი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ალესანდრო კოსტაკურტა (კონტრაქტი დაუმთავრდა)
მარკო დონადელი (ლეჩე)
მოჰამედ ალიუ დატი (სიენა)
სამირ ბელუფა (ბასტია, საფრანგეთი)
გაბრიელე ალდეგანი (ლივორნო)
მასიმო დონატი (პარმა)

**მოვიდნენ**

სემ დალა ბონა (ჩელსი, ინგლისი)
იონ დალ ტომასონი (ფეიენოორდი, ჰოლანდია)
კლარენს ზეედორფი (ინტერი)
დარიო შიმიჩი (ინტერი)
მარკო ბორიელო (ტრევიზო)
მაჩადუ კლეიტონი (კრუზეირო, ბრაზილია)
სირილ დომორო (მონაკო, საფრანგეთი)
ნელსონ დიდა (კორინთიანსი, ბრაზილია)
გაბრიელე ალდეგანი (ალავესი, ესპანეთი)
პიერლუიჯი ორლანდინი (ატალანტა)
დამიანო ძენონი (ატალანტა)
ფრანჩესკო კოკო (ბარსელონა, ესპანეთი )
რივალდო (ბარსელონა, ესპანეთი)

## კიევო

**წავიდნენ**

ჩირო დე ჩეზარე (კომო)
დიომანსი კამარა (მოდენა)
კრისტიან მანფრედინი (ლაციო)
ბერნარდო კორადი (ინტერი)
ანდრეა ძანკეტა (ვიჩენცა)
სიმონე ბარონე (პარმა)
ანტონიუ კლეიტონი (მანტოვა)
ალესანდრო რინალდი (ატალანტა)
ერიბერტო (ლაციო)

**მოვიდნენ**

ფაბიო ფირმანი (ბოლონია)
ივონე დე ფრანჩესკი (ვენეცია)
ჯონ მენსა (ჯენოა)
დანიელე მორანტე (ტრევიზო)
ლილიან ნალისი (ბასტია, საფრანგეთი)
სერჯო პელისიერი (სპალ)
მარკო ვერონეზე (მოდენა)
ფრანჩესკო ვინჩენტი (კარარეზე)
ბიორნ რუნსტრიომი (ბოლონია)

## ლაციო

**წავიდნენ**

კარელ პობორსკი (სპარტა, ჩეხეთი)
ივან დე ლა პენია (პორტუ, პორტუგალია)
ანდრეა კომაცი (ვერონა)
ფაბიო მინიერი (მარტინა)
ფაბიო ოლა (აკილა)
ალესიო სესტუ (მოდენა)
გაისკა მენდიეტა (ბარსელონა, ესპანეთი)

**მოვიდნენ**

კრისტიან მანფრედინი (კიევო)
მასიმო ოდო (ვერონა)
ხუან პაბლო სორინი (კრუზეირო, ბრაზილია)
რობერტო ბარონიო (ფიორენტინა)
ემანუელე პეზარეზი (ნაპოლი)
ენრიკო კიეზა (ფიორენტინა)
ერიბერტო (კიევო)

## ბოლონია

**წავიდნენ**

ფაბიო ფირმანი (კიევო)
მატეო ბრიგი (იუვენტუსი)
სალვატორე ფრეზი (იუვენტუსი)
პასკუალე პადალინო (ინტერი)
ლამბერტო ძაული (ვიჩენცა)
მასიმო ტარანტინო (კომო)
ფაბიო პეკია (კომო)
ბიორნ რუნსტრიომი (კიევო)

**მოვიდნენ**

ალესანდრო ფრარა (იუვენტუსი)
ანდრეა არტიდო (კომო)
ლეონარდო კოლუჩი (ვერონა)
ანდრეა პანზერა (ალბინოლეფე)
სმიტი (ცრვენა ზვეზდა, იუგოსლავია)

## პერუჯა

**წავიდნენ**

ტრაიანოს დელასი (რომა)
დავიდე ბაიოკო (იუვენტუსი)
ანდრეა ბაძანი (სამპდორია)
ოსკარ კორდობა (ბოკა ხუნიორსი, არგენტინა)
რაჯა რეზაეი (ისფაჰანი, ირანი)
სალვატორე მონაკო (კატანია)
ლორენცო ბუკი (კატანია)
დონოვან მაური (როდა, ჰოლანდია)

**მოვიდნენ**

ნიკოლა ამორუზო (იუვენტუსი)
ფაბრიციო მიკოლი (იუვენტუსი)
ფაბიან ონილი (იუვენტუსი)
ძელკო კალაჩი (როდა, ჰოლანდია)
მანუელე ბლაზი (იუვენტუსი)
ანტონიო კრინიტი (სამბენედეტესე)
მასიმო დე მარტიზი (კატანია)
ჯენარო დელვეკიო (სამბენედეტესე)
იბრაჰიმ კარგბო (მოლენბეკი, ბელგია)
ჯორჯო ლა ვიზტა (ფერმანა)
უილიამ ვიალი (ვენეცია)
იოვან ტანასიევიჩი (ვოივოდინა, იუგოსლავია)
იანუშ მატიუში (კოტბუსი, გერმანია)
ოსკარ პერესი (ბოკა ხუნიორსი, არგენტინა)

## ატალანტა

**წავიდნენ**

პიერლუიჯი ორლანდინი (მილანი)
კორადო კოლომბო (სამპდორია)
ჯანლუკა ფალზინი (პარმა)
დამიანო ძენონი (მილანი)
სალვატორე ფემიანო (კომო)
მასიმო პაგანინი (სამპდორია)
ლუკა საუდატი (ემპოლი)

**მოვიდნენ**

აპოსტოლოს ლიოლიდისი (არისი, საბერძნეთი)
ალესანდრო რინალდი (კიევო)
კარმინე გაუტიერი (პიაჩენცა)
მაურო მინელი (ლუმეცანე)
დავორ იავორჩიჩი (ტრევიზო)
მიკელე პარამატი (იუვენტუსი)

## პარმა

**წავიდნენ**

ლუიჯი სარტორი (რომა)
მატიას ალმეიდა (ინტერი)
გაეტანო გრიეკო (ემპოლი)
სერგეი გურენკო (პიაჩენცა)
ამადეო მანგონე (ბრეშა)
ხუნიორ მონტანო (პიაჩენცა)
ალენ ბოგოსიანი (ესპანიოლი, ესპანეთი)
სტეფან აპია (ბრეშა)
ანტონიო ბენარივო (ტრანსფერზეა)
ხორხე ბოლანო (სამპდორია)
ნესტორ სენსინი (უდინეზე)
მარტინ ჯეტუ (ფულემი, ინგლისი)
კარვალიუ დე ამაური (ემპოლი)
სავო მილოშევიჩი (ესპანიოლი, ესპანეთი)
ჯამპიერო მაინი (ანკონა)

**მოვიდნენ**

ვრატისლავ გრეშკო (ინტერი)
დანიელე ბონერა (ბრეშა)
ადრიანო (ინტერი)
სებასტიან სივილია (რომა)
სტეფანო ტორიზი (მარსელი, საფრანგეთი)
ალბერტო ჯილარდინო (ვერონა)
პაოლო პოჯი (პიაჩენცა)
ალექს დე სოუზა (პალმეირასი, ბრაზილია)
სიმონე ბარონე (კიევო)
მარკ ბრეშიანო (ემპოლი)
ჯანლუკა ფალზინი (ატალანტა)
პაოლო კანავარო (ვერონა)
ფრანჩელინო და სილვა მატუზალემი (პიაჩენცა)
სავო მილოშევიჩი (სარაგოსა, ესპანეთი)
პატრიკ მბომა (სანდერლენდი, ინგლისი)
ფრანჩესკო გიბსი (მონცა)
დანიელე მაჯო (ვიჩენცა)
მასიმო დონატი (მილანი)

## ტორინო

**წავიდნენ**

სიმონე ტირიბოკი (სიენა)
ანდრე და სილვა ლუჩანო პინგა (სიენა)
მასიმო ბრამბილა (სიენა)

**მოვიდნენ**

ფედერიკო ბალძარეტი (სიენა)
ჯიბრილ დიავარა (კოზენცა)
დავიდე მანდელი (სიენა)
იკსელ ოსმანოვსკი (ბორდო, საფრანგეთი)
ჯენარო სკარლატო (უდინეზე)
ფრანკო სემიოლი (ტერნანა)
ვინჩენცო სომეზე (პიაჩენცა)
სიმონე ტირიბოკი (ანკონა)

## პიაჩენცა

**წავიდნენ**

გაბრიელე ამბროზეტი (ჩელსი, ინგლისი)
კარვალიუ დე ამაური (ემპოლი)
სერჯო ვოლპი (სამპდორია)
პაოლო პოჯი (პარმა)
კარმინე გაუტიერი (ატალანტა)
ფრანჩელინო და სილვა მატუზალემი (პარმა)
ვინჩენცო სომეზე (ტორინო)
ნიკოლა კაჩა (ტერნანა)
მარკო ლივერანი (პავია)
ნიკოლა მორა (ბარი)
სტეფანო საკეტი (სამპდორია)

**მოვიდნენ**

ენცო მარესკა (იუვენტუსი)
სერგეი გურენკო (პარმა)
ამადეო მანგონე (ბრეშა)
ვინჩენცო სომეზე (ვიჩენცა)
ხუნიორ მონტანო (პარმა)
სტეფანო დი ფიორდო (სორა)
დარიო მარკოლინი (სამპდორია)
ლუიჯი რიჩიო (ანკონა)
მარკო სტელა (პესკარა)
რიკო (ტერნანა)
მუნო ობოლო (ველეს სარსფილდი, არგენტინა)

## ბრეშა

**წავიდნენ**

ხოსეპ გვარდიოლა (რომა)
ამადეო მანგონე (პიაჩენცა)
დანიელე ბონერა (პარმა)
სტეფანო ალიარდი (კოზენცა)
ჯონათან ბინოტო (კომო)
სალვატორე სუსი (ჯენოა)
ლუკა კასტელაცი (რეჯინა)

**მოვიდნენ**

ჟილბერტო მარტინესი (საპრისა, კოსტა რიკა)
ამადეო მანგონე (პარმა)
მატეო სერენი (იფსვიჩი, ინგლისი)
სტეფან აპია (პარმა)
დარიო დაინელი (ვერონა)
დავიდე მიჩილო (კოზენცა)

## უდინეზე

**წავიდნენ**

ალან გაარდე (ოლბორგი, დანია)
ჯენარო სკარლატო (ტორინო)
ანდრეა დიმპორძანო (ანკონა)
მაურო ესპოზიტო (კალიარი)
ნიკოლა მოლინარი (ალტო ადიჯე)
უინსტონ პარკსი (ასკოლი)
ლუიჯი ტურჩი (სამპდორია)
მარკო ძამბონი (მოდენა)
ლუის ელგერა (ალავესი, ესპანეთი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევროპული ტრანსფერები

## იტალია

### სერია A

**მოვიდნენ**

პატრიკ ბენეფორი (ბასტია, საფრანგეთი)
ჯუზეპე ჯემიტი (აინტრახტი, გერმანია)
რეფის ჟენო (სტანდარდი, ბელგია)
მარეკ იანკულოვსკი (ნაპოლი)
ხავიერ ლოპეს დასერო (ნაპოლი)
ფელიჩანო მაგრო (ციურიხი, შვეიცარია)
ნესტორ სენსინი (პარმა)
ოლივერ ბირჰოფი (მონაკო, საფრანგეთი)
კარსტენ იანკერი (ბაიერნი, გერმანია)

### ემპოლი

**წავიდნენ**

მასიმო მაკარონე (მიდლსბრო, ინგლისი)
მარკ ბრეშიანო (პარმა)
რიკარდო ბონეტო (ასკოლი)
პიეტრო ფუსკო (კატანია)
ფაბრის რაზაკი (სენტ ეტიენი, საფრანგეთი)

**მოვიდნენ**

კარვალიუ დე ამაური (პიაჩენცა)
ანტონიო ბუშე (ლუმეცანე)
გაეტანო გრიეკო (პარმა)
მარკო სტორარი (ანკონა)
სტეფანო ლუკინი (ტერნანა)
იგლი ვანუკი (ვენეცია)
ლუკა საუდატი (ატალანტა)

### კომო

**წავიდნენ**

ანდრეა არტიდო (ბოლონია)
მასიმო ბეგა (ტრიესტინა)
დემეტრიო დელ კიარო (ლუკეზე)
ლიუბიშა დუნდიერსკი (ტრევიზო)
სალვატორე ფემიანო (ლუკეზე)
ფაბიო გალო (ტრევიზო)
პერსი ოლივარესი (ლუკეზე)
სტეფანო პავონე (მესინა)
კრისტიან პედონე (სამპდორია)
კარლო ტალდო (მოდენა)
კრისტიან ტერნი (ტერნანა)
კამორანეზი (მესინა)
კალაცი (როდა, ჰოლანდია)

**მოვიდნენ**

მირკო ბენინი (ფიორენტინა)
საშა ბილანოვიჩი (ვარტექსი, ხორვატია)
ნიკოლა კორენტი (მილანი)
ჩირო დე ჩეზარე (კიევო)
ფაბრიციო ფერონი (ვერონა)
ფაბიო გალო (ტერნანა)
ჟუარესი (ლეჩე)

პასკუალე პადალინო (ინტერი)
მასიმო ტარანტინო (ბოლონია)
ფაბიო პეკია (ბოლონია)
ჯონათან ბინოტო (კომო)
ლუკა ბელინჯერი (ალძანო)
ბენიტო კარბონე (მიდლსბრო, ინგლისი)
ვინჩენცო კიანეზე (ვიჩენცა)
ფაბიო კრიბარი (ლუკეზე)
ნიკოლა ლაზეტიჩი (ფენერბაჰჩე, თურქეთი)
მაურისიო სერნა (ატლეტიკო, კოლუმბია)
ჟან-პოლ ვან გასტელი (ტერნანა)
ლიუბიშა დუნდიერსკი (ატალანტა)

### მოდენა

**წავიდნენ**

მარკო ვერონეზე (კიევო)
ანტონიო ფანტინი (ვენეცია)
ვიტორიო გრიეკო (კატანია)
ეუჯენიო ტარანა (ანკონა)
მაურიციო დომიცი (სამპდორია)
ანდრეა რაბიტო (სამპდორია)

**მოვიდნენ**

დიომანსი კამარა (კიევო)

ალესანდრო ძამპერინი (პორტსმუთი, ინგლისი)
მარკო ძამბონი (უდინეზე)
კარლო ტალდო (კომო)
ნიკოლა კამპედელი (სალერნიტანა)
ნელო რუსო (ვიტერბეზე)
ჯუზეპე სკული (კროტონე)
ალესიო სესტუ (ლაციო)
მარსელო ალბინო (ანკონა)

### რეჯინა

**წავიდნენ**

ანტონიო ბალდინი (ნაპოლი)
სტეფანო კაზალე (კოზენცა)
ნიკოლა პაგანი (კოზენცა)
ბეტონი (ქსამაქსი, შვეიცარია)

**მოვიდნენ**

შუნსუკე ნაკამურა (იოკოჰამა მარინოსი, იაპონია)
ვიქტორ საპატა (რივერ პლეიტი, არგენტინა)
კარლოს პარედესი (პორტუ, პორტუგალია)
ლუკა კასტელაცი (ბრეშა)
ბრუნო ჩირილო (ლეჩე)
სერაო (პადოვა)
ნასიმ მენდილი (კოზენცა)

## ესპანეთი

### პრიმერადივიზიონი

### ვალენსია

**წავიდნენ**

დენის სერბანი (რაპიდი, რუმინეთი)
ლივერო პარი (ალბასეტე)
ადრიან ილიე (სპორტინგი, პორტუგალია)
ხისკო (უელვა)

**მოვიდნენ**

ჟან-ფელიქს დოროთე (რენი, საფრანგეთი)

### დეპორტივო

**წავიდნენ**

ემერსონი (ატლეტიკო, ესპანეთი)
მარინო ელდერი (ბენფიკა, პორტუგალია)
ნუნო (ტრანსფერზეა)

**მოვიდნენ**

რობერტო აკუნია (სარაგოსა)
ხესუსი (ატლეტიკო)
ჟორჟე ანდრადე (პორტუ, პორტუგალია)

### რეალი

**წავიდნენ**

ელვირ ბალიჩი (ტრანსფერზეა)
დავიდ აგანსო (ვალიადოლიდი)
აიტორ კარანკა (ბილბაო)
ხავიერ პორტილიო (რეალი B)
რაულ ბრავო (რეალი B)
ოსკარ მინამბრესი (რეალი B)
ესტებან კამბიასო (რეალი B)
ფერნანდო (რეალი B)
სავიო ბორტოლინი (ტრანსფერზეა)
ფლავიო კონსეისაო (ტრანსფერზეა)
ჯერემი ნჯიტაპი (მიდლსბრო, ინგლისი)
პედრო მუნიტისი (ტრანსფერზეა)
ალბერტ სელადესი (ტრანსფერზეა)
ედვინ კონგო (ტრანსფერზეა)
ივან კამპო (ტრანსფერზეა)
მანუელ არანდა (ვილიარეალი)
ხულიო ალვარესი (რაიო ვალეკანო)

**მოვიდნენ**

ელვირ ბალიჩი (რაიო ვალეკანო)
ალბერტო რივერა (მარსელი, საფრანგეთი)
ესტებან კამბიასო (რივერ პლეიტი, არგენტინა)
ხულიო ალვარესი (რასინგი)

### ბარსელონა

**წავიდნენ**

ფრანჩესკო კოკო (მილანი, იტალია)
ალფონსო პერესი (ბეტისი)
სერხი ბარხუანი (ატლეტიკო)
ხოსე მანუელ რეინა (ვილიარეალი)
მიკელ არტეტა (რეინჯერსი, შოტლანდია)
აბელარდო ფერნანდესი (ალავესი)
ლუის გარსია (ატლეტიკო)
რიშარ დუტრუელი (ალავესი)
რივალდო (მილანი, იტალია)
ჰარუნა ბაბანგიდა (ტერასა)

**მოვიდნენ**

ალფონსო პერესი (მარსელი, საფრანგეთი)
ლუის გარსია (ვალიადოლიდი)
რობერტ ენკე (ბენფიკა, პორტუგალია)
ხუან რომან რიკელმე (ბოკა ხუნიორსი, არგენტინა)
გაისკა მენდიეტა (ლაციო, იტალია)

### სელტა

**წავიდნენ**

პაბლო ანდრეს კონტრერასი (ოსასუნა)
ზვონიმირ ბობანი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

**მოვიდნენ**

სებასტიან მენდესი (ველეს სარსფილდი, არგენტინა)
პეტერ ლუქსენი (პსჟ, საფრანგეთი)

### ბეტისი

**წავიდნენ**

ვისენტე ხავიერ პინო (ბადახოსი)
ალბერტო მერინო (უელვა)

**მოვიდნენ**

მარკოს ასუნსაო (რომა, იტალია)
ალფონსო პერესი (ბარსელონა)
ერნესტო ფარიასი (ესტუდიანტესი, არგენტინა)

### ალავესი

**წავიდნენ**

გაბრიელე ალდეგანი (მილანი, იტალია)
ფაბრიციო კოლოჩინი (მილანი, იტალია)
მარტინ ერერა (ფულემი, ინგლისი)

**მოვიდნენ**

აბელარდო ფერნანდესი (ბარსელონა)
გუსტავო ლომბარდი (რივერ პლეიტი, არგენტინა)
კრისტოფერ კანუ (აიაქსი, ჰოლანდია)
რიშარ დუტრუელი (ბარსელონა)
ედუ ალონსო (ბილბაო)
ლუის ელგერა (უდინეზე, იტალია)

### სევილია

**წავიდნენ**

სერხიო გარსია (უელვა)
ფროდე ოლსენი (ვიკინგი, ნორვეგია)

**მოვიდნენ**

ვინი სემეისი (ლას პალმასი)
ხუან კარლოს კაბალიერო (ფიგერესი)
ხუან კარლოს მარინი (ფიგერესი)

### ბილბაო

**წავიდნენ**

ედუ ალონსო (ბეტისი)

**მოვიდნენ**

აიტორ კარანკა (რეალი)
ედუ ალონსო (ლას პალმასი)

### რაიო ვალეკანო

**წავიდნენ**

ელვირ ბალიჩი (რეალი)
ანხელ ვივარ დორადო (რასინგი)
ხორდი ფერონი (სარაგოსა)
ურბანო სანტოსი (პოლი ეხიდო)

**მოვიდნენ**

ხულიო ალვარესი (რეალი)

### ვალიადოლიდი

**წავიდნენ**

აროლდ ლოზანო (მალიორკა)
ლუის გარსია (ბარსელონა)

**მოვიდნენ**

ოსკარ ფუენტესი (ბადახოსი)
დავიდ აგანსო (რეალი)
ხავიერ დავიდ მუნისი (როსარიო, არგენტინა)
სანჩესი (ბადახოსი)

### სოსიედადი

**წავიდნენ**

გიორგი დემეტრაძე (ალანია, რუსეთი)
მატიას ასპერი (მალმიო, შვედეთი)
ედგარას იანკაუსკასი (პორტუ, პორტუგალია)
აზიერ რიესგო (ეიბარი)

**მოვიდნენ**

გიორგი დემეტრაძე (ლოკომოტივი, რუსეთი)
იგორ ხაურეგი (ოვიედო)
ნიჰათ ქანვეჩი (ბეშიქთაში, თურქეთი)
ხავი ბაკერო (ეიბარი)
აიზპურუა (სალამანკა)
გაბრიელ შურერი (ლას პალმასი)

### ესპანიოლი

**წავიდნენ**

ენრიკე დე ლუკასი (ჩელსი, ინგლისი)
პაულუ სოუზა (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ივან დიასი (ალბასეტე)
ოსკარ გარსია (ვესტ ჰემი, ინგლისი)
პაჩეკო (ინტერი, იტალია)

**მოვიდნენ**

ფრანსისკო პალენსია (კრუზ ასული, მექსიკა)
მაქსიმილიანო როდრიგესი (ოლდ ბოიზი, არგენტინა)
ხავი როჩა (ვილიარეალი)
ანტონიო პაჩეკო (ინტერი, იტალია)
ალექს მანინგერი (არსენალი, ინგლისი)
ალენ ბოგოსიანი (პარმა, იტალია)
ფრედსონ პერეირა კამარა (პარანა, ბრაზილია)
სავო მილოშევიჩი (პარმა, იტალია)

### ვილიარეალი

**წავიდნენ**

ხავი როჩა (ესპანიოლი)
გეორგე კრაიოვიანუ (ხეტაფე)
გუსტავო ბაროს შელოტო (როსარიო, არგენ.)

**მოვიდნენ**

რუბენ რეიესი (ოვიედო)
ედუარდო ჟულიან ბელეტი (სან პაულუ ბრაზილია)
ხოსე მანუელ რეინა (ბარსელონა)
რუბენ რეიესი (ოვიედო)
მანუელ არანდა (რეალი)
ოსკარ სანჩესი (ბადახოსი)

### მალიორკა

**წავიდნენ**

ლეო ბიაჯინი (პორტსმუთი, ინგლისი)
გუსტავო სივიერო (ალბასეტე)

**მოვიდნენ**

აროლდ ლოზანო (ვალიადოლიდი)

### ოსასუნა

**წავიდნენ**

დანიელ მონტენეგრო (მარსელი, საფრანგეთი)

**მოვიდნენ**

პაბლო ანდრეს კონტრერასი (სელტა)
ინიაკი მუნიოსი (ნუმანსია)
მანუელ ვიდრიო (პაჩუკა, მექსიკა)
კარლოს ოჩოა (მონტერეი ტაიგერსი, მექსიკა)
ანტონიო ლოპესი (ატლეტიკო)

### ატლეტიკო

**წავიდნენ**

ტონი ხიმენესი (უცნობია)
ანტონიო ლოპესი (ოსასუნა)
კატალინ მუნტეანუ (ალბასეტე)
ჟუნინიო პაულისტა (მიდლსბრო, ინგლისი)
ხესუსი (დეპორტივო)

**მოვიდნენ**

ემერსონი (დეპორტივო)
სერხი ბარხუანი (ბარსელონა)
ლუის გარსია (ბარსელონა)
ფაბრიციო კოლოჩინი (მილანი, იტალია)
ხავი მორენო (მილანი, იტალია)
დემეტრიო ალბერტინი (მილანი, იტალია)
ხოსე მარი (მილანი, იტალია)

### რასინგი

**წავიდნენ**

სიგურდ რუშფელდტი (აუსტრია, ავსტრია)

**მოვიდნენ**

ანხელ ვივარ დორადო (რაიო ვალეკანო)
იოსი ბენაიუნი (მაკაბი, ჰაიფა, ისრაელი)
ილან ბაჩარი (ჰაპოელი, თელ ავივი, ისრაელი)

### უელვა

**წავიდნენ**

არავინ

**მოვიდნენ**

სერხიო გარსია (სევილია)
კრისტიან მარტინესი (ლევანტე)
ფრანსისკო გალიეგო (კორდობა)
ხავიერ მაირი (კორდობა)
ალბერტო მერინო (ბეტისი)

# სარბიელი და კროკო
## წარმოგიდგენთ

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **გერმანია. ბუნდესლიგა. I ტური** | | | | | | |
| | | **9 აგვისტო** | | | | | | |
| 23.00 | 001 | დორტმუნდი-ჰერტა | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| | | **10 აგვისტო** | | | | | | |
| 18.30 | 002 | კოტბუსი-ლევერკუზენი | 3,0 | 3,2 | 2,2 | 1,54 | 1,26 | 1,3 |
| 18.30 | 003 | ნიურნბერგი-ბოხუმი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| 18.30 | 004 | მენხენგლადბახი-ბაიერნი | 3,6 | 3,2 | 1,9 | 1,69 | 1,24 | 1,19 |
| 18.30 | 005 | შალკე-ვოლფსბურგი | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| 18.30 | 006 | შტუტგარტი-კაიზერსლაუტერნი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| | | **11 აგვისტო** | | | | | | |
| 20.30 | 007 | ჰამბურგი-ჰანოვერი | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,12 | 1,21 | 1,84 |
| 20.30 | 008 | არმინია-ვერდერი | 2,6 | 3,1 | 2,4 | 1,41 | 1,24 | 1,35 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა. I ტური** | | | | | | |
| | | **10 აგვისტო** | | | | | | |
| 18.00 | 009 | უნიონი-მაინცი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 18.00 | 010 | დუისბურგი-ფიურტი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,55 |
| 18.00 | 011 | ტრიერი-ბურგჰაუზენი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| | | **11 აგვისტო** | | | | | | |
| 18.00 | 012 | აინტრახტი-ზტ. პაული | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| 18.00 | 013 | ბრაუნშვაიგი-ვალდჰოფი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,55 |
| 18.00 | 014 | ლიუბეკი-ობერჰაუზენი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,55 |
| 18.00 | 015 | ალენი-როიტლინგენი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 18.00 | 016 | ალემანია-ფრაიბურგი | 2,7 | 3,1 | 2,4 | 1,44 | 1,27 | 1,35 |
| | | **12 აგვისტო** | | | | | | |
| 23.15 | 017 | კარლსრუე-კიოლნი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| | | **ინგლისი. I დივიზიონი. I ტური** | | | | | | |
| | | **10 აგვისტო** | | | | | | |
| 19.00 | 038 | ბარნსლი-ბრაიტონი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 19.00 | 039 | ქოვენთრი-შეფილდი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 19.00 | 040 | დერბი-რედინგი | 1,55 | 3,5 | 5,3 | 1,07 | 1,19 | 2,1 |
| 19.00 | 041 | ლესტერი-უოტფორდი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 19.00 | 042 | მილუოლი-როტერჰემი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 19.00 | 043 | ნორვიჩი-გრიმსბი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 19.00 | 044 | პორტსმუთი-ნოტინგემი | 2,1 | 3,1 | 3,3 | 1,25 | 1,28 | 1,59 |
| 19.00 | 045 | პრესტონი-კრისტალ პალასი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 19.00 | 046 | უოლსოლი-სტოკი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 19.00 | 047 | უიმბლდონი-ჯილინგემი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 21.35 | 048 | უოლსოლი-იფსვიჩი | 3,0 | 3,2 | 2,2 | 1,54 | 1,26 | 1,3 |
| | | **11 აგვისტო** | | | | | | |
| 20.30 | 049 | ბრედფორდი-ვულვერჰემპტონი | 2,8 | 3,2 | 2,3 | 1,49 | 1,26 | 1,33 |
| | | **ინგლისი. II დივიზიონი. I ტური** | | | | | | |
| | | **10 აგვისტო** | | | | | | |
| 19.00 | 050 | ბრისტოლი-ბლეკპული | 1,65 | 3,4 | 4,4 | 1,11 | 1,2 | 1,91 |
| 19.00 | 051 | ჩელტენჰემი-უიგანი | 2,8 | 3,2 | 2,3 | 1,49 | 1,26 | 1,33 |
| 19.00 | 052 | კოლჩესტერი-სტოკპორტი | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| 19.00 | 053 | ჰადერსფილდი-ბრენტფორდი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 19.00 | 054 | ლუტონი-პიტერბორო | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| 19.00 | 055 | მენსფილდი-პლიმუთი | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| 19.00 | 056 | ნორთჰემპტონი-ქრიუ | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| 19.00 | 057 | ნოტსი-უიკომბი | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| 19.00 | 058 | ოლდჰემი-კარდიფი | 2,8 | 3,2 | 2,3 | 1,49 | 1,26 | 1,33 |
| 19.00 | 059 | პორტ ვეილი-ტრანმერი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 19.00 | 060 | ქუინზ პარკი-ჩესტერფილდი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 19.00 | 061 | სუინდონი-ბარნსლი | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| | | **ინგლისი. III დივიზიონი. I ტური** | | | | | | |
| | | **10 აგვისტო** | | | | | | |
| 19.00 | 062 | ბოსტონი-ბორნმუთი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 19.00 | 063 | კემბრიჯი-დარლინგტონი | 1,9 | 3,3 | 3,5 | 1,2 | 1,23 | 1,69 |
| 19.00 | 064 | კარლაილი-ჰარტლპული | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 19.00 | 065 | ჰალი-საუთენდი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 19.00 | 066 | კიდერმინსტერი-ლინკოლნი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 19.00 | 067 | მაკლსფილდი-თორქი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 19.00 | 068 | ოქსფორდი-ბური | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 19.00 | 069 | როჩდეილი-ლეიტონი | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,12 | 1,21 | 1,84 |
| 19.00 | 070 | სკანთორპი-რექსემი | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| 19.00 | 071 | შრუსბერი-ექსეტერი | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| 19.00 | 072 | სუონსი-რაშდენი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 19.00 | 073 | ტორკი-როვერსი | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი. II ტური. 8 აგვისტო** | | | | | | |
| 23.00 | 074 | ოსერი-მონპელიე | 1,6 | 3,2 | 5,6 | 1,06 | 1,24 | 2,03 |
| | | **9 აგვისტო** | | | | | | |
| 23.45 | 075 | ბორდო-პსჟ | 2,3 | 2,9 | 3,1 | 1,28 | 1,32 | 1,49 |
| | | **10 აგვისტო** | | | | | | |
| 20.15 | 076 | ლანსი-სოშო | 1,6 | 3,2 | 5,6 | 1,06 | 1,24 | 2,03 |
| 23.00 | 077 | აიაჩო-გენგამი (ბასტიაში) | 2,2 | 3,0 | 3,2 | 1,26 | 1,3 | 1,54 |
| 23.00 | 078 | ლე ავრი-ლილი | 2,4 | 2,9 | 2,9 | 1,31 | 1,31 | 1,45 |
| 23.00 | 079 | ლიონი-სედანი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| | 080 | ლიონი-სედანი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 | | | |
| 23.00 | 081 | მონაკო-მარსელი | 1,95 | 3,1 | 3,6 | 1,19 | 1,26 | 1,66 |
| 23.00 | 082 | ნანტი-ბასტია | 1,65 | 3,1 | 5,3 | 1,07 | 1,25 | 1,95 |
| 23.00 | 083 | ნიცა-სტრასბური | 2,1 | 3,0 | 3,4 | 1,23 | 1,29 | 1,59 |
| 23.00 | 084 | რენი-ტრუა | 2,0 | 3,0 | 3,6 | 1,2 | 1,28 | 1,63 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი. II ტური** | | | | | | |
| | | **10 აგვისტო** | | | | | | |
| 23.00 | 085 | ბოვე-კლერმონი | 1,8 | 2,9 | 4,7 | 1,11 | 1,3 | 1,79 |
| 23.00 | 086 | კანი-შატორუ | 1,8 | 2,9 | 4,7 | 1,11 | 1,3 | 1,79 |
| 23.00 | 087 | კრეტეი-ლავალი | 2,2 | 2,9 | 3,3 | 1,25 | 1,32 | 1,54 |
| 23.00 | 088 | ლე მანი-გენიონი | 1,75 | 2,9 | 5,0 | 1,09 | 1,29 | 1,83 |
| 23.00 | 089 | მეცი-რეიმსი | 1,45 | 3,5 | 7,0 | 1,02 | 1,2 | 2,33 |
| | 090 | მეცი-რეიმსი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 | | | |
| 23.00 | 091 | ნიორი-ამიენი | 2,0 | 2,7 | 4,2 | 1,14 | 1,35 | 1,64 |
| 23.00 | 092 | სტ. ეტიენი-ისტრი | 1,55 | 3,3 | 6,0 | 1,05 | 1,23 | 2,12 |
| 23.00 | 093 | ვალანსი-ნანსი | 2,4 | 2,9 | 2,9 | 1,31 | 1,31 | 1,45 |
| 23.00 | 094 | ვალკვალი-გრენობლი | 2,0 | 2,8 | 4,0 | 1,16 | 1,33 | 1,64 |
| | | **11 აგვისტო** | | | | | | |
| 21.30 | 095 | ლორიანი-ტულუზი | 1,85 | 2,9 | 4,4 | 1,12 | 1,3 | 1,74 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი. I ტური** | | | | | | |
| | | **9 აგვისტო** | | | | | | |
| 23.00 | 096 | გენკი-ლოკერენი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 23.30 | 097 | სტანდარდი-მუსკრონი | 1,65 | 3,4 | 4,4 | 1,11 | 1,2 | 1,91 |
| | | **10 აგვისტო** | | | | | | |
| 23.00 | 098 | გენტი-ანტვერპენი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 23.00 | 099 | ბეერსხოტი-სტ. ტრუიდენი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 23.00 | 100 | ლომელი-ლიერსი | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| 23.00 | 101 | მეხელენი-შარლერუა | 2,0 | 3,3 | 3,3 | 1,24 | 1,24 | 1,65 |
| 23.00 | 102 | ბევერენი-მონსი | 2,0 | 3,3 | 3,3 | 1,24 | 1,24 | 1,65 |
| 23.00 | 103 | ვესტერლო-ანდერლეხტი | 4,0 | 3,3 | 1,75 | 1,8 | 1,21 | 1,14 |
| | | **11 აგვისტო** | | | | | | |
| 23.00 | 104 | ლევე-ბრიუგე | 4,0 | 3,3 | 1,75 | 1,8 | 1,21 | 1,14 |
| | | **ჩეხეთი. III ტური** | | | | | | |
| | | **10 აგვისტო** | | | | | | |
| 17.25 | 105 | სპარტა-ბანიკი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| | 106 | სპარტა-ბანიკი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| 20.00 | 107 | ლიბერეცი-სინოტი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| | 108 | ლიბერეცი-სინოტი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | | |
| | | **11 აგვისტო** | | | | | | |
| 19.30 | 109 | ჰ. კრალოვე-ჟიჟკოვი | 2,6 | 2,9 | 2,6 | 1,37 | 1,3 | 1,37 |
| 19.30 | 110 | ზლინი-იაბლონეცი | 2,4 | 2,9 | 2,9 | 1,31 | 1,31 | 1,45 |
| 19.30 | 111 | სიგმა-ბლშანი | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| 19.30 | 112 | ბოჰემიანსი-ბრნო | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 19.30 | 113 | ტეპლიცე-ბუდეიოვიცე | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,07 | 1,22 | 2,03 |
| | | **12 აგვისტო** | | | | | | |
| 19.00 | 114 | პრიბრამი-სლავია | 3,3 | 3,1 | 2,1 | 1,59 | 1,28 | 1,25 |
| | | **პოლონეთი. II ტური** | | | | | | |
| | | **9 აგვისტო** | | | | | | |
| 23.00 | 115 | ვისლა-რუხი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| | 116 | ვისლა-რუხი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | | |
| | | **10 აგვისტო** | | | | | | |
| 22.00 | 117 | პოგონი-გროცლინი | 2,4 | 3,0 | 2,8 | 1,33 | 1,29 | 1,44 |
| 22.00 | 118 | ოსტროვეცი-გარბარნია | 1,85 | 3,1 | 4,0 | 1,15 | 1,26 | 1,74 |
| 19.30 | 119 | ოდრა-ლეხი | 2,2 | 3,0 | 3,2 | 1,26 | 1,3 | 1,54 |
| 19.30 | 120 | პოლონია-პლოცკი | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 |
| | 121 | პოლონია-პლოცკი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 | | | |
| 22.00 | 122 | გურნიკი-ზაგლებე | 2,2 | 3,0 | 3,2 | 1,26 | 1,3 | 1,54 |
| 22.30 | 123 | ამიკა-ლეგია | 2,6 | 3,0 | 2,5 | 1,39 | 1,27 | 1,36 |
| | | **11 აგვისტო** | | | | | | |
| 20.30 | 124 | კატოვიცე-ვიძევი | 2,2 | 3,0 | 3,2 | 1,26 | 1,3 | 1,54 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა. II ტური. 10 აგვისტო** | | | | | | |
| 19.00 | 137 | აბერდინი-სელტიკი | 5,0 | 3,4 | 1,6 | 2,02 | 1,21 | 1,08 |
| 19.00 | 138 | დანდი იუნაიტედი-კილმარნოკი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 19.00 | 139 | დანფერმლაინი-ლივინგსტონი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 19.00 | 140 | ჰარტსი-ჰიბერნიანი | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| 19.00 | 141 | მაზერველი-პარტიკი | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| 19.00 | 142 | რეინჯერსი-დანდი | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| | 143 | რეინჯერსი-დანდი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 | | | |
| | | **დანია. III ტური** | | | | | | |
| | | **10 აგვისტო** | | | | | | |
| 20.00 | 161 | ოლბორგი-ბრონდბი | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| | | **11 აგვისტო** | | | | | | |
| 18.00 | 162 | ესბიერგი-კოგე | 1,6 | 3,5 | 4,7 | 1,09 | 1,19 | 2 |
| 18.00 | 163 | [illegible]-ოდენსე | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| 18.00 | 164 | კოპენჰაგენი-ფარუმი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| | 165 | კოპენჰაგენი-ფარუმი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| 18.00 | 166 | ვიბორგი-მიდტიულანდი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 20.35 | 167 | სილკებორგი-ორჰუსი | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| | | **ავსტრია. V ტური** | | | | | | |
| | | **7 აგვისტო** | | | | | | |
| 21.45 | 168 | ადმირა-შტურმი | 4,2 | 3,2 | 1,75 | 1,81 | 1,23 | 1,13 |
| 22.30 | 169 | კერნტენი-რიდი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 22.30 | 170 | პაშინგი-ბრეგენცი | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,12 | 1,21 | 1,84 |
| 23.30 | 171 | აუსტრია-რაპიდი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| | | **10 აგვისტო** | | | | | | |
| 23.15 | 172 | გრაცერი-ზალცბურგი | 1,55 | 3,5 | 5,3 | 1,07 | 1,19 | 2,1 |
| | | **შვეიცარია. "ა" ჯგუფი. გადადებული მატჩი.** | | | | | | |
| | | **7 აგვისტო** | | | | | | |
| 22.30 | 173 | ციურიხი-თუნი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| | | **შვეიცარია. "ა" ჯგუფი. VII ტური** | | | | | | |
| | | **10 აგვისტო** | | | | | | |
| 20.30 | 174 | სტ. გალენი-ვილი | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,12 | 1,21 | 1,84 |
| 20.30 | 175 | სერვეტი-თუნი | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| 20.30 | 176 | ლუცერნი-გრასჰოპერი | 4,4 | 3,4 | 1,65 | 1,91 | 1,2 | 1,11 |
| 22.30 | 177 | იანგ ბოისი-ქსამაქსი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 22.30 | 178 | ციურიხი-ბაზელი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| | | **11 აგვისტო** | | | | | | |
| 19.15 | 179 | დელემონი-აარაუ | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| | | **შვეიცარია. "ბ" ჯგუფი. გადადებული მატჩი. 6 აგვისტო** | | | | | | |
| 22.30 | 180 | კრიენსი-ლუგანო | 2,7 | 3,1 | 2,4 | 1,44 | 1,27 | 1,35 |
| | | **შვეიცარია. "ბ" ჯგუფი. VII ტური. 10 აგვისტო** | | | | | | |
| 20.30 | 181 | კონკორდია-სიონი | 2,7 | 3,1 | 2,4 | 1,44 | 1,27 | 1,35 |
| 20.30 | 182 | ვადუცი-ლოზანა | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| 20.30 | 183 | ვილენი-ვინტერთური | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 20.30 | 184 | იუვერდონი-კრიენსი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 22.30 | 185 | ბელინცონა-ლუგანო | 2,7 | 3,1 | 2,4 | 1,44 | 1,27 | 1,35 |
| 22.30 | 186 | შაფჰაუზენი-ბადენი | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| | | **რუსეთი. XIX ტური** | | | | | | |
| | | **7 აგვისტო** | | | | | | |
| 16.00 | 187 | როტორი-ლოკომოტივი | 4,2 | 3,1 | 1,8 | 1,78 | 1,26 | 1,13 |
| | | **რუსეთი. გადადებული მატჩი.** | | | | | | |
| | | **7 აგვისტო** | | | | | | |
| 16.00 | 197 | სპარტაკი-ანჟი | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| | 198 | სპარტაკი-ანჟი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 | | | |
| | | **შვედეთი. XIV ტური** | | | | | | |
| | | **7 აგვისტო** | | | | | | |
| 22.00 | 199 | კალმარი-ორგრიტე | 3,2 | 3,2 | 2,1 | 1,6 | 1,26 | 1,26 |
| 22.00 | 200 | მალმო-ნორჩოპინგი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| | | **8 აგვისტო** | | | | | | |
| 21.30 | 201 | ჰალმსტადი-ელფსბორგი | 1,85 | 3,1 | 4,0 | 1,15 | 1,26 | 1,74 |
| 21.30 | 202 | გოტებორგი-სუნდსვალი | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| 21.30 | 203 | ლანდსკრონა-ორებრო | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 23.00 | 204 | აიკ-იურგორდენი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,55 |
| | | **ფინეთი. 8 აგვისტო** | | | | | | |
| 20.30 | 222 | ჰაკა-იარო | 1,45 | 3,8 | 6,0 | 1,04 | 1,16 | 2,32 |
| | 223 | ჰაკა-იარო 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 | | | |
| | | **ინგლისი. სუპერთასი (კარდიფში).** | | | | | | |
| | | **11 აგვისტო** | | | | | | |
| 18.00 | 231 | არსენალი-ლივერპული | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| | | **ჰოლანდია. სუპერთასი (ამსტერდამში).** | | | | | | |
| | | **11 აგვისტო** | | | | | | |
| 23.15 | 232 | აიაქსი-პსვ | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| | | **შოტლანდია. ლიგის თასი. I ეტაპი. 6 აგვისტო** | | | | | | |
| 22.45 | 233 | არბროთი-ფორფარი | 2,0 | 3,5 | 3,1 | 1,27 | 1,21 | 1,64 |
| 23.30 | 234 | მონტროუზი-ალბიონი | 2,1 | 3,5 | 2,9 | 1,31 | 1,21 | 1,58 |
| 23.30 | 235 | ეირდრი-რეითი | 2,4 | 3,3 | 2,5 | 1,38 | 1,22 | 1,47 |
| 23.30 | 236 | მორტონი-სტირლინგი | 1,6 | 3,6 | 4,4 | 1,1 | 1,17 | 1,98 |
| 23.30 | 237 | ქუინზ პარკი-გრეტნა | 2,1 | 3,5 | 2,9 | 1,31 | 1,21 | 1,58 |
| 23.30 | 238 | სტ. მირენი-ისტ სტირლინგი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| 23.30 | 239 | ქოუდენბითი-როსი | 3,8 | 3,5 | 1,7 | 1,82 | 1,17 | 1,14 |
| 23.30 | 240 | ელგინი-ბრეჩინი | 3,2 | 3,5 | 1,95 | 1,67 | 1,21 | 1,25 |
| 23.30 | 241 | სტრანრაერი-ეარი | 2,7 | 3,5 | 2,2 | 1,52 | 1,21 | 1,35 |
| 23.30 | 242 | პიტერჰედი-ქუინი | 4,0 | 3,6 | 1,65 | 1,89 | 1,16 | 1,13 |
| 23.30 | 243 | სტენჰაუსმუირი-ფოლკირკი | 3,8 | 3,5 | 1,7 | 1,82 | 1,17 | 1,14 |
| 23.30 | 244 | სტ. ჯონსტონი-ჰამილტონი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| 23.30 | 245 | დამბარტონი-ისტ ფაიფი | 1,65 | 3,5 | 4,2 | 1,12 | 1,18 | 1,9 |
| 23.45 | 246 | ბერვიკი-ინვერნესი | 2,6 | 3,4 | 2,3 | 1,47 | 1,22 | 1,37 |
| | | **ნორვეგიის თასი. 1/8 ფინალი.** | | | | | | |
| | | **7 აგვისტო** | | | | | | |
| 21.00 | 247 | ბრინი-ლინი | 2,8 | 3,4 | 2,2 | 1,53 | 1,23 | 1,33 |
| 21.00 | 248 | ვიკინგი-როზენბორგი | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| 21.00 | 249 | ოდ გრენლანდი-სტარტი | 1,4 | 4,0 | 6,5 | 1,03 | 1,15 | 2,47 |
| 21.00 | 250 | კვიკი-სტაბეკი | 5,6 | 3,6 | 1,5 | 2,19 | 1,18 | 1,05 |
| 21.00 | 251 | ბოდო გლიმტი-ტრომსო | 1,7 | 3,4 | 4,0 | 1,13 | 1,19 | 1,83 |
| | | **8 აგვისტო** | | | | | | |
| 21.00 | 252 | მოსი-ვალერენგა | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| 21.00 | 253 | ბრანი-ოლესუნდი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | | **ჩემპიონთა ლიგა. II წრე. II ეტაპი.** | | | | | | |
| | | **7 აგვისტო** | | | | | | |
| 19.00 | 254 | ბელშინა(ბლრ)-მაკაბი(ჰ/ისრ) | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 19.00 | 255 | პიუნიკი(სომ)-დინამო(უკრ) | 3,6 | 3,3 | 1,85 | 1,72 | 1,22 | 1,18 |
| 20.00 | 256 | ტორპედო(საქ)-სპარტა(ჩეხ) | ანგარიში – 5,0 | | | | | |
| 21.00 | 257 | გრაცერი(ავს)-შერიფი(მოლ) | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,21 |
| 22.30 | 258 | ბაზელი(შვც)-ჟილინა(სლვ) | 1,5 | 3,4 | 6,5 | 1,04 | 1,21 | 2,23 |
| 22.30 | 259 | ლევსკი(ბულ)-სკონტო(ლატ) | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 22.30 | 260 | აპოელი(კვპ)-მარიბორი(სლნ) | 2,1 | 3,1 | 3,3 | 1,25 | 1,28 | 1,59 |
| 23.00 | 261 | ლეგია(პოლ)-ვარდარი(მკ) | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| 23.00 | 262 | ჰიბერნიანსი(მალ)-როზენბორგი(ნორ) | 7,0 | 3,8 | 1,4 | 2,46 | 1,16 | 1,02 |
| 23.00 | 263 | დინამო(ალბ)-ბრონდბი(დან) | 3,8 | 3,2 | 1,85 | 1,73 | 1,24 | 1,17 |
| 23.00 | 264 | დინამო(რუმ)-ბრიუგე(ბლგ) | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| 23.15 | 265 | ჟელეზნიჩარი(ბოს)-ლილესტრომი(ნორ) | 2,0 | 3,3 | 3,3 | 1,24 | 1,24 | 1,65 |
| 23.45 | 266 | პარტიზანი(იუგ)-ჰამარბი(შვე) | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 23.45 | 267 | ზაგრები(ხორ)-ზალაეგერსეგი(უნგ) | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| | | **ინტერტოტოს თასი. ნახევარფინალი.** | | | | | | |
| | | **7 აგვისტო** | | | | | | |
| 20.00 | 268 | სლავენი(ხორ)-შტუტგარტი(გერ) | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 20.30 | 269 | ტეპლიცე(ჩეხ)-ბოლონია(იტა) | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 22.00 | 270 | ტრუა(საფ)-ვილარეალი(ესპ) | 2,2 | 3,0 | 3,2 | 1,26 | 1,3 | 1,54 |
| 22.30 | 271 | ტოლბურგი(პოლ)-მალაგა(ესპ) | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| 22.30 | 272 | სოშო(საფ)-ფულჰემი(ინგ) | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,21 | 1,27 | 1,64 |
| 23.45 | 273 | ასტონ ვილა(ინგ)-ლილი(საფ) | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| | | **ამხანაგური მატჩები.** | | | | | | |
| | | **6 აგვისტო** | | | | | | |
| 23.00 | 274 | ანდერლეხტი-ევერტონი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| | | **7 აგვისტო** | | | | | | |
| 23.45 | 275 | რეინჯერსი-ლიდსი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 23.45 | 276 | ნიუკასლი-ბარსელონა | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 24.00 | 277 | ტოტენჰემი-სელტიკი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**


**გაიხსნა კროკოს ახალი ბიუროები**

სარფი, საბაჟო პუნქტის პირდაპირ
ქობულეთი, სასტუმრო „ივერიის" მიმდებარე ტერიტორია

# კადეტთა კორპუსი ჩეხურ მანევრებზე

*საქართველოს სანაკრებო დონეზე თუ იცნობს ევროპა, ჭაბუკთა წყალობით. ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებებს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე არასდროს უთამაშიათ, კადეტები კი ბოლო სამი გათამაშებაა, იქ არიან. შესაბამისად, წლეულს საერთაშორისო ოფიციალური მატჩებიც მათ უწევთ*

საქართველოს კადეტთა ნაკრები გუშინ გაემგზავრა ჩეხეთში, სადაც 2003 წლის საევროპისჩემპიონატო მარათონში საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩაებმება. აქვე გეტყვით: წინა ევროპის ჩემპიონატის მხოლოდ ექვსი საუკეთესო ასცდა ამ საკვალიფიკაციოს და ტურნირში შესარჩევი ეტაპიდან ჩაებმება. საქართველო მაშინ მე-11 იყო.

საკვალიფიკაციო ეტაპი ევროპის ქალაქებში 1 აგვისტოს დაიწყო. ჩეხეთის ქალაქი შტრაკონიცე კი B-ჯგუფელების — ჩეხეთის, ავსტრიის, პოლონეთის, სლოვენიის და საქართველოს ნაკრებთა მატჩების მასპინძლობას 7 აგვისტოდან საქართველო — სლოვენიით დაიწყებს.

საქართველოს ნაკრები, რომელსაც გელა წულაძე და მიხეილ კობეშავიძე წვრთნიან, 1987-წლიანებითაა დაკომპლექტებული: დავით ბაბუნაშვილი, მიხეილ ბერიშვილი, დავით ჩხეტია, მიხეილ ჭოჭუა, რევაზ დიდია, თამაზ ინწკირველი, ჯემალ ფოლადაშვილი, ნიკოლოზ საყვარელიძე, ილია სებისკვერაძე, ნოდარ სიგუა, ალექსანდრე ტაბუცაძე და ირაკლი ტომარაძე. ნაკრების ბირთვს საკალათბურთო სკოლების — აკადემიისა და „მართვეს" მოთამაშეები შეადგენენ. არიან ბათუმიდან და რუსთავიდანაც.

გელა წულაძემ საჩეხეთოდ გუნდი ცხვარიჭამიაში მოამზადა, სადაც ძირითადად ფიზიკურად მოამძლავრა, საპრაქტიკოდ კი აპრილში თბილისში მოწყობილი საერთაშორისო ტურნირი გამოადგათ. ქართველმა ჭაბუკებმა მაშინ სომხებსა და აზერბაიჯანელებს მოუგეს, ფინალი კი ბერძენ თანატოლებთან დათმეს.

ხუთგუნდა ჯგუფიდან მომდევნო, ნახევარფინალურ ეტაპზე სამი საუკეთესო გავა. ნახევარფინალი, იგივე შესარჩევი ტურნირი 2003 წლის აპრილში გაიმართება, ფინალურ ეტაპს კი მომავალი წლის 18-27 ივლისს ესპანეთი უმასპინძლებს.

ქართველ ჭაბუკებს საკვალიფიკაციო ეტაპი მხოლოდ ერთხელ ვერ დაუძლევიათ — 1993 წელს ევროპის ჩემპიონატის ფინალური ტურნირის გზაზე მაშინ პირველივე ეტაპზე წაიფორხილეს. მომდევნო გათამაშებაში გადაულახავ ბარიერად შესარჩევი ტურნირი აღემართათ. იქიდან მოყოლებული კი, თავშიც გითხარით, ქართული ჭაბუკები ფინალს მუდმივად სტუმრობენ.

**ირაკლი ბერტაია**

| საქართველოს კადეტთა ნაკრების შეხვედრათა განრიგი |
|---|
| 7 აგვისტო |
| საქართველო — სლოვენია |
| 8 აგვისტო |
| საქართველო — პოლონეთი |
| 9 აგვისტო |
| საქართველო — ავსტრია |
| 11 აგვისტო |
| საქართველო — ჩეხეთი |

# ხორვატი ძაღლზე გაცვალეს

***გლენ რობინსონი აღარაა მილუოკელი. „დიდ ძაღლად" წოდებული ლიგის ერთ-ერთი უყოჩაღესი მექულე „მილუოკი ბაქსმა" ამ უქმეებზე „ატლანტა ჰოქსს" გაუცვალა ვეტერან ტონი კუკოჩში, ახალგაზრდა ლეონ სმიტსა და 2003 წლის დრაფტის პირველი წრის არჩევანის უფლებაში***



გლენ რობინსონი

**გლენ რობინსონი** და ტონი კუკოჩი არამხოლოდ ნბა-ში ცნობილი სახელებია. რობინსონი, 1994 წლის დრაფტის პირველი ნომერი, აგერ, რვა წელია, ნბა-ს მოწინავე ბომბარდირებშია და ამ რვა სეზონის მრავალ ასეულ მატჩში საშუალოდ 21,1 ქულა გაუხერხებია „მილუოკისთვის". ამ კლუბმა 2001 წლის პლეი ოფში აღმოსავლეთის ფინალს რომ უწია, ამ წარმატებაში „დიდი ძაღლის" წილიცაა, მაგრამ „მილუოკიმ" მაინც მოიწადინა რობინსონის სხვა გუნდში გაცვლა.

„მილუოკიმ" თავის ლიდერზე გული რომ აიცრუა, ეს რობინსონის მოედანსგარეთა პრობლემების ბრალი არ უნდა იყოს. ორიოდ კვირის წინ „დიდი ძაღლი" თავისი ყოფილი საცოლის საცხოვრებელს მთვრალი მიადგა და სახლის კარი შეულეწა. მაშინ მან პოლიციის გამოსაფხიზლებელიც მოინახულა. „მილუოკი" თავის ვარსკვლავს მხარში ამოუდგა და პოლიციასთან საქმის მოგვარებაში დაეხმარა, ახლა კი მასზე ცივი უარი თქვა.

კლუბი არ ამბობს, მაგრამ თვლის, რომ გლენ რობინსონმა „ბაქსში" ამოწურა თავისი შესაძლებლობები. ის გაშიფრულია, მეტოქისგან ადვილად იკითხება და მოწინააღმდეგეს ბევრ ვნებას ვეღარ აყენებს. ამასთან, „მილუოკის" სათადარიგოებში ჰყავს მისი ამპლუის ნიჭიერი ბიჭი ტიმ ტომასი, რომელიც დაცვაში რობინსონზე მეტს მუშაობს, თავდაცვა კი ის საქმეა, რასაც ეს გუნდი მუდამ მისტიროდა.

რაც შეეხება „ატლანტას", იგი გახარებულია მძლავრი შევსებით. რობინსონის საშუალო ორი ათეული ქულა პირდაპირ მისწრება იქნება ამ ჩაძირული გუნდისთვის.

არც „ატლანტიდან" „მილუოკიში" გადაბარგებული კუკოჩი უნდა იყოს უკმაყოფილო. უწინ მქუხარე სახელის ხორვატი 33 წლისა სადღა იპოვის ხეირიან გუნდს, რომელიც სასტარტო ხუთეულს დაუჯავშნავს. ასე რომ, ბოლო ხანს სკამზე ჯდომას მიჩვეული კუკოჩი იოლად შეეგუება „მილუოკის" სათადარიგოებში ყოფნას და შეეცდება, მაქსიმუმი გაიღოს ამ გუნდის ელიტაში შესაბრუნებლად.

არც „მილუოკია" უკმაყოფილო. 1996-98 წლებში „ჩიკაგოს" თეთრ-წითელი მაისურით სამჯერ გაჩემპიონებული კუკოჩი „მილუოკიში" საპლეიოფო გამოცდილებას მიიტანს. ესეც ფრიად საჭირო რამაა „მილუოკისთვის".

# ამერიკელებმა დრო გააჩერეს

## შეჩერდი, წამო, შენ ხათაბალა ხარ!

**ეროვნული** საკალათბურთო ასოციაციის წესთა კრებულში მალე ერთი განსაკუთრებული წესიც ჩაიწერება. ნბა აპირებს, მეოთხედების ბოლო წამები ვიდეოეკრანზე გაიმეოროს და ამის მიხედვით განსაზღვროს, თამაშის (ან მეოთხედის) დამსრულებელი სირენა ბურთის სროლამდე გაისმა თუ სროლის შემდეგ.

ამ წესის შემოღების იდეა ნბა-ს საშეჯიბრო კომიტეტისგან მოდის. კომიტეტს ამ წესში გათვალისწინებული ეპიზოდების გამო იმდენი საჩივარი შეუვიდა, რომ გადაწყვიტა, ეს პრობლემა ერთი ხელის მოსმით გადაეწყვიტა. ნბა-ს აღმასრულებელმა კომიტეტმა, რომელსაც ნბა-ს 29 გუნდის ამდენივე მფლობელი შეადგენს, კენჭი უყარა ამ წინადადებას და 22 დასტურხმით თავადაც დასტური ბრძანა.

ნბა ამ წესს გამოსცდის დამდეგი სეზონის ყველა ვარსკვლავის, იგივე ოლ სტარის შოუთამაშზე, ხოლო ოფიციალურ თამაშებში 2003-04 წლების სეზონიდან დაამკვიდრებს. მას „ბაირონ დევისის" წესი დაერქმევა, რამეთუ ამ კალათბურთელის მიერ წლევანდელი პლეი ოფის ერთ-ერთი თამაშის ბოლო წამზე ნასროლმა ბურთმა ყველაზე დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. „ორლანდოსთან" შეხვედრაში შარლოტელმა ბაირონ დევისმა მიიღო მოედანსმიღმიდან შემოტანილი ბურთი და სროლაც მოასწრო, როცა მატჩის დამთავრებამდე 0,7 წამი რჩებოდა. ბურთი ჩავარდა და მსაჯებს რომ ჩაეთვალათ, „შარლოტი" ძირითად დროშივე მოუგებდა მეტოქეს და ოვერტაიმში საორჭოფო აღარაფერი იქნებოდა, მაგრამ მსაჯმა ბერნი ფრაერმა არ ჩათვალა ბურთი იმ მოტივით, რომ, მისი აზრით, შეუძლებელი იყო 0,7 წამში ბურთის თამაშში შეტანაც და ამასთანავე სროლაც. გამეორებამ აჩვენა, რომ დევისმა სირენის გაჟღერებამდე მოასწრო სროლა და რაკიღა ბურთი არ ჩაითვალა, შესაძლო იყო, დევისის გუნდი, თუმც უნებლიედ, მაგრამ უსამართლოდ დასჯილიყო.

მარტო განვლილ სეზონში რამდენჯერმე დაფიქსირდა მსგავსი შემთხვევა, როდესაც მსაჯები დროის უმცირეს მონაკვეთში ვერ ასწრებენ სწორი დასკვნების გამოტანას და შედეგად ვინმე იჩაგრება.

აღსანიშნავია, რომ მატჩის განსჯაში ტექნიკის და აპარატურის ჩარევა, ნბა-ს ოფიციოზის თქმით, ამაზე შორს არ წავა და მსაჯთა უფლებამოსილება არამც და არამც არ შეიზღუდება. ბოლო წამების ეპიზოდს მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილავენ, თუ ერთ-ერთი მოთამაშე მხარე მსაჯთა გადაწყვეტილებით უკმაყოფილო დარჩება. ასეთ შემთხვევაში ვიდეოგამეორება მხოლოდ დაეხმარება გაურკვევლობაში მყოფ არბიტრს. ამასთან, გამეორებაზე დიდი დრო არ დაიხარჯება. ნბა ბრძანებს, რომ გადაწყვეტილება უნდა მიიღონ ეკრანზე გამეორებით ჩვენებიდან არაუგვიანეს ორი წუთისა.

„ეს დიდი წინგადადგმული ნაბიჯია. ვერ ვიტყვი, რომ ამ წესის შემოღებით მსაჯებში საერთოდ გაქრება ტენდენციურობა და ისინი მთის წყაროსავით ანკარანი გახდებიან, მაგრამ მე მომწონს ეს იდეა" — ამბობს „დალას მავერიკსის" ექსცენტრიკული პატრონი მარკ კუბანი, მილიარდერი, რომელიც მსაჯებთან არცთუ ტკბილ დამოკიდებულებაშია და მათთან მოედანზე შევარდნისა და გაუთავებელი კრიტიკისთვის ნბა-ს არაერთხელ და არაერთი ათასით დაუჯარიმებია.

აღსანიშნავია, რომ თავად მსაჯებიც კმაყოფილები არიან ამ წესის შემოღებით. ცხადია, არ სურთ, მათ საქმეში აპარატურა ჩაერიოს, მაგრამ ვინ იცის, გამოუვალ მდგომარეობაში რამდენჯერ უნატრიათ ბოლო ბურთის ჩათვლა-არჩათვლის გადაწყვეტის უფლება ვინმე სხვისთვის დაეთმოთ.

**ირაკლი ფირცხალავა**





ჩინეთი რუსეთს ვერ დაუდგა

# რუსებმა მილიარდერს 200 ათასი წაართვეს

***კვირას ჰონკონგში, ფრენბურთელ ქალთა დიდი პრიზის გათამაშების ფინალში სიდნეის ოლიმპიადის ვიცეჩემპიონმა რუსებმაც ჩინეთის ნაკრები საკუთარი გულშემატკივრების თვალწინ 3:1 დაამარცხეს და ოქროს მედლებთან ერთად 200 ათას დოლარსაც დაეპატრონენ***

მილიარდიან ჩინეთს ეს ტურნირი არასდროს მოეგო და დიდი პრიზის დასაპატრონებლად უკეთეს შანსს ვერც ინატრებდა — ფინალი და გადავსებული „კოლიზეუმი"... მაგრამ მანამდე ნიკოლაი კარპოლის გაწვრთნილი გოგონების ძლევა იყო საჭირო, რაც ჩინელებმა ვერ შეძლეს, თუმც თავიდან მაგრად მიაწვნენ რუსებს.

პირველ სეტში 12:19 ჩამორჩენის მერე მასპინძლებმა რუსებს სუსტი წერტილი უპოვეს და 23:22 დაწინაურდნენ. ჩინელებს პირველი ხელის მოგების შანსი 27:26-ზე მიეცათ, მაგრამ ზედიზედ სამი ბურთი გაუცუდდათ და 0:1 ჩამორჩნენ.

მეორე სეტში შეუდარებელი იყო ჩინელთა გამთამაშებელი იანგ ჰაო. მისი წყალობით მასპინძლებმა ანგარიში 24:23-მდე მიიყვანეს, მერე კი ელენე მოდინა ბურთის მიღებისას შეცდა და ჩინეთმაც გაათანაბრა — 1:1.

იმპტაზე მოსულმა ჩინელებმა დიდი ენთუზიაზმით შეუტიეს რუსებს და მესამე სეტში 21:19 დაწინაურდნენ კიდეც, მაგრამ ახლა რუსებს მოევლინა მხსნელად გამთამაშებელი ევგენია არტამონოვა (საბოლოოდ მან 26 ქულა მიითვალა და ფინალის საუკეთესო მოთამაშე გახდა). ქენიამ რუსებს მესამე სეტი ამოაქაჩინა და... 2:1. მეოთხე სეტში კი არტამონოვას რუსთა წოწოლა მებადე, 204-სანტიმეტრიანი ეკატერინა გამოვა შეეხიდა და გადამწყვეტი ხელი რუსებმა 25:21 მოიგეს.

მასპინძელთა თავკაცმა ჩენ ჟონგემ მარცხისგან ტრაგედია არ შექმნა: „თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენი ნაკრები ახალგაზრდულია და გამოცდილება აკლია, რუსებთან ნათამაშევს ურიგო არ ეთქმის. ჩინეთის ნაკრები უფრო პერსპექტიულია. იყო ეპიზოდები, როცა რუსებს ყველაფერში ვჯობდით, მაგრამ ჩავარდნები გვქონდა, რაც მომავლისთვის უნდა გამოვასწოროთ".

ნიკოლაი კარპოლი: „რთული მატჩი იყო, ჩინელები ძალიან ენერგიულად თამაშობდნენ, თუმც ეპიზოდურად კარგი თამაში მოგებას რომ არ ნიშნავს, საბოლოო შედეგმაც დაადასტურა. ჩინეთი რომ ძლიერი გუნდია, გერმანიაში, მსოფლიოს ჩემპიონატზეც გამოჩნდება სადაც ოქროსთვის ჩვენს გარდა იტალია, ამერიკა და, ცხადია, ჩინეთი იბრძოლებენ".

კვირასვე, მესამე ადგილისთვის მატჩში გერმანიამ ბრაზილია 3:1 დაამარცხა.

**ირაკლი ბერტაია**

# დამაძინეთ!

## როდიკმა კანასთან და სახანძროსთან წააგო



გილერმო კანასმა მასტერსტიტული უცებ ვერ დაიჯერა

REUTERS ტორონტოდან

| CANADA TENNIS MASTERS |
| --- |
| ტორონტო. ჰარდი |
| საპრიზო 2,95 მილიონი $ |

**მეოთხედფინალი**

**გილერმო კანასი** (არგენტინა) — მარატ საფინი (2, რუსეთი) 7:5, 6:3; **ტომი ჰაასი** (3, გერმანია) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 6:4, 4:6, 6:3; **ირჟი ნოვაკი** (14, ჩეხეთი) — სებასტიან გროჟანი (11, საფრანგეთი) 7:5, 6:3; **ენდი როდიკი** (12, აშშ) — დავიდ ნალბანდიანი (15, არგენტინა 6:3, 6:2)

**ნახევარფინალი**

**კანასი** — ჰაასი 6:4, 3:6, 7:6 (7:5)
**როდიკი** — ნოვაკი 6:4, 6:3

**ფინალი**

**კანასი** — როდიკი 6:4, 7:5

ტორონტოს მასტერსტურნირის დაწყებამდე გილერმო კანასისთვის ვინმე გულთმისანს რომ ეთქვა, ტურნირს მოიგებ, თან ხუთ განთესილ მეტოქეს, აქედან ოთხს მსოფლიოს პირველ ათეულოსანს დაამარცხებ და ჩემპიონის წილ 392 ათას მწვანეს ჩაიჯიბავო, უნდობლად გაიცინებდა. და ახლა, როდესაც ეს ყველაფერი მოხდა, თვლის, რომ ეს ასეც უნდა ყოფილიყო. „ყოველდღე ვუმატებდი. ვგრძნობდი, რომ ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შემეძლო. შესანიშნავია, ხუთ დღეში ხუთ განთესილს ვძლიე" — ამბობს კანასი. განუთესავი არგენტინელის სიტყვებში ცოტა ქედმაღლობა შეინიშნება, თუმც არც უსაფუძვლოდ. მან ხომ მართლა სძლია ყველა ბობოლას და 24 წლისამ პირველი მასტერსტიტული მოიპოვა.

აღსანიშნავია, რომ არგენტინელს 1976 წლის შემდეგ ეს ტურნირი არ მოეგო. 26 წლის წინ გილერმო ვილასის გამარჯვების შემდეგ არგენტინელებისთვის ტაბუდადებულ ტორონტოს ტურნირს კანასმა 19 წლის ამერიკელი ენდი როდიკის ძლევით ახსნა ჯადო. როდიკამდე კი კანასმა ტურნირიდან მოკვეთა მსოფლიოს მეორე ჩოგანი მარატ საფინი, ტომი ჰაასი (3), ევგენი კაფელნიკოვი (5) და როჯერ ფედერერი (10). შთამბეჭდავი სიაა. განსაკუთრებით ნახევარფინალში გამოაჩინა ნერვების სიმტკიცე. გერმანელი ჰაასი, რანგით მასზე ბევრად ზემყოფი ჩოგბურთელი, „ვიღაც" განუთესავთან წაგებას არ აპირებდა და სამსეტიანი მატჩი ტაიბრეიკამდე მივიდა. აქ კანასს გაუმართლა, ტაიბრეიკი 7:5 მოიგო და როდიკთან შესახვედრად გაემზადა.

ფინალამდე როდიკს მძიმე ბრძოლების გადატანა მოუხდა. ცხადია, მეტოქეებთანაც. აბა, ისე ვინ რას დაუთმობდა, მაგრამ ყველაზე მეტად უძილობამ გააწვალა თინეიჯერი ამერიკელი. ღამე ერთია და სახანძრო სირენას ორჯერ გაუღვიძებია ფინალის წინ და ფინალზე ფიქრში ძლივს ჩაძინებული ჭაბუკი ენდი. ერთხელ ხანძრის საშიშროების გამო სასტუმროს მობინადრეთა ევაკუაციაც მოუხდენიათ მეხანძრეებს და ამ გაწამაწიაში ფინალის დღეც გათენებულა.

უძინარმა როდიკმა უფროს არგენტინელთან ბოლომდე ბრძოლა განიზრახა და იბრძოლა კიდეც, მაგრამ მონდომებისგან განსხვავებით, ძალა და გონება დაბლაგვებოდა და ბლომად შეცდომები აჩუქა მეტოქეს. კანასმა გემრიელად შეირგო როდიკის 19 ორმაგი შეცდომა, თავად კი ფხიზლად აკონტროლა მატჩის ტემპი და მოახერხა უნებლიე შეცდომების მინიმუმამდე შეკვეცა. ფინალის მოსაგებად ეს საკმარისი აღმოჩნდა. „თუკი მასთან თამაშში რაიმეს მიღწევა გინდა, თავად უნდა წაართვა ყველაფერი, ის არაფერს გამოიმეტებს. დღეს კი პრაქტიკულად უშეცდომოდ თამაშობდა — თქვა მეტოქეზე როდიკმა და მოგვიანებით დასძინა — მისგან ამდენს არავინ ელოდა და, ვფიქრობ, მან საკუთარი თავიც განაცვიფრა".

| ACURA CLASSIC WTA |
| --- |
| სან დიეგო. ჰარდი |
| საპრიზო 750 ათასი $ |

**მეოთხედფინალი**

**ვინუს უილიამსი** (1, აშშ) — კიმ კლაისტერსი (5, ბელგია) 6:3, 5:7, 6:4; **ელენა დოკიჩი** (6, იუგოსლავია) — ჯენიფერ კაპრიატი (2, აშშ) 2:6, 6:2, 6:4; **ლინდსი დევენპორტი** (3, აშშ) — აი სუგიამა (იაპონია) 6:1, 6:1; **ანა კურნიკოვა** (რუსეთი) — ანა სმაშნოვა (12, ისრაელი) 6:3, 6:4

**ნახევარფინალი**

**უილიამსი** — დევენპორტი 6:2, 6:1
**დოკიჩი** — კურნიკოვა 6:7 (6:8), 7:6 (7:2), 6:0

**ფინალი**

**უილიამსი** — დოკიჩი 6:2, 6:2

ისევ ვინუსმა მოიგო. უფროსი უილიამსი აგერ, მესამე წელია, პირველობას არავის ანებებს სან დიეგოს არც ძალიან მომცრო ტურნირზე, სადაც არაერთი ყოჩაღი გოგონა კადრულობს ჩოგნის ქნევას. ახლაც ქალთა ჩოგბურთის ორი შავი მპყრობელიდან ერთ-ერთმა „აკურა კლასიკის" ტიტულისკენ მიმავალ გზაზე ყველა შემხვედრი ჩოგნის ერთი-ორი მოქნევით ჩამოიცილა და ამით უხმოდ დასჭექა, აქ მე ვბატონობო.

ქალთა ჩოგბურთის ვერც ერთმა ბობოლამ ვერა დააკლო შავ მზეთუნახავს. კიდევ კარგად ეომა კიმ კლაისტერსი, აი, ნახევარფინალში უილიამსს გადაყრილ ლინდსი დევენპორტს და ფინალში ელენა დოკიჩს კი ხეირიანი წინააღმდეგობის გაწევის მცდელობადაც ვერ ჩაეთვლებათ ვინუსთან თამაში.

„ეს უკვე საინტერესო აღარაა. თუ საკუთარ დას არ ხვდება, ვინუსი აუცილებლად მოიგებს და ახლაც ყველამ ვიცოდით, რომ ასე მოხდებოდა" — თქვა ჩოგბურთის ერთ-ერთმა მცოდნემ.

დოკიჩი რომ ფინალში მის წინააღმდეგ ვერაფერს გააწყობდა, ესეც ყველამ იცოდა და რა გასაკვირია, თუ ტურნირის მთელი ინტერესი ორი ლამაზმანის — დოკიჩისა და კურნიკოვასგან შემდგარმა ნახევარფინალურმა წყვილმა მიიპყრო. ანა კურნიკოვას კარგა ხანია, ამ ტურნირისამებრ თავისი საჩოგბურთო მონაცემები არსად წარმოეჩინა. ანამ სან დიეგოში მისთვის მოულოდნელად ბევრი, ოთხი წრე გაიარა და მეხუთე, ნახევარფინალურ ბარიერსაც გადალახავდა, დოკიჩთან ნარკვენს ცოტა იღბალი რომ შეშველებოდა.

კურნიკოვამ პირველი სეტი ტაიბრეიკში მოუგო იუგოსლაველ მეტოქეს და მეორეშიც ასევე ტაიბრეიკამდე გაძლო. ორიოდ ბურთიც და ბოლო რამდენიმე წელიწადში პირველად უწევდა ფინალს, მაგრამ ვერას გახდა, მის ტანკენარ სხეულში ცუდ დროს გათავდა ჩოგნის მარჯვედ ქნევისთვის საკმარისი ენერგია.

დოკიჩმა მოიგო მეორე სეტის ტაიბრეიკი და მესამეში პირწმინდად დაჩაგრა ქანცგაცლილი რუსი. ელენამ ფინალში ვინუსთანაც სცადა გაბრძოლება და რიგიანადაც დაიწყო, 2:1 დაწინაურდა, მაგრამ მერე უილიამსმა ზედიზედ ხუთი გეიმი აართვა, მეორე სეტშიც არ გაახარა და იმედები ჩაუფლავა. ძალიან უნდოდა დოკიჩს ამ ტურნირის მოგება და შედეგი მწარედ განიცადა. ხალხის გასაგონად თავი იმართლა, კუჭი ამეშალა და საერთოდ ძალიან დაღლილი ვიყავიო, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიმდგარიყო, არა გვგონია, დაეფიცებინა, ჯანზე მყოფი აუცილებლად დავამარცხებდი ვინუსსო.

**ქოტე ყორშია**



გამარჯვებული ვინუს უილიამსი ელენა დოკიჩს დედასავით დაჰყურებს

REUTERS სან დიეგოდან



სამი ერი 2002



ავსტრალიელი ნათან შარპი კრისტიან ქალენს დაუსხლტა და ლელოც გაიტანა

REUTERS სიდნეიდან

# ავსტრალია ბლედისლოუს მიაწვა

სიდნეი. „ტელსტრა"

**ავსტრალია 16:14 ახალი ზელანდია**

**ავსტრალია: 2ლ: შარპი, როჯერსი; 2ს: ბერკი**

**ახალი ზელანდია: 1ლ: მაკკოუ; 3ს: მერთენსი**

ავსტრალიამ ახალ ზელანდიას ვადამდე გაჩემპიონება ჩაუშალა და სამ ერს ფრიადი ინტრიგა შეუნარჩუნა. ავსტრალია ქულებით გაუტოლდა ახალ ზელანდიას, რაკი „კივებმა" 7-ზე ნაკლები ბურთით წააგეს და პრემიალური ქულა მოიპოვეს.

ახლა ორი მატჩია დარჩენილი. „ოლ ბლექსიც" და „ვოლაბებიც" სამხრეთ აფრიკას სტუმრობენ და თუ ამის შემდეგაც ერთნაირი ქულები დაუგროვდათ, ჯერი გატანილ-გაშვებულ ბურთებზე მიდგება. აქ კი წინ ჯერ ახალი ზელანდიაა.

ტიტანთა ჯახს 80-ათასიანი აუდიტორია დაესწრო და მშვენიერი თამაშიც იხილა. 80 წუთი ისე გავიდა, უპირატესობა ბოლომდე ვერცერთმა მოიპოვა და თანაბარ ბრძოლაში ავსტრალიამ ბოლო შეტევით მოიგო: მეტიუ ბერკს ფეხი არ აჰკანკალებია და ის-ის იყო, მსაჯი საფინალოდ ჩასტვენას აპირებდა, გამარჯვების საჯარიმო გაიტანა. ამ დროს ახალზელანდიელებს, ალბათ, შარშანდელი სიდნეური მატჩი გაახსენდათ, როცა ბოლო წამებზე ტოუტაი კეფუს ლელო გაუშვეს და სამ ერზე ვერ იჩემპიონეს.

ავსტრალიამ კი ორი კურდღელი დაჭირა. ერთი ის, რომ „ბლედისლოუს თასი" (ავსტრალიასა და ახალ ზელანდიას შორის რომ თამაშდება) დაიტოვა და მეორეც, სამ ერზე ზედიზედ მეოთხედ გაჩემპიონების შანსი დაიბრუნა. ახალმა ზელანდიამ კი ბოლო 10 მატჩში პირველად წააგო.

თავიდან „ოლ ბლექსის" მანქანა ამუშავდა. სტუმრები მორკინალი რიჩარდ მაკკოუს ლელოთი და ენდრიუ მერთენსის ორი საჯარიმოთი დაწინაურდნენ, რასაც ავსტრალიელთა გოლიათმა ნატან შარპმა ლელოთი უპასუხა და სულ მალე ბერკმა საჯარიმოც დაამატა. ანგარიში 11:8 გახდა სტუმართა სასარგებლოდ. ამის შემდეგ, ქარში ორივე გუნდის დამრტყმელებმა ბლომად ჯარიმები ააცილეს, მაგრამ მერთენსმა უფრო ივარგა, თავისიანებს ერთი გოლი შეაწია და ახალი ზელანდია 14:8 გავიდა წინ. ეს მეორე ტაიმის შუაში მოხდა. ახალზელანდიელთა ერთფეროვანი იერიშების ფონზე ავსტრალია ჭკვიანურად უტევდა, თუმც სტუმართა დაწევას ვერ ახერხებდა. ეგ კი იყო, ოზებმა სტუმართა მოიერიშეები — ტანა უმაგა და კრისტიან ქალენი არ გაახარეს და ამით ლელოების გაშვების ალბათობა მინიმუმამდე შეამცირეს.

მატჩის დასრულებამდე 20 წუთით ადრე მასპინძელთა მწვრთნელმა ედი ჯონსმა მოედანზე მეტ როჯერსი შეუშვა. ალბათ ჯონსს ისე არაფერი გახარებია, როცა რამდენიმე წუთში სტუმართა ლელოში შევარდნილი როჯერსი და მატჩის გადარჩენის პერსპექტივა დაინახა. ავსტრალია ქულასლა აგებდა და „ოლ ბლექსს" მაგრად მიაწვა. ახალი ზელანდიაც, როგორც შეეძლო, თავს იცავდა, მაგარმ ბოლო წამზე ოზების შეტევა წესების დარღვევით ჩაშალა, ბურთთან ბერკი მივიდა და...

| სატურნირო ვითარება | | | | | | |
| --- | --- | --- | --- | --- | --- | --- |
| ახალი ზელანდია | 3 | 2 | 0 | 1 | +25 | 10 |
| ავსტრალია | 3 | 2 | 0 | 1 | +7 | 10 |
| სამხრეთ აფრიკა | 2 | 0 | 0 | 2 | -32 | 1 |

ოთხი ლელოს გამტან და 7 ან ნაკლები ქულით წამგებ გუნდებს ენიჭებათ პრემიალური ქულა

# ჰაკას კოლონიური ხიბლი



ბრიუს რეინა (წინა პლანზე) თავისიანებში ჰაკაშიც ყოჩაღობს

REUTERS მანჩესტერიდან

**მაშინ,** როცა 15-კაცა ახალი ზელანდია სამ ერზე ავსტრალიას ერკინებოდა, ახალზელანდიელმა მოშვიდკაცეებმა დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობის თამაშებზე ივარგეს.

ფინალში „კივებმა" ტრადიციულ მეტოქე ფიჯის 33:15 მოუგეს. სხვათა შორის, მანჩესტერში ჯონა ლომუსაც უნდა ეთამაშა, მაგრამ „ოლ ბლექსის" მწვრთნელმა ჯონ მიტჩელმა თქვა, ლომუ საავსტრალიოდ მჭირდებაო, მერე კი გადაიფიქრა და ლომუც ტყუილად მოცდა.

მე-3 ადგილისთვის სამხრეთ აფრიკამ სამოას 19:12 მოუგო. მასპინძელი ინგლისი მე-5 იყო. ტურნირის საუკეთესო მოთამაშე ახალზელანდიელი „ოქროს ბიჭუნა" ბრიუს რეინა გახდა.

**ბაჩო სვანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალბურთი

# კარის ბადე ირხეოდა, ირხეოდა...

**იტალიის** ქალაქ ბარიში წყალბურთელთა ევროპის ახალგაზრდულ (1983-84 წლებში დაბადებულნი) პირველობაზე დიდი ხმაურითა და ვნებათაღელვით გამგზავრებული საქართველოს ნაკრები ჯერ რუსეთის, მერე უნგრეთის გუნდებთან დამარცხდა. მართალია, ჩვენი გუნდის მესვეურნი ამას წინასწარ შერიგებულნი იყვნენ, მაგრამ ქართველი ბიჭები თუ ასეთი ასტრონომიული ანგარიშებით დამარცხდებოდნენ, კაცი ძნელად წარმოიდგენდა. თავად განსაჯეთ: რუსეთთან ჩვენებმა 19 ბურთი მიიღეს საკუთარ კარში, თავად კი ერთიც ვერ გაიტანეს. მერე უნგრეთთან ეს სამჯერ კი მოახერხეს, მაგრამ მეტოქემ რუსებთან შედარებით სამით მეტჯერ შეურხია კარის ბადე და კვლავ მინუს 19-ბურთიანი სხვაობა გამოვიდა.

მართალია, რუსებიც და უნგრელებიც მსოფლიო წყალბურთის ლიდერთაგანნი არიან, ამ შეჯიბრების ფავორიტებადაც ითვლებიან და ჩვენი გუნდის წევრები, სამის გარდა, მეტოქეებზე უმცროსები იყვნენ, მაგრამ როცა 0:19 და 3:23 აგებ, ეს ყოველივე დიდად სანუგეშო არ უნდა იყოს.

ცურვა




ფრანცისკა ვან ალმსიკი




ოტილია ედრეჟეჩკა

# გერმანული ზღაპარი ოქროს თევზზე

## ქალი, რომელიც სიყვარულით მიდის და რეკორდებით მოდის

**ბერლინში** გერმანელთა ტრიუმფით (15 ოქრო, 12 ვერცხლი, 9 ბრინჯაო) დასრულდა ევროპის ჩემპიონატი. აქედან 5 ოქროს მედალი, 2 მსოფლიოს და ერთი ევროპის რეკორდი გერმანელმა ქალთევზამ ფრანცისკა ვან ალმსიკმა მოიხვეჭა. 24 წლის ფრანცისკა ჩემპიონატის საუკეთესო მოცურავე გახდა: მოიგო ყველა დისტანცია, რომელშიც მონაწილეობდა. ტურნირის ბოლო დღეს კი 200 მეტრი თავისუფალი სტილით ფანტასტიკურ დროში, მსოფლიოს რეკორდით — 1.56,64 გაცურა.

მანამდელი რეკორდიც ფრანცისკას ეკუთვნოდა და მთელი 8 წელი ხელშეუხებელი იყო. მაშინ რომში, მსოფლიოს ჩემპიონატზე 16 წლის ალმსიკმა 200 მეტრი 1.56,78 წუთში დაფარა. ალმსიკის ტრიუმფი მით უფრო ფასობს, რომ 1996-98 წლებში ცურვას ჩამოშორდა და მთელი დრო პოდიუმსა და საყვარელ მამაკაცს დაუთმო. მერე დაბრუნდა, რათა ისევ წასულიყო და ორწლიანი პაუზის შემდეგ შარშან დაიწყო ვარჯიში. „მაშინ ძალიან პოპულარული ვიყავი, მაგრამ ეს შემაწუხებელი იყო. საქმე იქამდეც მივიდა, რომ პირადი დაცვა ავიყვანე, რათა აბეზარი თაყვანისმცემლებისგან თავი დამეცვა" — იხსენებს ცურვის ნებიერა, რომლის სოლიდურ კოლექციასაც მარტო ოლიმპიური ოქრო აკლია. არადა, 14 წლისამ ბარსელონის ოლიმპიადაზე 2 ვერცხლის მედლით დაიმშვენა მკერდი, მაგრამ ოქრო დღემდე ვერ მოიგო. „ჯერ 24 წლის ვარ, ყველაფერი წინაა. გერმანელ ხალხს ვუყვარვარ და ეს დიდ სტიმულს მაძლევს" — თქვა ალმსიკმა.

ჩემპიონატზე ფრანცისკამ დაჩრდილა ყველა და ყველაფერი. მას მეტოქეები არ ჰყავდა. იგი თავის თავს ებრძოდა. სააგენტოები გერმანელის ქებათა ქებით იწყებდნენ ბერლინურ რეპორტაჟებს და დანარჩენების რეკორდ-ოქროებზე ისე რა მოგვითხრობდნენ. არადა, უსახელო პოლონელმა ქალმა ოტილია ედრეჟეჩკამ მოულოდნელად 200 მეტრი ბატერფლაით 2.05,78 წუთში გაცურა და მსოფლიოს რეკორდი დაამყარა. უწინდელი რეკორდი 2.05,81 იყო.

4X100 მეტრიანი კომპლექსური ესტაფეტა გერმანელთა ზეოთხეულმა: ფრანცისკა ვან ალმსიკმა, სიმონე ვაილერმა, ანტე ბუშულტემ და სანდრა ფოლკერმა ევროპის რეკორდით — 4.01,54 წუთით მოიგეს. კაცებში კი იტალიელმა ანტონიო ბოგიატომ ივარგა და 400 მეტრი კომპლექსურად კონტინენტის რეკორდით, 4.13,19 წუთში გაცურა.

**ბაჩო სვანიძე**




იან ტორპი ექვსი სრულიადბრიტანული ოქროთი და ერთიც ვერცხლით

# ბრიტანიკი გადარჩა

## ლონდონი კი ოლიმპიურ მაღაზე მოვიდა

**წვიმის** თქეშის ნახევრადგამჭვირვალე ფარდამ ვერ შეუშალა ხელი დიდი ბრიტანეთის მორჭმულ დედოფალ ელისაბედ მეორეს მანჩესტერული 38-ათასიანი აუდიტორიის წინაშე წარმდგარიყო, სრულიად ბრიტანეთის თანამეგობრობის მე-17 თამაშები დახურულად გამოეცხადებინა და ზუსტად ოთხი წლის შემდეგ ავსტრალიაში, ქალაქ მელბურნში მომავალი თამაშების მონაწილეთათვის წინასწარ ესურვებინა წარმატება.

ელისაბედ მეორემ სულ ახლახან იზეიმა გადედოფლების ნახევარსაუკუნოვანი იუბილე. მისი ქვეშევრდომები, კერძოდ, ბრიტანეთის სპორტის ფუნქციონერები და მოხელეები კი, ალბათ, ახლაც ხარობენ მანჩესტერული თამაშების წარმატებით ჩათავებას. ბრიტანული ოლიმპიადა იმდენად სრულყოფილი გამოდგა, როგორც ორგანიზაციულ-ფინანსური, ასევე სპორტული თვალსაზრისით, რომ არსებობა კარგა ხნით გაუხანგრძლივა ბრიტანულ თამაშებს, რომლებიც სულს ღაფავდა და, საყოველთაო აზრით, არსებობა უნდა შეეწყვიტათ.

„ათი წლის წინ ვფიქრობდი, რომ ამ თამაშებს დიდი ხნის სიცოცხლე არ უწერია, ახლა კი რადიკალურად განსხვავებულ აზრზე ვდგავარ. მანჩესტერულმა თამაშებმა სულ იოლად დაიკავა სოლიდური ადგილი დიდი სპორტული ღონისძიებების ბაზარზე და არ გაუჭირდა სპონსორთა მიზიდვა. ვფიქრობ, მანჩესტერმა დიდი ხნით განაპირობა ამ თამაშების წარმატებულობა" — თქვა ბრიტანიადის დახურვის შემდეგ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ერთ-ერთმა დიდმოხელემ.

დახურვა კი, რომელსაც ოლიმპიური მოძრაობის პრეზიდენტი ჟაკ როგი და სხვა მრავალი კარგად ცნობილი პერსონა დაესწრო, ისეთივე შთამბეჭდავი გამოდგა, როგორც მთლიანად თამაშები. ეგაა, საერთო ხალისი ოდნავ გაახუნა ნამდვილმა ბრიტანულმა წვიმამ.

72 დიდი და მცირე ერის, რომელთა ნაწილი დღეს უკვე ფორმალურ-სიმბოლურადაა დამოკიდებული ინგლისზე და ამ ქვეყნის მონარქის ტახტზე, 350-ზე მეტმა სპორტსმენმა მონაწილეობა მიიღო დახურვის ცერემონიალში და ყველამ საკუთარი ქვეყნის დროშას მანჩესტერული პუბლიკის თვალწინ ამაყი ფრიალით გაატარა. ამ სპორტსმენთა შორის უდავოდ ყველაზე წარმატებულია ავსტრალიელი ბიჭი-ტორპედო, სუპერმოცურავე იან ტორპი, რომელმაც მანჩესტერიდან ექვსი ოქრო თავის წილად წაიღო. ეს ექვსი მან წინა, 1998 წლის კუალალუმპურის ბრიტანულ თამაშებზე ნაშოვნ ოთხს დაამატა და ბრიტანიადების ისტორიაში ყველაზე წარმატებული სპორტსმენი შეიქნა. ალალიცაა ტორპზე. ბიჭი სრულიად მსოფლიოს ოლიმპიურ თამაშებზე იხვეჭს ოქროებს და ამ მსოფლიოს ინგლისურენოვან ნაწილს ხომ ერთი ხელის მოსმით ჩაიდებდა ჯიბეში.

და კიდევ, მანჩესტერულმა თამაშებმა არა მარტო პრესტიჟი აღუდგინა ბრიტანეთს, როგორც დიდი სპორტული შეჯიბრებების მასპინძელს, არამედ იქაურებს რამდენიმე წელიწადში ოლიმპიადის მასპინძლობის იმედიც ჩაუსახა. ლონდონელები აპირებენ, 2012 წლის თამაშების მასპინძლის კანდიდატად თავიანთი ქალაქი წარადგინონ და მანჩესტერის წარმატებიდან გამომდინარე, სწამთ, ოლიმპიადის მასპინძლად ლონდონის წამოწევა ისეთივე კრახით არ დასრულდება, როგორითაც 2004 წელს ოლიმპიადის მასპინძლობაზე მანჩესტერის მცდელობა.

**ირაკლი ფირცხალავა**




რა იქნებოდა ეს თამაშები უდედოფლოდ...



75 წლისა გარდაიცვალა თავისუფალი სტილის მოჭიდავე, მელბურნის (1956) ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მსოფლიოს ჩემპიონატების ვერცხლისა (1957) და ბრინჯაოს (1954) მედალოსანი, მსოფლიო თასის მეორე პრიზიორი (1956), სტუდენტთა XII მსოფლიო თამაშებისა (1954) და ახალგაზრდობის II საერთაშორისო სპორტული თამაშების (1955) ჩემპიონი, სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონი (1954, 1956) და ბრინჯაოს პრიზიორი

**მირიან ცალქალამანიძე**

სარბიელელები სამძიმარს ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს

საქართველოს
ეროვნული ოლიმპიური
კომიტეტი იუწყება, რომ
გარდაიცვალა ოლიმპიური
ჩემპიონი
**მირიან**
**ცალქალამანიძე**
და თანაგრძნობას უცხადებს
განსვენებულის ოჯახს



# შეჯიბრების წინ

გერმანელი მოცურავე ფრანცისკა ვან ალმსიკი კუნთებსაც ადუნებს და მუსიკასაც უსმენს. აბა, მაგაზეა ალალი დასვენება და მხიარულება: ბერლინური ევროჩემპიონატი 5 ოქროთი, 2 მსოფლიოსა და 1 ევროპის რეკორდით ჩაატრიუმფა.

# ქარსა და წვიმაში

შოუო და არც გამოვიდა. ვაშინგტონში ერთმანეთს შეხვდნენ ამერიკის ეროვნული ნაკრები და მეიჯორ ლიგის ვარსკვლავთა გუნდი. საქმე ისე წავიდა, რომ ქარაშოტმა და კოკისპირულმა წვიმამ პირველი ტაიმი ძლივს დაამთავრებინა ფეხბურთელებს. თამაში ერთი საათის შემდეგ ძლივს განახლდა, განახლდა და მოედანზე ერთი ლოთბაზარა კაციც გამოეხეტა.





# ჰოპ!

მანჩესტერის საწყალოსნო ცენტრში დიდი მხიარულებაა. თანამეგობრობის თამაშები თამაშებად და, მოცურავეთა სახტომი ალაგები პოლიციელებს დაუჭერიათ. ეს კი ფოტოგრაფთათვის ერთი რიგგარეშე ლუკმაა.

# თინეთა რჩეულნი

შვებულებაა და „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ ლიდერი კობი ბრაიანტიც ხალისობს. კალიფორნიაში, უნივერსალ სიტიში, სადაც თინეიჯერები თავიანთ საყვარელ სპორტსმენებს აჯილდოებდნენ, ერთ ჯილდოს, სერფინგის დაფას კობიმაც გამოჰკრა ხელი, მაგრამ ეგ ჯერ სად იყო, გოგონათა შორის რჩეული ფიგურული სრიალის კოხტა დედოფალი, მიშელ კვანი შეიქნა, რომელსაც ტრადიციული ჯილდო უსაზღვრო და უკიდეგანო პამელა ანდერსონმა გადასცა. მთელი ეს ამბავი „ფოქსის“ ტელევიზიით გადაიცემოდა.






# აჩერებდნენ

ტურ დე ფრანსის ზედიზედ მეოთხედ მომგები ლენს არმსტრონგი გასულ კვირა დღეს მანჰეტენზე დააქროლებდა ველოსიპედს, რახანია ნიუ იორკში პირველად ჩატარდა ქალაქის პირველობა ველორბოლაში. რა არის რომ, ლენსს წარამარა აჩერებდნენ პოლიციელები, ძირითადად მისასალმებლად.



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge